

უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი კანონმდებლობა



№1 იანვარი-მარტი 2017



№1 January-March 2017

www.b-k.ge
info@iverioni.com.ge



Business & Law

ბიზნესი და კანონმდებლობა

№1 იანვარი-მარტი
2017

საქართველო,

ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი
რეგისტრირებულია 2008 წლიდან

WWW.B-K.GE

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. უამრავი სტატიების უინაარსებო და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

ნაქვემოთ მისამართი:

თბილისი, კოსტავას ქ. 6. სართული 3.
ტელ: 293-53-28, 599 56-14-57, 574 43-64-27
ვებ გვერდი: www.b-k.ge
e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა GE30BG000000850902700; ს/კ 404956455.

გამომცემელი:

საქართველოს აუდიტორთა, ხელაღწერისა და ფინანსური მენეჯერთა ფედერაცია,
საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „ივერიონი“

რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

ზაურ ნაჭყალია

მთავარი რედაქტორი:

იური პაპასძე, ეკ. მეცნ. აკად. დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ილონა ალაშვილი

ტექნიკური რედაქტორი:

ლევან ბოჭორიშვილი

სამეცნიერო საბჭო:

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:
მიხეილ ჯიბუტი (საბჭოს თავმჯდომარე), ნოდარ ჭითანავა,
ელგუჯა მექვაბიშვილი, პაატა კოლუაშვილი, ნოდარ ხადური,
ნატო კაკაშვილი, ნანა შონია, დავით ჯვალაღონია, თემურ ხომერიკი,
კოტე აბულაძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე, ლარისა თაკალანძე, გიორგი ღვებავაძე,
ლია ელიავა, დავით ჭიოტაშვილი, სულიკო ფუტყარაძე, დემნა კვარაცხელია,
ანზორ მესხიშვილი, ბორის ჭიჭინაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი
ანდრეას სილაგაძე.

სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
ჯემალ ბახუაძე.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ბურბუღ ნაჭყალია.

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მამუკა თავაძე.

როზარტ მ. მაკაბი (აშშ ფაქტევილის სახელმწიფო
უნივერსიტეტის, პროფესორი)

ვინსენტ რ. ჯონსონი (სანტ-მარის უნივერსიტეტის სამართლის
პროფესორი, სან ანტონიო, ტეხასი, აშშ)

ანტონი მ. დენსი (ნორტვესტრალის უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლის
პროფესორი, პრესკოტის ველი, არიზონა, აშშ)

ბერნარდ ზიბლერი (ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი),

იოჰან ფიშერი (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი),

ალი ალერაჰი (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

მარი ლანგი (EFAA-ს ტექნიკური დირექტორი).

ანნა კარმანსკა (პროფესორი, EFAA-ს გამგეობის წევრი,
ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლის ბუღალტრული
აღრიცხვის კათედრის ხელმძღვანელი).

ალექსანდრე რუზი (რუსეთის ფედერაციის ბუღალტრულ ექსპერტთა და
ფინანსურ აუდიტორთა გილდიის გამგეობის თავმჯდომარე, აუდიტორულ
საკონსულტაციო ჯგუფის „რუფაუდიტ/ინაუდიტ ალიანსის“ გენერალური
დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე).

ლილია ბრიგორი (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
მოლდოვეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის
ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი).

ფადრიკო დიომედა (დოქტორი, EFAA-ს პრეზიდენტის
საგანგებო მრჩეველი).

რობინ იარპერსი, (პროფესორი, ASSA-ის საგანგებო მრჩეველი).

BUSINESS & LAW

№1 JANUARY-
MARCH 2017

SCIENTIFIC,
ANALYTICAL-PRACTICAL JOURNAL
Referenced since 2008

WWW.B-K.GE

The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.

ADDRESS OF EDITORIAL BOARD:

Tbilisi, Kostava str. 6.
Tel: 293-53-28, 599 56-14-57, 574 43-64-27
URL: www.b-k.ge
e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

Bank details:

JSC Bank of Georgia
Bank code: BAGAGE22
c/a GE30BG000000850902700 i/c 404956455

PUBLISHERS:

**THE FEDERATION OF AUDITORS, ACCOUNTANTS
AND FINANCIAL MANAGERS OF GEORGIA;
INFORMATION – ANALYTICAL AGENCY
„IVERIONI“**

CHAIRMAN OF THE BOARD OF EDITORS:

ZAUR NACHKEBIA

EDITOR - IN – CHIEF

IURI PAPASQUA, Doctor of Economics, Professor

EDITOR – IN – CHARGE

ILONA ADAMIA

TECHNICAL DIRECTOR:

LEVAN BOCHORISHVILI

EDITORIAL BOARD:

DOCTORS OF ECONOMICS, PROFESSORS:

Mikheil Jibuti (Chairman of the Board), Nodar Chitanava, Elguja Mekvabishvili, Paata Koguashvili, Nodar Khaduri, Nato Kakashvili, Nana Shonia, Davit Djalagonia, Temur Khomeriki, Kote Abuladze, Nikolodz Chikhladze, Larisa Takalandze, Giorgi Gvartadze, Lia Eliava, Davit Chiotashvili, Suliko Futkaradze, Demna Kvaratskhelia, Giorgi Rusiashvili, Anzor Meskhishvili, Boris Chichinadze.

Member-correspondent of the Georgian Academy of Sciences

AVTANDIL SILAGADZE

Doctor of Law and Politics Sciences

JEMAL GAKHOKIDZE

Doctor of Legal Sciences, Professor

GURAM NACHKEBIA

Doctor of Pedagogical Sciences

MAMUKA TAVKHELIDZE

Fayetteville State University Professor

ROBERT MCGEE (USA)

Professor of Law, St. Mary's University (San Antonio, Texas, USA)

VINCENT R. JOHNSON,

The Graduate School, Northcentral University,
(Prescott Valley, Arizona, USA)

ANTONY W. DNES

Berlin University Professor

BERNARD ZIGLER (GERMANY)

Bonn University Professor,

IOHAN FISHER (GERMANY)

Baku State University, Professor

ALI ALERZEVI (AZERBAIJAN)

MARIE LANG, Technical Director of EFAA

ANNA KARMAŃSKA, Professor, EFAA Board Member,
Warsaw School of Economics.

ALEXEY RUF, Chairman of the Board of Guild of Accountant
Experts and Financial Auditors of Russian Federation.

LILIA GRIGOROI, Ph. D.in Economics, Head of Accounting Department,
Academy of Economic Sciences of Moldova.

FEDERICO DIOMEDA, doctor, Special Adviser to the President of EFAA.

ROBIN JARVIS, Professor, Special Adviser,
Association of Chartered Certified Accountants.

შინაარსი

ნოდარ ქიტანავა

ეკონომიკური ზიგზაგები და პასუხისმგებელი კითხვები

წერილი პირველი: საქართველოს ეკონომიკა ახალი გამოწვევების პირისპირ!-----	5
წერილი მეორე: ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის ზიგზაგები-----	11
წერილი მესამე: რატომ დაეცა ცხოვრების დონე მკვეთრად საქართველოში?! -----	15

მურად ნარსია

აუდიტორების ტოტალური დისკრედიტაციის პოლიგონი, რომელსაც აუდიტორები უნდა განერიდონ!-----	20
---	----

იოსებ ხელაშვილი

მინის ღირებულება და ინვესტიციები სასტუმრო ინდუსტრიაში საქართველოში -----	29
---	----

გიორგი გოგუაძე

უნივერსალური კომერციული ბანკების ინსტიტუციური პრობლემები -----	37
საქართველოს გამომწვევა: დავოზიტების დაზღვევა -----	43

სალომე ყანჩაველი

ონლაინ სესხები საქართველოში -----	45
-----------------------------------	----

ნინო თანდაშვილი

საქართველოს საფონდო ბირჟის ისტორიისთვის -----	48
---	----

როდენ მემარნიშვილი

მინერალური რესურსებისა და საბადო მარაგების სტანდარტების მნიშვნელობა სამთო წარმოების განვითარებაში -----	54
--	----

ხსოვნა ნათელი

ღვანულადი მაცნეარი და კედეგობი, ღირსეული პიროვნება (პროფ. გიორგი მშვილდაძე - 90) -----	61
---	----

ეკონომიკური ზიზზაბები და პასუხბაუსემელი კითხვები

წერილი პირველი

საქართველოს ეკონომიკა ახალი გამოწვევების პირისპირ!

საქართველოში უნიკალური ვითარება შეიქმნა. ერთის მხრივ, ევროპამ უვიზო რეჟიმის დანესებით აღიარა, რომ საქართველო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ისწრაფოდეს პოსტსოციალისტური ქვეყანა ეზიაროს დასავლეთის ფასეულობებს, განსაკუთრებით პოლიტიკური დემოკრატიისა და ლიბერალურ ეკონომიკურ პრინციპებს.

ეს ხაზგასმული საგარეო მხარდაჭერაა!

მეორეს მხრივ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი რწმუნდება იმაში, რომ ბოლო 25 წლის მანძილზე განხორციელებული გარდაქმნების ზოგიერთი პოზიტიური შედეგის მიუხედავად, ქვეყნის აღმშენებლობა შეფერხდა – თვისებრივად ახალი მოვლენები (პროცესები), კონცენტრირებულად სოციალური პოლარიზაციის სიბრტყეზე განთავსდა და მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრების დაბალი დონის ინდიკატორად ჩამოყალიბდა.

ეს ხაზგასმული საშინაო პრობლემაა!

როგორც მთელ მსოფლიოს, საქართველოსაც ამჟამად 5 მწვავე პრობლემა აწუხებს: **სიღარიბე, უმუშევრობა, უნიგნურობა, ავადმყოფობა, უთანასწორობა**. განსაკუთრებით მგრძობიარეა ეს პრობლემები ქვეყანაში, სადაც არც ისე დიდი ხნის წინათ მათ წარსულის მოვლენებად აღიქვამდნენ.

საქართველო სოციალური და ეკონომიკური განვითარების თავისებურებებითა და ტენდენციებით კონტრასტების ქვეყნად ჩამოყალიბდა. საზოგადოების ერთ მხარეზეა ადამიანთა ჯგუფი, რომელმაც ეროვნული ეკონომიკის გაჩანაგების ფონზე დროსთან ადაპტირება შეძლო – ქონება მოიხვეჭა და დღეს მდიდართა ან შეძლებულთა ფენას (ჯგუფს) მიეკუთვნება. სამწუხაროდ, იგი მცირერიცხოვანია, თუმცა, ფაქტობრივად, განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების ვექტორს!

მეორე მხარეზეა ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელმაც საკუთარი ქონებაც, მომავლის რწმენაც დაკარგა, რომელსაც შექმნილი ცოდნის, ცხოვრებისეული გამოცდილების ქვეყნის სამსახურში გამოყენების უპერსპექტივობის, საერთოდ ხელჩაქნეულობის განწყობილება დაეუფლა. ეგუება სხვის ხარჯზე ცხოვრებასაც. იგი მხოლოდ თვითგადარჩენაზეა ორიენტირებული.

ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს პარადოქსთან.

ერთის მხრივ, პიროვნული საწყისის განვითარებაში მოპოვებული თავისუფლება, როგორც დემოკრატიის მონაპოვარი (რის გამოც ობიექტურად გვაქვს ევროპა).

მეორეს მხრივ, თავად თავისუფალი ადამიანების უუნარობა – გამოიყენონ შექმნილი შესაძლებლობა,



ნოდარ ჭითანავა,
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

როგორც პიროვნული, ისე საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ. გამოდის, რომ დეკლარირებული თავისუფლება შრომის ორგანიზებასაც ვერ ახერხებს. როგორც იტყვიან, იგი მატერიალურ ძალად არ გარდაქმნილა. **შეიქმნა მანკიერი წრე**. საზოგადოებას სჭირდება მშვიდი, შემოქმედებითი შრომის, ადამიანის მრავალმხრივი ინტერესების განვითარების ხელშემწყობი გარემო და ამისთვის მას მთავარი – თავისუფლება (გაცილებით უფრო დიდი დოზით, ვიდრე ახლო წარსულში ჰქონდა) აქვს. ამასთან, ადამიანი პიროვნული საწყისის განვითარების ლოკალური ინტერესების ჩარჩოს ვერ სცილდება. **რატომ?**

საქართველოში გარდამავალი პერიოდი გახანგრძლივდა. **არც ვიცით რა ჰქვია იმ საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობთ, ან რომელ ფაზაშია ეკონომიკის განვითარება. რატომ ვითარდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა მხარე (მიმართულება) პრინციპით „ნივთი თავისთვის“?!**

რატომ ხდება, რომ დღესაც, როცა თითქოს ყველაფერი გაშიშვლდა, ყველაფერი დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად ვიგემეთ (განვიცადეთ), რომ ისევ დაშვებული შეცდომებით შექმნილი გამოცდილებით და გაორებული მენტალიტეტით სხვადასხვა ეპოქების წნეხით გატკეპნილ გზაზე გვინდა დავრჩეთ?!

რატომაა, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებული ინტელექტუალური რესურსი არ არის გამოყენებული ქვეყნის განვითარებაში?!

რატომაა, რომ საზოგადოებაში ვნებათა ღელვა ისევ ძლიერდება. ცალკეული ჯგუფების ინტერესებს ამოფარებული რევანშისტული სულისკვეთება კვლავაც მძლავრობს. დაბეზლებასა და ცოლისწამებაში თითქოს ერთმანეთს ვეჯიბრებით. ნაცვლად მოქმედებისა, დიდ დროს უაზრო ლაპარაკსა და დისკუსიებში ვფლანგავთ. ვიკვებებით უცხოური პურით, ვატარებთ უცხოურ ტანსაცმელს, ვეჩვევით უცხოურ აზროვნებას, უცხოურია

ირგვლივ ყველაფერი, მათ შორის ისიც, რაც ჩვენ არ გვჭირდება!

რატომაა, რომ საზოგადოების მხრივ ქვეყნის აღმშენებლობის სულისკვეთება განელდა. ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი მოდუნდა, გლობალური პრესინგი აგრესიულ ხასიათს იძენს.

ეროვნული ფენომენის საძირკვლის – „მამულის, ენისა და სარწმუნოების“ ერთიანობას რღვევის საფრთხე ემუქრება: ენა იჩაგრება, სარწმუნოებას კი შიგნითაც და გარედანაც ებრძვიან?!

რატომაა, რომ როცა საქმეა გასაკეთებელი, გვიჭირს ერთად ყოფნა, ერთიანი (საქვეყნო) ნებით გავუმკლავდეთ სიძნელებს, ისევ არ გავიმეორით ჩვენს მიერ სხვადასხვა დროს დაგმობილი ქმედებანი, ღირსეული მამულიშვილებისადმი უდიერი დამოკიდებულების მაგალითები, ნიჰილიზმი, ერთი სიტყვით, ვიყოთ ობიექტურნი, პრინციპულნი, შეკავშირებული „ისტორიით შედუღებული ერთ სულ და ერთ ხორც მკვიდრთა კრებული“?!

ასე რომ, ბევრი კითხვა დაგროვდა. **დროა საზოგადოება გააქტიურდეს, გამოსატოს თავისი დამოკიდებულება საქვეყნო საქმეების მიმართ, მოზოგვებული თავისუფლების ფონზე თქვას რას ფიქრობს, რაში ხედავს გამოსავალს, როგორ ესახება ქვეყნის მომავალი.**

შორს უნდა ვიყოთ იმ აზრისგან, რომ ვინმეს (პიროვნებას თუ ჯგუფს, სახელმწიფო თუ სამეცნიერო დანესებულებას, პოლიტიკურ პარტიას თუ მსოფლიო თანამეგობრობის რომელიმე სტრუქტურას) ჰქონდეს გამზადებული რეცეპტი – თუ როგორ განვითარდეს ჩვენი ქვეყანა. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს! ამასთან გვჯერა, რომ საქართველოს ამჟამადაც აქვს საკმარისად ინტელექტუალური რესურსი, რომლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად და კომპლექსურად გამოყენება დააჩქარებს ქვეყნის განვითარების თვისებრივად ახალ ტრანექტორიაზე გადასვლას.

დრო ახალ გამოწვევებს გვთავაზობს. წინამდებარე ნაშრომში, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაგროვილი პრობლემების კლასიფიკაციის, მით უმეტეს, გადაწყვეტის პრეტენზია არ აქვს, შევეცადე ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნები, როგორც პროცესი, განმეხილა, მისი მთავარი არტერიის – ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნების შედეგების (თავისებურებების, ტენდენციების) ანალიზით, რაც მოგვცემდა საშუალებას ტრანსფორმაციული პროცესის (როგორც მთლიანობითი სისტემის) პირველი, მიახლოებით მაინც, ობიექტურად შეფასებისთვის.

თანამედროვე რთულ პრობლემებზე მსჯელობისას, ლოგიკურია აზრთა სხვადასხვაობა. ხშირად ისიც, რასაც ავტორი სწორად თვლის, შეიძლება სხვა მხარემ მიუღებლად ჩათვალოს. პრობლემების მრავალფეროვნება თავად განსაზღვრავს მათი გადაწყვეტის თაობაზე აზრების, შეხედულებების მრავალგვარობას. ამაშია საზოგადოებრივი პროგრესის ამოსავალი პირობა.

ერთი რამ თამამად შემიძლია ვთქვა: **ნაშრომი გამსჭვალულია დაპირისპირებული ინტერესების „ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად ბედნიერი მორიგების“ სულისკვეთებით (ილია). სწორედ ეს მი-**

დგომა მიმაჩნია ქვეყანაში როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორების კომპლექსურად და მიზანმიმართულად გამოყენების მთავარ პირობად.

საქართველო ორი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის დაპირისპირების ეპიცენტრში

საქართველო (მისი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური სისტემა) XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების სიბრტყეზე სპონტანურად აღმოჩნდა და ეგზოგენური (გარე ფაქტორების) გავლენის ობიექტი გახდა. შიდა ფაქტორებმა, რომლებიც „პერესტროიკით“ გამოწვეული მიზეზებით აღმოცენდა და რთულ კვანძად ჩამოყალიბდა, ფაქტობრივად მოშალა საზოგადოების თვითრეგულირების უნარი. საზოგადოებრივი ურთიერთობები სტიქიურად განვითარდა. რა თქმა უნდა, სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლებს რადიკალური, მაგრამ ყოველმხრივ გააზრებული, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თავისებურებათა და ტენდენციების გათვალისწინებით, თვისებრივად ახალ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე გარდაქმნა სჭირდებოდა.

ღარიბი ინტელექტუალური პოტენციალის საბჭოთა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო დროის მოთხოვნების ადეკვატურად განესაზღვრა სახელმწიფოსა და სოციალისტური ეკონომიკის გარდაქმნების სტრატეგია და მისი განხორციელების მექანიზმი. უფრო მეტიც, **სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის ლიდერი ბოლომდე მალავდა მის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური კურსის რეალურ მიზანს – არსებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შეცვლას და არა მის ე.წ. სრულყოფას.**

დღეს, როცა, თითქოს, ყველაფერი გარკვეულია, განვლილი გზის ყველა მონაკვეთი გაცნობიერებულია და ამასთან, ვხედავთ მიმდინარე წინააღმდეგობრივი პროცესების გამოწვევებზე მიზეზებს, დამდგარ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს და წინააღმდეგობებს მომავლისთვის, გვმართებს უფრო ღრმად შევისწავლოთ და ობიექტურად შევაფასოთ განვლილი გზა.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გავლენით საქართველო ორი ისტორიული პროცესის ერთდროულად დაწყებისა და გადაკვეთის ეპიცენტრში აღმოჩნდა. **ერთდროულად დადგა პოლიტიკური დამოუკიდებლობის რეალურად დაწყებული პროცესი – შესაძლებლობა და სოციალისტური ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის აუცილებლობა.** კაცობრიობის ისტორიაში ქვეყნების განვითარების ასეთ პრეცედენტს ანალოგი არ ჰქონდა.

საქართველოში ასეთი უნიკალური მოვლენა, ბუნებრივია, მოითხოვდა ერის მატერიალური და სოციალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას, ქვეყნის სტრატეგიის სწორად განსაზღვრას და ეროვნული ინტერესების ერთიანი ნებისადმი დაქვემდებარებას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ფაქტორთა კომპლექსურ ამოქმედებას, რათა ქვეყანა ახალ

თვისებრიობაში ნაკლები ტკივილებით (სოციალური დანახარჯებით) გადასულიყო.

იყო თუ არა მზად ქვეყანა ეკონომიკისთვისებრივად შეცვლისთვის, რამდენად სწორი იყო მოსალოდნელი ცვლილებებისას ხელისუფლებისა და საზოგადოების (განსაკუთრებით მისი ყველაზე აქტიური ნაწილის, რომელიც შემდგომში არაფორმალურ გაერთიანებად ჩამოყალიბდა) დამოკიდებულება დროის გამონწვევებით დასმული ამოცანების გადაწყვეტისადმი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი არ არის. საჭიროა იმდროინდელი პროცესების (მოვლენების) ობიექტურად ახსნა და პრინციპულად შეფასება.

შევეცდები ჩემი მოსაზრებები გავუზიარო მკითხველს.

ორინტაცია გზების გასაყარზე

დავინყოთ იმით, რომ 1990 წელს საქართველოში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის 3 კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა დაფიქსირდა. **პირველი.** ოფიციალური (იმპერიული ხედვით), რომელიც „პერესტროიკის“ ფილოსოფიას ეყრდნობოდა და გულისხმობდა საბჭოთა იმპერიის (დემოკრატიული გარდაქმნების შემდეგ) საზღვრებში სოციალისტური (საბჭოთა) ეკონომიკის საბაზრო პროცესებზე („წმინდა კაპიტალიზმზე“), ანუ XX საუკუნის დასაწყისის კლასიკური კაპიტალიზმის მოდელზე გადაყვანას, რაც კერძო საკუთრებას (საზოგადოებრივის – ანტიპოდს) და თვითრეგულირების (ცენტრალიზებული დაგეგმვის – ანტიპოდს) ტრადიციულ მექანიზმებს ეყრდნობოდა.

მეორე. არაოფიციალური (არაფორმალური), რომელიც ეფუძნებოდათვისებრივად განსხვავებულ პოლიტიკურ ფილოსოფიას და გულისხმობდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობას (საბჭოთა იმპერიის საზღვრებიდან გამოსვლას) და ეროვნული ეკონომიკის იმავე პრინციპებით (მაგრამ უფრო მკაცრ ფორმებში) გარდაქმნას, რასაც გვთავაზობდა „პერესტროიკის“ იდეოლოგია. კერძოდ, სახელმწიფო საკუთრების მასობრივი პრივატიზაცია, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა ტიპის ეკონომიკური სუბიექტების დაუყოვნებლივ დაშლა, სახელმწიფო მმართველობის არსებული სტრუქტურების მყისიერი ლიკვიდაცია და ა.შ.).

როგორც ჩანს, ეკონომიკის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, ეს მიდგომა უფრო რადიკალური იყო პირველთან შედარებით, მაგრამ იდენტური, „კლასიკურ კაპიტალიზმზე“ გადასვლის ორიენტაციით. ეს შემთხვევითი არ იყო. იდენტურობა ეყრდნობოდა დასავლეთის ფასეულობათა ერთნაირ გაგებას.

მესამე მიდგომაც იყო ოფიციალური, რომელიც საჯაროდ გაცხადდა, როგორც საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების (მთავრობის) ოფიციალური პლატფორმა (მკითხველს შეუძლია გაცნოს იმ დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებს ნ. ჭითანავა – „პოლიტიკურად, ეკონომიკურად ძლიერი საქართველოსთვის“. გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წ. 28 ივლისი; ნ. ჭითანავა – „ამოცანა ურთულესი, პასუხისმგებლობა – საგანგებო“. გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წ. 5 ოქტომბერი; ნ. ჭითანავა – პრობლემები, რომელთა სიმძაფრე რევოლუციური გარდატეხის ტოლფარდია, ჩვენი გადასაჭ-

რელია – მოხსენება საქართველოს სსრ მეთერთმეტე მონვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესიაზე 1989 წ. 18 ნოემბერი; რესპუბლიკის მთავრობის კონცეფციის რეალიზაციის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ღონისძიებათა პროგრამა და სხვ.).

ეს მიდგომა ეყრდნობოდა ეროვნული ეკონომიკის თანდათანობით (ეტაპობრივად, თანმიმდევრულად) გარდაქმნას შერეულ (მრავალსუბიექტიან და არა მხოლოდ ერთ – კერძო საკუთრებაზე ფუნქციონირებას) ეკონომიკურ სისტემად, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების წარმმართველ როლს, ახალი სისტემის სამართლებრივი, მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების შექმნას. ვინც ზემოთ დასახელებულ ნაშრომებს გაეცნობა, მიხვდება, რომ ეკონომიკის ტრანსფორმაციისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სახელმწიფოს, რამდენადაც მას ახალ გარემოში უნდა შეესრულებინა წარმმართველი ძალის (სისტემაშემქმნელი ფაქტორის) როლი (იქვე განსაზღვრულია როგორი აგებულებისა უნდა ყოფილიყო იგი).

ამასთან, მოიაზრებოდა ორი შესაძლო პერსპექტივა. სცენარი: საქართველო 1991 წლიდან, ფაქტობრივად, იქნებოდა საბჭოთა კავშირის ბაზაზე კონფედერაციულ საფუძვლებზე შექმნილი პოლიტიკური გაერთიანების წევრი. შესაბამისი წინამძღვრები (სამართლებრივი ბაზა) შექმნილი იყო. ჩვენი მაშინდელი ვარაუდით, ეს იქნებოდა ქვეყნის დროებითი პოლიტიკური სტატუსი. ამ პერიოდში უნდა მოგვემზადებინა ეროვნული ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადასვლის წინაპირობები. გადასვლა უნდა მომხდარიყო ევოლუციური გზით – ეს გზა მაშინ უფრო მისაღებად მიგვაჩნდა.

ამასთან, არსებობდა სათადარიგო გეგმაც. თუ ექსტრემალური პირობების გახანგძლივებისას უშუალოდ დადგებოდა პოლიტიკური სუვერენიტეტის მიღების შესაძლებლობა (უფრო სწორად აუცილებლობა), ეკონომიკური გარდაქმნები ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოდელით უნდა განხორციელებულიყო. რა უდევს საფუძვლად ასეთ მტკიცებას? ზემოთ დასახელებული და იმ დროს გამოქვეყნებული დოკუმენტები. ამჯერად რამდენიმე ამონარდს წარმოვადგენ:

„გარდამავალ ეტაპზე საკუთრების ფორმების პლურალიზმის პირობებში რესპუბლიკის ეკონომიკა ჩამოყალიბდება, როგორც მრავალწილობიანი. მისი ოპტიმალური სტრუქტურა დეკრეტებით, ასევე მართვის ორგანიზაციული მექანიზმის ზემოქმედებით არ შეიქმნება. იგი უნდა წარმოვიდგინოთ ეკონომიკის განვითარების ბუნებრივი პროცესების ლოგიკურ შედეგად. მხოლოდ ასეთი სტრუქტურა შეუქმნის მყარ ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას“.

„პორიზონტალური კავშირების უზრუნველყოფი საბაზისო სტრუქტურების შექმნა ერთგვარად წინ უნდა უსწრებდეს სახელმწიფო მართვის არსებული ორგანიზაციული სისტემის გარდაქმნას. გარდამავალ პერიოდში მათ თანაარსებობას თავიდან ვერ ავიცილებთ, მთავარია შეცვლა მოქნილად და მეთოდურად განხორციელდეს“.

„ერთითვისებრიობის მეორეთი ნახტომისებრი, რევოლუციური შეცვლის მწარე მოცდილება გვაქვს,

ამიტომ ერთადერთ მისაღებ გზად ბაზრისკენ ინტენსიური ევოლუციური სვლა უნდა მივიჩნიოთ. მხოლოდ ასეთი გზა აგვაცილებს თავიდან მოსალოდნელ საზოგადოებრივ კატასტროფას. ამასთან, როგორ მოულოდნელადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ბაზრისკენ ამგვარ სვლას დროც ნაკლები დასჭირდება, გადასვლა თანდათანობითი და რაც არსებითია, საფეხურებრივი უნდა იყოს“ (გაზეთი „კომუნისტი“ 1990 წ. 5 ოქტომბერი).

ცხოვრება ახალ-ახალ გამოწვევებს გვთავაზობდა. საჭირო იყო არაორდინალური ფორმებითა და მეთოდებით მოქმედება. ამ მხრივ, ყველაზე მკვეთრი ნაბიჯი გადაიდგა 1990 წელს, როცა საქართველოს უმაღლესმა საბჭომ (საბჭოთა ორგანო) მიიღო გადაწყვეტილება 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყნად აღიარების შესახებ. ამ დოკუმენტის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ არგუმენტირებული დასკვნები აქვს გაკეთებული აკადემიკოს აპოლონ სილაგაძეს (დაინტერესებულ მკითხველს ვთხოვ გაეცნოს მის ნაშრომს – „ქართული იდეა“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2010 წ.). წარმოვადგენ ერთ ამონარიდს: „1990 წლის მარტში საქართველოს უმაღლესმა საბჭომ (ხაზგასმით: საბჭოთა ორგანომ) გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯი: 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში წითელი არმიის შემოსვლას მისცა აგრესიის კვალიფიკაცია, საქართველო აღიარა ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყნად და გააუქმა პრაქტიკულად ყველა ძირითადი საკანონმდებლო აქტი, რომელიც 1921 წლის თებერვლის შემდეგ იყო მიღებული, მათ შორის 1921 წლის მაისის სამოკავშირეო ხელშეკრულება. ამის შემდეგ იურიდიულად საქართველო საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა. ეს უნიკალური გადაწყვეტილება იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი წვლილი შეიტანა დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ამ აქციას წინ უსწრებდა ხელისუფლების თანმიმდევრული ნაბიჯების მთელი სერია: საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა შესწორებები, რის შედეგად ერთი მუხლი განმარტავდა, რომ საქართველოს სსრ არის სუვერენული სახელმწიფო, რომელსაც აქვს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის წმიდათანმიდგა უფლება, ხოლო ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვა ცენტრის მხრიდან ნიშნავს ქვეყნის ავტომატურად გასვლას საბჭოთა კავშირიდან. იგივე შესწორებები აღიარებდნენ საქართველოს კანონების უზენაესობას საკავშირო კანონების წინაშე.

რა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს მთელ ამ ისტორიას?

მხოლოდ ერთი: საბჭოთა საქართველოს ქართველობა – ერთიანად ეროვნული სუვერენიტეტის მატარებელი ძალა იყო (უსამართლობა და დანაშაული იქნება, თუ ვინმე სერიოზულად ფიქრობს ამ ნიშნით მის დიფერენცირებას). ეს ისეთივე ძალა იყო, როგორც მისი წინამორბედები და შესაფერის დროს უცდიდა, რათა სუვერენობის ისტორიულად ჩამოყალიბებულ უნივერსალური თვისება აემოქმედებინა“.

ამ მოსაზრებებს არა მხოლოდ ვიზიარებ და მხარს ვუჭერ, არამედ ვადასტურებ, როგორც აღნიშნული

გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთი უშუალო მონაწილე. აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ფაქტობრივად მოამზადა ქვეყნის სრული სუვერენიტეტის თანამედროვე სტანდარტებით აღდგენა-გაფორმების პოლიტიკური და იურიდიული საფუძველი.

რაც შეეხება ეკონომიკას, მისი თვისებრივი გარდაქმნების დაწყებას ადასტურებს იმ დროის მთავრობის მიერ განხორციელებული არასტანდარტული ღონისძიებები. ზოგიერთ მათგანს დავასახელებ:

1990 წელს საბჭოთა საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო რამდენიმე პოლიტიკური გადაწყვეტილება საბაზრო პრინციპების დამკვიდრების დაჩქარების შესახებ. ასე მაგალითად, საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის შესახებ (შედგა პირველი მოსმენა). მთავრობამ მიიღო ნორმატიული აქტები კოოპერატივების განვითარების, გლეხებისთვის მიწის დამატებითი ფართობების გამოყოფის, საიჯარო ურთიერთობების განვითარების, მთის ზონაში კოლმეურნეობების ბაზაზე გლეხური (ფერმერული) მეურნეობების შექმნის შესახებ და ა.შ.

1990 წელს მთავრობის გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე შესასყიდი ფასები (მაგალითად, ყურძნის შესასყიდი ფასი 55 კაპიკიდან 1 მანეთამდე გაიზარდა). 1989-1990 წლებში საქართველოს მთავრობამ საკავშირო ორგანოების კუთვნილი თანხა (მაშინდელი არსებული კანონმდებლობით რესპუბლიკებში აუთვისებელი კაპიტალურ დაბანდებებს ცენტრი იბრუნებდა, ეს დაახლოებით 250-270 მლნ. მანეთს შეადგენდა) ადგილზე (რესპუბლიკაში) განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებათა დაფინანსებისთვის გამოიყენა. მაგალითად, 1990 წელს მეცნიერებათა აკადემიას დამატებით გამოეყო 10 მლნ მანეთი, კინოსტუდიას „ქართული ფილმი“ – 9,5 მლნ. ახალი კინოსტუდიის შექმნისთვის – 3 მლნ., ინვალის ბავშვების სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობისთვის – 1 მლნ მანეთი. საერთოდ, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტს ზემოთ გამოყოფილი იყო 156 მლნ მანეთი.

1989 წელს აჭარის მთიან ზონაში (შუახევის რაიონი) სტიქიური მოვლენების შედეგად (მენყერული პროცესები) ადამიანები დაიღუპნენ, ასეულობით ადამიანმა სახლ-კარი დაკარგა. საჭირო გახდა მოსახლეობის სხვა რეგიონებში ჩასახლება. ახალქალაქსა და ბოგდანოვკაში გადასცა 1000 ოჯახის ჩასახლება (პერსპექტივაში 5000 ოჯახის ჩასახლება, რაც მომავალში თვისებრივად შეცვლიდა დემოგრაფიულ სიტუაციას), ასევე ლეჩხუმიდან სტიქიის შედეგად დაზარალებული ასეულობით ოჯახი ქვემო ქართლის ზონაში დასახლდა. ყველა მათგანს ადგილებზე შეუნარჩუნდათ საკარმიდამო ნაკვეთები, სამეურნეო ნაგებობები, რომელთა გამოყენება შეიძლებოდა. ასეთ მიდგომას არა მხოლოდ მორალური (ნათესაობითი კავშირების შენარჩუნება და სხვ.), არამედ სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა (რეგიონთაშორისი კავშირების გაღრმავება) და სრულად შეესაბამებოდა მოსახლეობის გეგმაზომიერი გადაადგილების ეროვნულ ინტერესებს.

1989 წელს რესპუბლიკაში კაპიტალურმა დაბანდე-

ბებმა (შესადარ ფასებში) შეადგინა 3 მლრდ. მანეთი (გაეროს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციით მშპ დეფლირებით გაანგარიშებული პარიტეტი 2008-1990 წლებს შორის შეადგენდა: 100 მანეთი = 225,4 ლარს), ექსპლუატაციაში გადაეცა 1.771 ათასი კვ.მ. საცხოვრებელი ფართი. ნარმოებულ იქნა 12 მლრდ 268 მლნ მანეთის სამრეწველო პროდუქცია (შესადარ ფასებში). სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნარმოებამ გადააჭარბა 3 მლრდ მანეთს. ელექტროენერჯის ნარმოებამ 14,6 მლრდ კვ. საათს. გაზის მოხმარებამ 5 მლრდ მ3 შეადგინა.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა გადააჭარბა 4,9 მლრდ მანეთს. მოსახლეობის ანაზრებმა შეადგინა 7 მლრდ მანეთი. ძირითადი ფონდების ღირებულება შეადგენდა 40 მლრდ მანეთს. საქართველოში მიღწეული იყო განათლების, მეცნიერების, კულტურის განვითარების მაღალი დონე. 1989 წელს ფუნქციონირებდა 153 სამეცნიერო დაწესებულება, რომელშიც მოღვაწეობდა 30 ათასი კაცი, მათ შორის, მეცნიერების 1387 დოქტორი. ყოველ 1000 კაცზე უმაღლესი და საშუალო განათლება ჰქონდა 877-ს, მათ შორის, უმაღლესი განათლებით იყო 151 კაცი. ამავე წელს მუზეუმებში დამთვალიერებელთა რაოდენობამ 8 მლნ. კაცი შეადგინა, თეატრებში დასწრეთა რაოდენობამ – 2 მლნ 778 ათასი კაცი, ქართული ნიგნი მლნ. ეგზემპლარებად გამოდიოდა.

მოსახლეობის 1989 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობამ შეადგინა 5443,4 ათასი კაცი. ამავე წელს დაიბადა 93 ათასი ბავშვი. მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 47 ათასი კაცი. სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო 2,3 მლნ. კაცი. 1990 წელს ნარმოებული იყო 691 ათასი ყურძენი, 501,7 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 591 ათასი ტონა ხილი, 444 ათასი ტონა ბოსტნეული, 659 ათასი ტონა რძე, 170 ათასი ტონა ხორცი, 769,2 მლნ ცალი კვერცხი და სხვ. გადაიდგა პირველი ნაბიჯები უცხოელებთან ერთობლივი სანარმოების შესაქმნელად. ასეთი ტიპის 50 სანარმო 1989 წელს მუშაობდა.

1989 წელს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მონვევის უზენაესი საბჭოზე მთავრობის მოხსენების შემდეგ განისაზღვრა კომპლექსური ღონისძიებები 5 მთავარი მიმართულების (ეკოლოგიური განვითარება, დემოგრაფიული გაჯანსაღება, ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადაყვანის საფუძვლების მომზადება, განათლების, კულტურის, მეცნიერების განვითარება, ჯანმრთელობის დაცვა) მიხედვით. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა დემოგრაფიული ცენტრი (შემდგომში ინსტიტუტი), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, გაძლიერდა დარგობრივი ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეიქმნა საფუძველი მეცნიერების საქმიანობის მიზნობრივი პროგრამებით წარმართვისათვის და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მთის რეგიონების განვითარების პრობლემების გადაწყვეტას.

აღსანიშნავია, რომ 70-80-იან წლებში რესპუბლიკაში ჩატარებული ეკონომიკური ექსპერიმენტების ლოკალური შედეგები (რომლებსაც სოციალისტური მეურნეობრიობის ფონზე საბაზრო ელემენტებს შეიცავდა) ჩამოყალიბდა როგორც გამოცდილება. იგი გვიჩვენებდა არა მხოლოდ იმას, რა იყო სიცოცხლისუნარიანი და პერსპექტივაში გამოსაყენებელი, არამედ იმასაც, მომავალში რა არ გამოგვადგებოდა.

ამ მიზნით თვისებრივად ახალი იყო მიდგომები, რომლებიც გამოყენებულ იქნა ფოთისა და აბაშის ექსპერიმენტებში, ასევე სოციალურ სფეროში მიმდინარე პროცესების (გაგრასა და სოხუმში დამსვენებელთა კომპლექსური მომსახურების ორგანიზაციის სრულყოფა) რეგულირებისთვის. მთავარი აქცენტი გადავიტანეთ მატერიალური დაინტერესების (საბაზრო ელემენტი) გაძლიერებაზე. ყველა კარგად ხედავდა, რომ შიშველი ენთუზიაზმი განვითარების მთავარი საფუძველი კი არ არის, არამედ მატერიალურთან შერწყმით და მიზანმიმართული გამოყენებით იძლევა მაღალ ეფექტიანობას.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ 1990 წელს, როცა რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირების რღვევა დაიწყო (რ.ფ.ს.რ. უზენაესმა საბჭომ, ასევე ზოგიერთმა სხვა რესპუბლიკამაც, სამეურნეო სუბიექტებს აუკრძალეს სხვა რესპუბლიკების შესაბამის სუბიექტებთან სამეურნეო კავშირების განხორციელება), საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით მოხერხდა რუსეთთან ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება. ეს იყო ჯერ კიდევ არსებული საბჭოთა კავშირის ორ რესპუბლიკას შორის ახალი ტიპის ეკონომიკური თანამშრომლობის პირველი შემთხვევა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სხვა რესპუბლიკებთან ერთობლივი სანარმოების შექმნას, იჯარით სატყეო მეურნეობების აღებას, ორმხრივი კავშირების გაფართოებას, საბარტერო გაცვლებს და სხვ. მაგალითად, ირკუტსკის ოლქში საქართველომ იჯარით აიღო 100 ათას ჰა-მდე ტყის ფართობი (იქ ნარმოებული ხე-ტყე რესპუბლიკას მოხმარდებოდა, ეომნლიც საშუალოდ წლიურად რუსეთის ფედერაციიდან 1,5 - 1,7 მლნ. მ3 ხე-ტყეს იღებდა).

ხელშეკრულებები დაიდო აზერბაიჯანთან, ყირგიზეთთან, თურქმენეთთან. ასეთი ჰორიზონტალური კავშირები ნავარაუდევია იყო მომავალში მათთან საბაზრო პრინციპებზე თანამშრომლობის გაღრმავებისთვის.

ზემოთ აღნიშნული გვიჩვენებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას კარგად ესმოდა ახალი გამოწვევების მნიშვნელობა და ყოველმხრივ ცდილობდა ადეკვატური პოლიტიკის განხორციელებას!

1990 წლის ბოლოსთვის, ეროვნული ეკონომიკის მომავალი ტრანსფორმაციისთვის მნიშვნელოვანი მარაგანაკეთი შეიქმნა. ამით იმის თქმა მინდა, რომ XX საუკუნის 80 წლების ბოლოს მკაფიოდ ჩამოყალიბდა საქართველოს ხელისუფლების მიდგომები (სტრატეგიული ხედვები) ეროვნული ეკონომიკის სტაბილური განვითარებისა და ახალ გამოწვევებთან ადაპტირებისთვის.

ასეთ სიტუაციაში, ზემოთ ნახსენებ 3 მიდგომას შორის, საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა მეორე მიდგომას (რაც გულისხმობდა საქართველოს დამოუკიდებლობის სწრაფად მიღებას) და საბჭოთა სისტემაში პირველად და ყველაზე დემოკრატიულად (თავად ხელისუფლების ნებით) ჩატარებულ არჩევნებ-

ზე (1990 წლის 28 ოქტომბერი) გაიმარჯვა ოპოზიციამ – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“.

ნიშანდობლივია, რომ კომუნისტურმა ხელისუფლებამ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მაღალი დონით გამორჩეული ქვეყანა (სამშობლო) გადააბარა ხალხის ნებით არჩეულ ხელისუფლებას. ეს უნიკალური მოვლენა იყო საქართველოში. სამწუხაროდ, ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, ეს უპირატესობა საქართველომ ვერ გამოიყენა!

ეიფორია და ახალი ხელისუფლება

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული არჩევნების შედეგად შეიქმნა ეიფორიული მდგომარეობა, რასაც სუბიექტურთან ერთად ობიექტური ფაქტორებიც განაპირობებდა. ერთის მხრივ, საზოგადოების საერთო ამალგებული განწყობა მიანიშნებდა, რომ შესაძლებელი იყო ერის კონსოლიდაციის რეალური წინაპირობების შექმნა, მეორეს მხრივ, პრაქტიკულად დადგა ურთულესი ამოცანა: – ახალი ტიპის სახელმწიფოს მშენებლობისა. ეს დიდი პრობლემა ახალი გამარჯვებული პოლიტიკური ძალისგან მოითხოვდა საზოგადოებრივი პროცესების ღრმა ცოდნას, სახელმწიფოებრივ აზროვნებას, რაც მთავარია, მოზღვავებული ეროვნული ენერჯის სწორად წარმართვას. დადგა მოქმედების დრო. დისიდენტური აზროვნება საკმარისი არ აღმოჩნდა, ამასთან იმძლავრა მიტინგობანას პათოსმა.

პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებით გამოწვეულ აღტკინებასთან ერთად გამოჩნდა ისტერიული მოწოდებებიც, რომლებიც აუბრალოებდა ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობას. მაგალითად, „მზად ვართ ბალახით ვიკვებოთ“, „ბორჯომის წყალი გადაგვარჩენს“, „ბაზარი ყოვლისშემძლეა, იგი თვითონ უზრუნველყოფს კეთილდღეობას“, „სახელმწიფო არ ჩაერიოს ეკონომიკაში“, „საკმარისია ქართველ გლეხს მინა საკუთრებაში მივცეთ, რომ ქვეყანა გამდიდრდეს“.

ეს ლოზუნგები დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება გულუბრყვილოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ მაშინდელი პოლიტიკური პროცესის აქტიური ნაწილის ასეთი პოზიცია არსებითად განსაზღვრავდა ქვეყნის განვითარების ვექტორს და მოიაზრებოდა მთელი საზოგადოების სულისკვეთებად. ამასთან, საზოგადოების ყველაზე რადიკალური ჯგუფები ახალი ხელისუფლებისგან მოითხოვდნენ რუსეთთან ომის ოფიციალურად გამოცხადებას, რუსეთისთვის ეკონომიკურ ბლოკადას, „წითლებსა“ და „თეთრებს“ შორის (ეს მათი ტერმინია) შეურიგებელ ბრძოლას, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების „ბუღდოზერით“ მოსწორებას და სხვ.

ასეთი ზენოლა ხელს უწყობდა ესკალაციას, ამკვიდრებდა უნდობლობას. ახალ, თანაც გამოუცდელ ხელისუფლებაში თავი იჩინა წინააღმდეგობებმა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ერთიანი პოლიტიკური გუნდი გაიხლიჩა, სამოქალაქო დაპირისპირების კერები ჩამოყალიბდა. ასეთ პირობებში უზუნაესმა საბჭომ უხეში შეცდომა დაუშვა და უსაფუძვლო გადანყვებილება მიიღო – კომუნისტი დეპუტატები დაითხოვა. საზოგადოება გაიხლიჩა. ეროვნული ენერჯია ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების ამბიციებში გაიფანტა, ხელისუფლება მრავა-

ლმხრივი დაწოლის ქვეშ აღმოჩნდა. ქვეყნის პრეზიდენტი (როგორც გარედან, ასევე შიგნიდან) იზოლაციაში მოაქციეს. საზოგადოებაში წონასწორობის აღდგენისთვის პროფესიონალების (მათ შორის კომუნისტების) მიწვევის მცდელობა დაგვიანებული იყო. შეცდომა იყო არსებული სახელმწიფო სტრუქტურების მყისიერი მოშლა, გამოცდილი კადრების მასობრივი დათხოვნა, საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის ხელოვნურად შექმნილი დაპირისპირება და სხვ.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ 1991 წელს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ წამოაყენა ქვეყნის (ეკონომიკის) განვითარებაში კონვერგენციული მიდგომის (პრინციპების) გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი. ეს ფაქტობრივად ნიშნავდა თანამედროვე მიდგომებით და არა ცალკეული „იზმების“ გავლენით ჩამოყალიბებული დოგმებით ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებაზე ორიენტაციას. იმ დროისთვის ასეთი პოლიტიკურ-თეორიული მიდგომა (მსოფლმხედველობითი პოზიცია) ჩემი აზრით, ობიექტურიც იყო და პრინციპულიც, ამასთან გამართლებული სტრატეგიული დატვირთვაც ჰქონდა. სამწუხაროდ, სამხედრო გადატრიალებით (მისი უკიდურესი ფორმით) კონვერგენციის თეორია და მისი ავტორი ზვიად გამსახურდიას მთავრობა დაამხეს!

საქართველომ ხელიდან გაუშვა ისტორიული შანსი და ობიექტურად ჩამოყალიბებული შესაძლებლობა კოალიციურ საწყისებზე (ეროვნული კომპრომისი – თანხმობა) ჩამოყალიბებულიყო ადეკვატური სახელმწიფო, ეკონომიკური და საზოგადოებრივი სისტემები და თანდათანობით, ეტაპობრივად გამკლავებოდა დროით ნაკარნახევ სიძნელეებს და წარმატებით აეშენებინა ქვეყნის მომავალი.

სამხედრო გადატრიალების შემდეგ მოსული ხელისუფლება შეეცადა დაეჩქარებინა „თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე“ (კერძო კაპიტალიზმზე) ეროვნული მეურნეობის გადასვლის პროცესი და რაც ნიშანდობლივია, ამ ამოცანის გადანყვება დაიწყო სახელმწიფო (სამინისტროების, უწყებების), რეგონული სტრუქტურების გაუაზრებელი რეორგანიზაციით. მათთვის ფუნქციონალური უწყების სტატუსის განსაზღვრით, მაშინ, როცა ექსტრემალურ პირობებში სახელმწიფო სტრუქტურების მამობილიზებელი როლის გაძლიერება იყო საჭირო. ამან გამოიწვია ისედაც უმართავი სიტუაციის გაღრმავება-გამძაფრება და გარდაქმნების რთული პროცესის თვითდინებაზე მიშვება, რასაც, ამას მოჰყვა ეთნოკრიზისები და ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებაში აღმოჩნდა. რეალურად შეიქმნა ტერიტორიების დაკარგვის წინაპირობებიც. ბუნებრივია, ასეთი წინააღმდეგობების ფონზე ქვეყანა, განსაკუთრებით მისი ეკონომიკა, ქაოსმა მოიცვა.

ამრიგად, ეროვნული ეკონომიკის განვითარების ახალი, პოსტსაბჭოთა ეტაპი საზოგადოების დაბნეულობით, სამოქალაქო დაპირისპირებებით, კრიმინალური აზროვნების აღზევებით დაიწყო. თუ როგორ განვითარდა იგი, ეკონომიკამ როგორი ტრანსფორმაცია განიცადა, როგორია მისი ამჟამინდელი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, განვითარების პერსპექტივა – ჩემს მოსაზრებებს მოკლედ გაგაცნობთ.

წერილი მეორე

ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის ზიგზაგები

1990 წლიდან განვლილ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ოთხი ძირითადი ეტაპი შეიძლება გამოვყოთ. ესენია: **I ეტაპი – 1991-1995 წლები, II ეტაპი – 1996-2003 წლები, III ეტაპი – 2004-2012 წლები და IV ეტაპი – 2013 წლიდან.**

თითოეულ ეტაპს საკუთარი, ერთმანეთისგან განმასხვავებელი ნიშნები, თავისებურებები და ტენდენციები აქვს. მათი ანალიზი საშუალებას მოგვცემს რეალურად წარმოვიდინოთ ეკონომიკური გარდაქმნების მთლიანობითი პროცესი.

I ეტაპზე უაღრესად რთულ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მიზანმიმართულად დაიწყო მემკვიდრეობით მიღებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების მყისიერი დაშლა-დანგრევის (და არა დემონტაჟის) პროცესი. შედეგმაც არ დააყოვნა – 1994 წელს მშპ შეადგენდა 1988 წლის მხოლოდ 27,8%-ს. კატასტროფულად დაეცა: სამრეწველო პროდუქციის წარმოება (85 პროცენტული პუნქტით), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება (2-ჯერ), კაპიტალური დაბანდებები (97,2 პროცენტული პუნქტით), ტვირთბრუნვის მოცულობა (67 პროცენტული პუნქტით).

აღსანიშნავია, რომ 1994 წელს წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა პირველად მიღწეულ იყო 1954 წელს (40 წლის წინათ), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა 1945 წელს (49 წლის წინათ), კაპიტალური დაბანდებების მოცულობა – 1959 წელს (35 წლის წინათ), ტვირთბრუნვა (რკინიგზის ტრანსპორტით) – 1940 წელს (54 წლის წინათ). ყოველივე ეს ადასტურებდა, რომ ქვეყნის ეკონომიკა შევიდა სისტემურ კრიზისში. ამასთან, 1994-1995 წლებში ხელისუფლებამ რიგი ღონისძიებები განახორციელა. კერძოდ, 1994 წელს მიღებულ იქნა ანტიკრიზისული პროგრამა, 1995 წელს – ქვეყნის კონსტიტუცია. დაიწყო მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება. დამტკიცდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმა, მიღებულ იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი. ყოველივე ამან ეკონომიკის სისტემიდან გამოყვანის ფონი შექმნა, ეკონომიკაში გამოცოცხლების ნიშნები გაჩნდა.

II ეტაპისთვის (1996-2003 წწ.) დამახასიათებელი იყო მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის შედარებით მაღალი ტემპები (ზრდის ტემპმა შეადგინა 1996 წელს წინა წელთან შედარებით 111,2%), 1997 წ. – 110,8%, 200 წელს – 101,8 (რაც გამოწვეული იყო რუსეთის 1998 წლის კრიზისის გავლენით), 2001 წელს – 104,2%, 2002 წელს – 105,5%, 2003 წელს – 111,1%. ამავე წელს მშპ 1990 წლის მიმართ შეადგინა 46,8%.

ამ ეტაპზე ძირითადად განხორციელდა სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია, რომლის შედეგად ჩამოყალიბდა მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოება. ამ პერიოდში აღინიშნა ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაჩანაგება. აგრარულ სექტორში მსხვილი წარმოება შეიცვალა წვრი-

ლი წარმოებით. ამასთან, გაფართოვდა მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ეროვნული ეკონომიკის მონაწილეობა, დამყარდა მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ სტრუქტურებთან, საქართველო მიიღეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრად, გამოიკვეთა ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია. ამასთან, ამ ეტაპზე დაფიქსირდა კორუფციის მაღალი დონე. მიუხედავად მშპ-ის ზრდის შედარებით მაღალი მაჩვენებლებისა (ამოსავალი საწყისი იყო დაბალი) ეკონომიკა ისევ კრიზისში იმყოფებოდა და „ფუნქციონირებდა“ ეგზოგენური ფაქტორების გავლენით.

III ეტაპზე (2004-2012 წწ.) ქვეყანაში დეკლარირებული იყო კორუფციასთან, ეკონომიკურ დანაშაულთან კომპლექსური ბრძოლა (შესაბამისი ღონისძიებებით), უფრო გაღრმავდა საერთაშორისო სტრუქტურებთან კავშირები, პრიორიტეტული მნიშვნელობა მიეცა ინსფრასტრუქტურის სწრაფი ტემპებით განვითარებას („ტრასეკასა“ და „ენერგეტიკული დერეფნის“ ობიექტების დიდი ნაწილი ექსპლუატაციაში შევიდა). გაფართოვდა საავტომობილო გზების მშენებლობა, შეიცვალა სოციალური სფეროს ფუნქციონირების პრინციპები. გაუაზრებლად განხორციელდა მეცნიერების რეორგანიზაცია, რასაც არსებული სისტემის ნგრევა მოჰყვა. გაიზარდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, 7-ჯერ გაიზარდა სახელმწიფო შემოსავლებიც. განხორციელდა „აგრესიული პრივატიზაცია“ (სლოგანი „ყველაფერი გაიყიდოს სინდისის გარდა“). ამ ეტაპზე ზრდის ტემპმა შეადგინა 2004 წელს – 105,9%, 2005 წელს – 109,6%, 2006 წელს – 109,4%, 2007 წელს – 112,3%, 2008 წელს – 102,6%, 2009 წელს – 96,3% (რუსეთ-საქართველოს ომი), 2010 წელს – 106,2%, 2011 წელს – 107,2%, 2012 წელს – 106,4%.

ამ ეტაპზე ეროვნული ეკონომიკა მოწყდა ტრადიციულ რუსულ ბაზარს. 2008 წლის საომარმა მოქმედებებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ეკონომიკის განვითარება. 2012 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობამ 1990 წლის მიმართ შეადგინა 80%, ხოლო მის სტრუქტურაში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობამ – 53,7%, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ – 37,6%. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერა (2008 წელს საქართველოს 4,5 მლრდ. დოლარი გამოეყო). მიუხედავად ეკონომიკის გამოცოცხლებისა, რასაც ადასტურებდა ზრდის სიმპტომები, ამ ეტაპზეც ეკონომიკა კრიზისში (უფრო სწორად, მის ქრონიკულ ფაზაში) იმყოფებოდა და ცალკეულ პერიოდებში ავლენდა გამოცოცხლების ნიშნებს.

განვლილ პერიოდში (1990-2012 წწ.) ეკონომიკის ტრანსფორმაციის გამოკვეთილ თავისებურებად გამოვლინდა განვითარების ზიგზაგისებური ხასიათი: ცალკეულ ეტაპებზე გამოცოცხლება და დეპრესია, ტრანსფორმაციული პროცესების თვითდინებაზე მიშვება და ეპიზოდურად სახელმწიფოს მხრივ კოორ-

დინაციის ფუნქციების განხორციელების ნება, ღია ეკონომიკის წესებით (პრინციპებით) ფუნქციონირება და სამამულო წარმოების ინტერესების დაცვის სპონტანური მცდელობები, ჩრდილოვან ეკონომიკასთან დეკლარირებული ბრძოლა და ეროვნული სიმდიდრის ძარცვის მოტივაციის („ელიტური ხერხების“ გამოყენებით) აღზევება.

IV ეტაპის (2013 წლიდან) დაწყება დაკავშირებულია ახალი ხელისუფლების („ქართული ოცნების“) ეკონომიკის მიმართ დამოკიდებულების შეცვლასთან. ხელისუფლებამ უპირატესობა მიანიჭა ეკონომიკური და ორგანიზაციული ფაქტორების აქტიურად გამოყენებას. 2013-2016 წლებში ეკონომიკის განვითარებაში აღინიშნა ზოგიერთი პოზიტიური პროცესი. კერძოდ, ინტეგრაციული პროცესები გაფართოვდა (რუსეთი, ჩინეთი), ეკონომიკური პროტექციონიზმის (როგორც მანევრირების საშუალების) ჯანსაღი ელემენტების (მინის დამუშავება, გასარწყავება, ცალკეული პროდუქციის წარმოების სტიმულირება, პროგრამა „ანარმე საქართველოში“ და სხვ.) და ბიზნესთან პარტნიორული ურთიერთობების მოქნილი ფორმების გამოყენებით მოტივაცია გაიზარდა, თანამედროვე ტექნოლოგიებზე ახალი სიმძლავრეები შეიქმნა, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა ყალიბდება და ა.შ. თუმცა, ეს მხოლოდ ეკონომიკური პროცესების გაჯანსაღების სიმპტომებია და ჯერ კიდევ არ იძლევა საფუძველს, რომ ჩამოყალიბებულ ტენდენციებზე მივიჩნიოთ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ **გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთ კონცეპტუალურ თავისებურებას წარმოადგენს ეკონომიკის მრავალწყობიანობა (მრავალსუბიექტიანობა)**. მხედველობაში გვაქვს კერძო, სახელმწიფო და წვრილსასაქონლო წყობის ერთიან პროცესში ფუნქციონირება. თუ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში მრავალწყობიანობა განიხილებოდა როგორც გარდამავალი ეკონომიკის თვისება, აუცილებელი წინაპირობა შემდგომში ერთწყობიან (სოციალისტურ) ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლისთვის, სოციალისტური ეკონომიკური სისტემიდან თანამედროვე საბაზრო პრინციპებზე ამჟამად ფორმირებული მრავალწყობიანობა (მრავალსუბიექტიანობა) უნდა განვიხილოთ, როგორც ქვეყნის ახალი (მომავალი) ეკონომიკური სისტემის მატერიალური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძველი. **მომავალში საკუთრების ერთ რომელიმე ფორმაზე (თუნდაც კერძო საკუთრება) ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ლოგიკითაც არარეალურია.**

თანამედროვე მსოფლიო გამოცდილებით დასტურდება საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების პლურალიზმის უპირატესობა. ამას ადასტურებს განვითარებული ქვეყნების გენეზისი, ეკონომიკურ წყობათა ურთიერთშეღწევის, ურთიერთგანპირობებულობის მაღალი დონე, განვითარებაში სოციალური მიმართულების აღიარება და სხვ.

ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში აღმოჩნდა, რომ თავად ობიექტური პროცესი – საბაზრო პრინციპებზე გადასვლა – დამანგრეველი ფაქტორი

გახდა. ეს მაშინ, როცა სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში მაღალი ტემპებით განვითარდა ეკონომიკა, შეიქმნა მისი თანამედროვე დარგები, არნახულ დონეს მიაღწია განათლების, მეცნიერების, კულტურის განვითარებამ. საკმარისია, თუნდაც ერთი მაგალითის დასახელება. 1897 წელს საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სოფლად ცხოვრობდა 85%, მათ შორის, წერა-კითხვის უცოდინარი იყო 78%. 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 99,8% წერა-კითხვის მცოდნე იყო, რაც მსოფლიოში (იმ პერიოდში) ერთ-ერთ მაღალ მაჩვენებლად იყო აღიარებული.

ეს მოვლენა უნდა აიხსნას იმით, რომ სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში ტრანსფორმაციული პროცესების რეგულირება წარმოადგენდა სახელმწიფოს ექსკლუზიურ ფუნქციას. ხოლო საბაზრო პრინციპებზე გარდამავალ პერიოდში სწორედ სახელმწიფომ (რომლის ინტერესებს ხელისუფლება გამოხატავდა) სწორად ვერ განსაზღვრა სტრატეგიული განვითარების კურსი, უარი თქვა საკუთარი, ექსკლუზიური ფუნქციების შესრულებაზე. ურთულესი პროცესების რეგულირება ცალმხრივად, რევანშიზმზე დაფუძნებულ „ლიბერალიზაციას“ მიახლო (უფრო ვრცლად ქვევით განვიხილავთ). მივიღეთ „ველური კაპიტალიზმი“ და „სოციალური დარვინიზმის“ პრინციპებზე მოქმედი სისტემა. 1995 წელს სულ სახალხო მეურნეობაში საშუალო ნომინალური ხელფასი შეადგენდა 13,6 ლარს, მათ შორის, მრეწველობაში – 20,5 ლარს, სოფლის მეურნეობაში – 4,6 ლარს, ვაჭრობაში – 8,7 ლარს. ამავე წელს პენსია შეადგენდა 8 ლარსა და 50 თეთრს, სურსათის სადღეღამისო მოხმარებამ შეადგინა 1695 კ/კალორია.

ამასთან, განვიხილოთ პერიოდში ჩამოყალიბდა ქვეყნის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორთა ერთობლიობა. საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციაზე დიდი გავლენა აქვს გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკას. როგორც პოზიტიური მოვლენა უნდა აღინიშნოს საერთაშორისო პროექტების („ტრასეკა“, „ენერგეტიკული დერეფანი“) რეალიზაცია. საქართველომ შეიძინა ახალი ფუნქცია – მის ტერიტორიაზე საერთაშორისო კაპიტალის ფორმირებაში მონაწილე სუბიექტის ფუნქცია. გეოეკონომიკური უპირატესობა ჩამოყალიბდა როგორც სტრატეგიული რესურსი. საქართველო ევროპისა და აზიის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების ობიექტი გახდა.

გარდამავალ პერიოდში ბევრ ბუნდოვან კითხვას გაეცა პასუხი. უფრო ცხადი გახდა, რომ თავისუფლება და წესრიგი თავსებადია, მაგრამ იგი ავტომატურად არ მიიღწევა. აუცილებელია სახელმწიფოს მრავალმხრივი ძალისხმევა, პროფესიული მიდგომა. სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გეგმავლობითი მართვა (რეგულირება) რომელიმე პოლიტიკური იდეოლოგია კი არ არის, არამედ საზოგადოების განვითარების საყოველთაოდ აღიარებული კანონზომიერებაა. საზოგადოება ბაზარს კი არ ემსახურება, პირიქით, ბაზარი საზოგადოებას, თანაც არა მხოლოდ მის ერთ ნაწილს, არამედ საერთოდ, ადამიანს, საზოგადოების

ყველა წევრს. აქედან ცხადია, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა (სოციალურ-ეკონომიკური სისტემა) ქვეყნის გრძელვადიან სტრატეგიას უნდა დაეფუძნოს.

განვლილ პერიოდში არ დადასტურდა ზოგიერთი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომაც. მაგალითად საბაზრო მექანიზმზე გაფეტიშებული წარმოდგენები, საერთაშორისო ეკონომიკური და სხვა სტრუქტურების, ასევე საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების, ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ შემოთავაზებული „რეკომენდაციების“ მართებულობა. თვითრეგულირების („უხილავი ხელის“) უნივერსალური ხასიათის შესახებ სტერეოტიპი დაიმსხვრა. ამასთან კვლავინდებურად მძლავრობს ილუზია, რომ დროთა განმავლობაში სტიქია ჩაცხრება და გამოვალთ კრიზისიდან.

პოზიტიურია ის, რომ ტრანსფორმაციის პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდა. ფარდა აეხადა ზიგ-ზაგისეზური ხასიათის წარმომშობ მიზეზებს. **საზოგადოება მიხვდა: ვინ, ვინ არის.** ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას საზოგადოება მხარს უჭერს. მკვიდრდება საბაზრო მენტალიტეტი. გეოეკონომიკური უპირატესობა სახეზეა. საზოგადოება აცნობიერებს სოციალური პოლარიზაციის საშიშ ხასიათსაც.

ეკონომიკა ჩართულია ინტეგრაციულ პროცესებში, კერძო სექტორი დომინირებადია (თუმცა იგი ჯერ კიდევ სუსტია), შეიქმნა საკუთრების ფორმების პლურალიზმის საფუძვლები, ჩამოყალიბდა საბაზრო ინფრასტრუქტურა, ქვეყანას აქვს მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერა და ა.შ.

ამრიგად, განვლილ პერიოდში ეკონომიკის ტრანსფორმაციის შედეგად მივიღეთ ჯერ კიდევ სუსტი საბაზრო ეკონომიკური სისტემა, რომელიც სისტემური კრიზისის ქრონიკული ფაზისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს (ზიგ-ზაგისეზური ხასიათი) ატარებს. ეკონომიკა განვითარებაში ჩამორჩა. საზოგადოება ნელა გამოდის იძულებით ნაზიარები კრიმინალური აზროვნებიდან.

თუ პირობითად შევადარებთ განვლილ პერიოდში ეკონომიკის ტრანსფორმაციის შედეგების ნეგატიურ და პოზიტიურ მხარეებს, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ პოზიტიური აშკარად სჭარბობს. ეს უპირატესობა ოპტიმალურად უნდა გამოვიყენოთ – იგი უნდა დაედოს საფუძვლად „გარღვევის“ სტრატეგიას.

პრივატიზაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

ეკონომიკური გარდაქმნების I ეტაპზე ცენტრალურ ამოცანად მიჩნეულ იქნა შეზღუდულ და ექსტრემალურ (სამოქალაქო დაპირისპირება) პირობებში სახელმწიფო საკუთრების მასობრივი პრივატიზაცია, მაშინ, როცა (ნორმალურ პირობებში) მისი დიფერენცირებულად და ეტაპობრივად განხორციელება იყო საჭირო.

ვიდრე პრივატიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს განვიხილავდეთ, მიზანშეწონილია გავეცნოთ პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩატარებული სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის შესახებ ნობელის პრე-

მიის ლაურეატის ჯოზეპ სტიგლიცის მოსაზრებებს. მისი აზრით „აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ კერძო საკუთრების შექმნასა და ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე. პრივატიზაციის პროცესს გარდამავალ ეკონომიკებში თან ახლდა მძიმე შეცდომები. დღეს ცხადია, რომ პრივატიზაციის მომხრეებმა ვერ შეაფასეს თვით პროცესის დანაკარგები – განსაკუთრებით პოლიტიკური, აგრეთვე ის დაბრკოლებები, რომლებსაც დაჩქარებული პრივატიზაცია უქმნის შემდგომ რეფორმებს... რეფორმის გამოცდილების გათვალისწინებით, ასეთი პოლიტიკური არჩევა ყოველმხრივ უფრო გაუმართლებელი იყო“.

მსოფლიო ბანკის პირველი ვიცე პრეზიდენტის დიდი დაგვიანებით გამოხატული სინანული (ასეთივე პოზიცია აქვს ა. ბუეჟინსკის) გულისხმობს სიტუაციას, როცა კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად ქვეყანა არ იყო მომზადებული თავად პროცესის დაწყებისთვის. საქართველოში კი ექსტრემალურ პირობებში, როცა გამძაფრდა სამოქალაქო დაპირისპირება, გაღრმავდა ეთნოკრიზისი, როგორც აღინიშნა, საზოგადოება ეიფორიაში აღმოჩნდა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე, საზოგადოების ე.წ. აგრესიული ჯგუფების გავლენით (კრიმინოგენური ვითარება) დაიწყო სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ პრივატიზაცია პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მოიზარებოდა, როგორც ინსტიტუციური გარდაქმნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა, რომელსაც უნდა გამოენვია საზოგადოებრივ ფასეულობათა ღრმა ცვლილებები, ხელი შეეწყოს თვისებრივად ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებისთვის. თანაც სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის მასშტაბურად განხორციელების გამოცდილებაც არ არსებობდა.

ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესის ცენტრალური ფიგურა (სუბიექტი) თავად სახელმწიფო იყო. მან საკუთარი ქონების გასხვისება საზოგადოების დაწყნარების სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობის შერბილების ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნია და განსაზღვრა, რომ სახელმწიფო საკუთრების კერძო მფლობელობაში გადასვლა ფორსირებულად მოხდებოდა და ამით ბუნებრივად ჩამოყალიბდებოდა საბაზრო მექანიზმები ეკონომიკის თვითრეგულირების რეჟიმით ფუნქციონირებისთვის.

რა თქმა უნდა, ეს მიდგომა გაუმართლებელი იყო და შემდგომ პრაქტიკამაც ეს დაადასტურა.

პრივატიზაციის პროცესის მეორე მონაწილე – მყიდველი აღმოჩნდა ის „აქტიური სუბიექტი“, ვისაც ადრე უკანონო შემოსავლები ჰქონდა და ნებისმიერი ქონების შეძენა საკუთარი კაპიტალის ლეგალიზებისთვის სჭირდებოდა. მისი ეს მიზანი ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესების „ჩარჩოში“ განთავსდა და დაჩქარდა იაფი პრივატიზაციის წინააღმდეგობრივი პროცესი, რომლის შედეგი ორივე მხარისთვის მისაღები აღმოჩნდა. **სახელმწიფო ქონება „ფარულ მეპატრონეთა“ მიერ ხელოვნურად იძარცვებოდა, ფუნქციას კარგავდა ადრე მოქმედი მაღალრენტა-**

ბელური სანარმოები. ამ მეთოდით იშორებდნენ იქ დასაქმებულ „ზედმეტ“ პირებს, შემდეგ კი „უფუნქციო“ ობიექტი შექმნიდათ საპრივატიზაციო ქონების ნუსხაში და წინასწარვე შეთანხმებული პირობებით გადადიოდა „ახალი ინვესტორის“ საკუთრებაში. აღინიშნა ისეთი მოვლენაც, რომელიც ცნობილია „ფულის გარეცხვით“. საზოგადოების „აქტიური“ ნაწილი ძირითადი ფონდების ხელოვნურად შემცირების (ასევე ვაუჩერების შესყიდვით) „მაღალწონიანი“ მესაკუთრე გახდა. მათ შეძლეს უკანონოდ შექმნილი ქონების ლეგალიზება. ეს მეთოდი მხოლოდ ქართული ხელწერისა არ არის.

პროცესის მესამე მონაწილე – პრივატიზებულ სანარმოს კოლექტივები და საზოგადოების დიდი ნაწილი, ე.წ. **პასიური სუბიექტები** ფაქტობრივად პროცესს ჩამოცილდნენ. მათ სახსრები არ გააჩნდათ, შემნახველ ბანკებში არსებული მათი ანაბრები უკვე გაუფასურებული იყო. ინფლაცია სამნიშნა ციფრებით დაფიქსირდა. მოშლილი იყო საფინანსო-საკრედიტო სისტემა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალური დესტაბილიზაცია უფრო გაძლიერდა. პრივატიზაციის დეკლარირებული მიზანი – შექმნილიყო ახალი ტიპის მესაკუთრე, რომელიც პირადი მოტივაციით შეძლებდა ეფექტიანობის ამაღლებას, განუხორციელებელი დარჩა.

რა მოგვცა პრივატიზაციამ? 1998 წლისთვის სახელმწიფო სტატისტიკურ რეგისტრში ჩართულ სანარმოთა და ორგანიზაციათა მთლიან რაოდენობაში კერძო სექტორის წილი შეადგენდა 90,6%-ს, მუშაკთა რიცხოვნობაში – 57,2%-ს. მთლიან შიდა პროდუქტში – 74,7%-ს, სოფლის მეურნეობაში – 90%-ს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 26,4%-ს, სახნავის – 55%-ს, მრავალწლიანი ნარგავების – 81,5%-ს, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის – 97,6%-ს, ძროხის – 100%-ს, ღორის – 99%-ს, ცხვრისა და თხის – 95%-ს, ფრინველის – 100% კერძო საკუთრებაში იყო.

ექსპერტთა გათვლებით, 1996 წლის დასაწყისისთვის მოსახლეობის 1% ფლობდა ეროვნული სიმდიდრის 1/3-ს, დაგროვილი საშინაო ქონების 25-30%-ს. მოსახლეობის უმდიდრესი 10%-ის წილად მოდიოდა ფარული პრივატიზების 9/10, ღია პრივატიზების 35-40%, მიმდინარე შემოსავლების 35%, კერძო და აქციონერულ საკუთრებაში გადასული ძირითადი ფონდების 70-75%. ეს მონაცემები ადასტურებენ, რომ 3 წლის მანძილზე საქართველოში „მოხერხდა“ სახელმწიფო საკუთრების უდიდესი ნაწილის კერძო პირების საკუთრებაში გადაცემა.

პრივატიზაციის ე.წ. აგრესიულ ეტაპზე „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ სლოგანით: „ყველაფერი გაიყიდოს სინდისის გარდა“ განახორციელა ისეთი ქონების (ობიექტების) გასხვისებაც, რომლებსაც თანამედროვე მენეჯმენტის პირობებში შეეძლოთ ეფექტიანად ფუნქციონირება. პრივატიზაციის აგრესიულ ხასიათს შეენირა განათლების და მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მეთესლეობის, სანერგე მეურნეობების, ჯიშთა გამოცდისათვის განკუთვნილი მიწის ფართობებიც. აღსანიშნავია, საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაცი-

ის პოლიტიკური ასპექტიც. იგი ჩატარდა რუსეთის რეფორმისტული კურსისადმი ბრმა მიბაძვით, რომელიც საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურების რეკომენდაციებს („შოკური თერაპია“) ეყრდნობოდა და უფრო იდეოლოგიურ ამოცანებს (სოციალისტური ეკონომიკის მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების მოშლა) ემსახურებოდა, ვიდრე ეკონომიკურ მიზანშეწონილობას. **ჯ. სტიგლიცის** ზემოთ მოყვანილი მოსაზრებაც ამას ადასტურებს.

პრივატიზაციის არაეკონომიკური მიზანშეწონილობით ჩატარების შედეგად ჩამოყალიბდა ახალ მესაკუთრეთა და საზოგადოების უდიდესი ნაწილის (რომელმაც ქონება ვერ მიიღო) დაპირისპირების ეკონომიკური და ფსიქოლოგიური საფუძველი. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალმა მესაკუთრეებმა, რომლებსაც სხვადასხვა წარმომავლობა აქვთ (ნომენკლატურული, მაფიოზური, ლობისტური და სხვა) ვერ შეძლეს შექმნილი ქონების მართვა და ამით ხელი შეუწყვეს სამრეწველო, აგრარული და სამეცნიერო პოტენციალის მკვეთრად დაქვეითების, ეკონომიკის კრიმინალიზაციის გარემოს შექმნას, რამაც უფრო გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი. ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილი მონაცემებიდან. მაგალითად, 1998 წელს მშპ მოცულობამ 1988 წლის მიმართ შეადგინა 36,5%, სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ – 15%, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებამ – 59,6%, კაპიტალურმა დაბანდებებმა – 13,4%, ტვირთ-ზიდვების მოცულობამ – 20,9%. მშპ სტრუქტურაში მრეწველობის წილმა შეადგინა მხოლოდ 13%. აღზევდა კორუფცია. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ბიზნეს რეგისტრის მიხედვით ქვეყანაში აღრიცხული იყო 647.875 სუბიექტი, მათ შორის აქტიური – 165.053. საკუთრების ფორმების მიხედვით 637.909 ანუ 98,5% კერძო საკუთრების მფლობელია. შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე ფუნქციონირებს მხოლოდ 0,9%, მუნიციპალიტეტების – 0,3, საკუთრების სხვა ტიპს მიეკუთვნება 0,3%.

2015 წლის მონაცემებით მრეწველობის პროდუქციის – 96 %, მშენებლობის – 99%, სოფლის მეურნეობის – 100%, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის 78% კერძო სექტორში ინარმოებოდა.

ამრიგად, ეროვნულ ეკონომიკაში დომინირებადია კერძო სექტორი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არაეფექტიანია. ეს ძირითადად (სხვა მიზეზებთან ერთად) გამოწვეულია პრივატიზაციისას დაშვებული უხეში შეცდომებით, მეტწილად დანაშაულებრივი ქმედებებით. დადასტურდა, რომ სოციალისტური ეკონომიკის კერძო კაპიტალისტურ ეკონომიკად ტოტალურად გარდაქმნის იდეოლოგიზებული დოქტრინის განხორციელებას (რომელიც სახელმწიფო საკუთრების მყისიერად სრულად კერძო საკუთრებით ჩანაცვლებას ითვალისწინებდა) ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება მოჰყვა.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ გარდამავალ პერიოდში პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ბუნებრივია შერეული (მრავალსუბიექტიანი) ეკონომიკის ფორმირე-

ბა-ფუნქციონირება, რათა მომავლისთვის მომზადდეს საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების პლურალიზმის გარემო. ისიც ცხადი გახდა, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია გულისხმობს ახალი მესაკუთრის შექმნასთან ერთად, ასევე ახალი ორგანიზაციული და სანარმოო სტრუქტურების ფორმირებასაც. იგი არა მხოლოდ სიმდიდრის, არამედ სამეურნეო საქმიანობის შედეგებისთვის პასუხისმგებლობის გადანაწილებაცაა. იგი არ არის ეკონომიკური გარდაქმნების მიზანი (როგორც ჩვენთან იყო), არამედ ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საშუალებაა, რაც უნდა მოხდეს შრომითი რესურსების რაციონალური გადანაწილებით, ტექნიკურ სიახლეთა დანერგვით, მმართველობითი სტრუქტურის სრულყოფით, შრომის მოტივაციის გაძლიერებით და სხვ.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია, რომელიც პოსტსაბჭოთა საქართველოში განხორციელდა, თავისი შინაარსით, თავისებურებებით მისი ტრადიციული ფორმებისგან არსებითად განსხვავდება (მოიცავს მთლიანად ეროვნულ ეკონომიკას) და არა მხოლოდ მის „ნერტილოვან“ მიმართულებებს, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, რამაც გამოიწვია სირთულეები თვით პროცესის რეგულირებაში.

მიუხედავად იმისა, რომ პრივატიზაცია სამივე ეტაპზე (მომზადება, საკუთრივ პრივატიზაცია და პოსტპრივატიზაციული პერიოდი) სერიოზული სამართლებრივი, სოციალური, ზნეობრივი ხასიათის

დარღვევებით განხორციელდა, მან, ფაქტობრივად, შეასრულა საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა საფუძვლის ჩამოყალიბების ფუნქცია. ისიც დადასტურდა, რომ კერძო სექტორის დამკვიდრება, მესაკუთრის ჩამოყალიბება, საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ხელშემწყობი პირობების მომზადება ყველა დროში სახელმწიფოს ისტორიული ფუნქციაა.

პრივატიზაციის შედეგებმა ახლებურად დააყენა საკუთრებისადმი დამოკიდებულების საკითხიც. დადასტურდა ისიც, რომ კერძო საკუთრებას, ისევე როგორც სახელმწიფო საკუთრებას, აბსოლუტური ხასიათი არა აქვს. ვერც ერთი მათგანი თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანობას, დემოკრატიული ეკონომიკის დაბალანსებულ ფუნქციონირებას. აღმოჩნდა, რომ კერძო სექტორსაც აქვს თავისი ადგილი („ნიშა“), რომლის იქით მისი განვითარება „უხილავი ხელის“ მოქმედებით ეფექტიანი არ არის. ასევე ითქმის სახელმწიფო სექტორზეც, რომელიც ცალმხრივად (საბაზრო მექანიზმების გარეშე), ეკონომიკის ეფექტიანობას ვერ უზრუნველყოფს.

ამრიგად, საკუთრების ეფექტიანობა არსებითად დამოკიდებულია, არა მხოლოდ იმაზე, ვის ეკუთვნის იგი, არამედ იმაზე, მესაკუთრე როგორ უზრუნველყოფს მის მართვას, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციას, თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპების (ფუნქციების) შესრულებას. საქართველოში პრივატიზაციის სამივე ეტაპზე ეს პრინციპი დაირღვა. შედეგი სახეზეა – არაეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა.

წერილი მესამე

რატომ დაეცა ცხოვრების დონე მკვეთრად საქართველოში?!

განვიხილო პერიოდში მკვეთრად დაეცა ცხოვრების დონე.

დაბალია საარსებო მინიმუმი. 2016 წლის დეკემბერში იგი შეადგენდა 161,6 ლარს, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი – 143,1 ლარს, საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი 271,7 ლარს.

2017 წელს განახლდა სამომხმარებლო კალათა. იგი შედგება 305 სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურებისგან, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი ხვედრითი წონა.

აღსანიშნავია, რომ 2004 წლიდან „საქსტატი“ საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს განსაზღვრავს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2003 წლის 8 მაისის (#111/5) ბრძანებით. ამ დოკუმენტის მიხედვით, ახალი ნორმები დადგინდა ადრე არსებული ნორმების მკვეთრი შემცირებით. მაგალითად, ხორცის მოხმარება დღე-ღამეში განისაზღვრა 80 გრამით, როცა რაციონალური ნორმით 200 გრამია.

ამრიგად, საარსებო მინიმუმის სიდიდე არ შეესაბამება არსებულ რეალობას და მნიშვნელოვნად ნაკლებია ნორმატივებით განსაზღვრულ მაჩვენებლებზე. ეს იმას

ნიშნავს, რომ ამჟამად მოქმედი წესი სამომხმარებლო კალათის განსაზღვრისა ექსტრემალურ პირობებზეა გათვლილი, ამიტომ იგი შეცვლას საჭიროებს. მომავალში მას საფუძვლად უნდა დაედოს მეცნიერულად დასაბუთებული ნორმები, მით უმეტეს, როცა საარსებო მინიმუმის დონის მიმართ განისაზღვრება სიღარიბის ზღვარიც. იგი 1994 წელს შეადგენდა 80%-ს, 1997 წელს – 44,2%-ს, 2000 წელს – 51,8%-ს, 2003 წელს – 54,5%-ს, 2004 წელს – 52%-ს. 2004 წლიდან ქვეყანაში საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდიკა შეიცვალა. თუ ადრე იგი იანგარიშებოდა ნორმატიული სტატისტიკური მეთოდით და ემყარებოდა 2500 კ/კალორიის სასურსათო კალათისა და მინიმალურ არასასურსათო ხარჯებს. ამჟამად იანგარიშება სტატისტიკური მეთოდით, რომელიც ემყარება მოსახლეობის ყველაზე უქონელი 10%-ის ფაქტობრივ მინიმალურ მოხმარებას. ასეთმა მიდგომამ ადრინდელი მაჩვენებლის (ოფიციალურად დაფიქსირებულის) შეცვლა გამოიწვია. თუ 2000 წელს საარსებო მინიმუმი შეადგენდა 127,9 ლარს, 2004 წლისთვის (ახალი მეთოდით) იგი შეიცვალა 84,3 ლარით, შესაბამისად, სიღარიბის დონე 2004 წელს დაფიქსირებული 52%-ის ნაცვლად, შეიცვალა 35,7%-ით, ხოლო 2005 წლისა – 39,4%. ეს მაშინ, როცა ადრინდელი მეთოდით იგი 2005 წელს შეადგენდა 57,7%-ს.

ფაო-ს მონაცემებით (2012 წ.) ვერაზიის რეგიონში საქართველოს, ყირგიზეთს და ტაჯიკეთს ჰქონდათ სიღარიბის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 18%, 5 და 6%.

ექსპერტთა აზრით (ს. არჩვაძე) საზოგადოების ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის 25% თავისი კეთილდღეობით უსწრებს 1980-იანი წლების ქართული საზოგადოების ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის მეოთხედს. დანარჩენი მოსახლეობის (75%) კეთილდღეობა, მატერიალური და არამატერიალური დოვლათით უზრუნველყოფის დონე თითქმის სამჯერ ჩამორჩება იმ პერიოდისას.

ნიშანდობლივია, რომ მთლიანი შემოსავლების მიხედვით 2015 წელს ჯინის კოეფიციენტი შეადგინა 0,42, რაც შემოსავლების განაწილებაში უთანასწორობის მაღალი მაჩვენებელია.

თუ 1988 წელს დეცილური ჯგუფების მიხედვით თანაფარდობა შეადგენდა 4,5-ს, 2010 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 17, რაც ერთ-ერთი უმაღლესი მაჩვენებელია პოსტსაბჭოთა სივრცეში.

აღსანიშნავია, რომ ფაო-ს მონაცემებით (2012 წ.) ჯინის კოეფიციენტი ვერაზიის რეგიონში შეადგენდა 30%-ს, სომხეთში – 31,1%-ს, აზერბაიჯანში – 33,7%-ს, რუსეთში – 40,1%-ს, ბელარუსში – 26,5%.

მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს უძრავი ქონების ბაზარზე შექმნილი სიტუაციაც. მხედველობაში გვაქვს ქონების გადანაწილების პროცესი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მევახშეობის განვითარებას, და მის განსაკუთრებულ როლს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის გაღატაკებაში. მევახშეობა – გლობალიზაციის თანმდევი სოციალური მოვლენა ბიზნესის ერთ-ერთ სახედ ჩამოყალიბდა საქართველოში, იგი საშიშხასიათს იქნეს.

ცხოვრების დონის შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ტენდენცია, რომელიც გარდამავალ პერიოდში გამოიკვეთა, როგორც უარყოფითი მოვლენა. ქართველი ექსპერტის, იოსებ არჩვაძის აზრით, 2007 წლისათვის საქართველოში ადრინდელ საშუალო კლასს დაახლოებით 1,5 მლნ კაცი გამოეთიშა, რომელთა 30% ქვეყნიდან გავიდა, ძველი სტატუსი შეინარჩუნა 10%-მა, გამდიდრდა 5-6 პროცენტამდე, დანარჩენებმა კი ღარიბთა რიგები შეავსეს (საშუალო ფენის პრობლემას ქვემოთ განვიხილავთ).

სასურსათო უსაფრთხოება – დამოკლეს მასპილი

თანამედროვე მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოება აღიარებულია, როგორც ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელი საკვებ-პროდუქტებთან ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა და მათი საკმარისად წარმოება. ფიზიკური ხელმისაწვდომობა განიხილება, როგორც საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის (უვნებლობა) პროდუქტების არსებობა. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა ნიშნავს, ადამიანს უნდა ჰქონდეს იმდენი შემოსავალი, რომ მინიმალურად მაინც შეძლოს სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

როგორია ჩვენთან სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლები?

2013 წელს 1990 წელთან შედარებით მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში შემცირდა ხორბლის

წარმოება 2,6-ჯერ, ბოსტნეულისა – 2-ჯერ, ხილისა – 2,3-ჯერ, ხორცისა – 2,8-ჯერ, კვერცხისა – 1,3-ჯერ. რა თქმა უნდა, ამან გავლენა იქონია მოხმარების მაჩვენებლებზე. მაგალითად, აღნიშნულ პერიოდში ხორცისა და ხორც-პროდუქტებზე მოხმარება შემცირდა 1,3-ჯერ, რძესა და რძის პროდუქტებზე – 2,1-ჯერ, თევზზე – 2,3-ჯერ, კვერცხზე – 1,3-ჯერ. ბოსტნეულზე – 1,5-ჯერ. დაბალია ხილის მოხმარების მაჩვენებელიც (48 კგ.). აღსანიშნავია, რომ სურსათის მოხმარების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება კვების ნორმატიულ მაჩვენებლებს. მაგალითად, 2013 წელს სხვაობა შეადგენდა ხორცსა და ხორც-პროდუქტებში – 45 კგ-ს, რძესა და რძის პროდუქტებში – 206 კგ-ს, თევზის – 14,8 კგ-ს, კვერცხის – 134 ცალს, ბოსტნეულის – 79 კგ-ს. უფრო დიდია სხვაობა ადგილზე წარმოებულსა და მოხმარების ნორმატიულ მაჩვენებლებს შორის. მაგალითად, მოსახლეობის ერთ სულზე ხორბლის ადგილზე წარმოება შეადგინა 18 კგ, მოხმარებამ – 114 კგ., შესაბამისად, ბოსტნეულის – 46 და 56 კგ., რძესა და რძის პროდუქტების – 135 და 144 კგ, ხორცისა და ხორც-პროდუქტების – 11 და 27 კგ, ეს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ სასურსათო უზრუნველყოფა არსებითად დამოკიდებულია ეგზოგენურ (გარე) ფაქტორებზე, შიდა ბაზარი მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. სურსათის იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2007-2012 წლებში (საშუალო წლიური მოცულობა შეადგენდა ხორბლის 745 ათას ტონას, ხორცის და ხორც-პროდუქტების – 58,5 ათას ტონას, ბოსტნეულისა – 90 ათას ტონას, შაქრის – 150 ათას ტონას, ხილის – 30 ათას ტონას, მცენარეული ზეთის – 36 ათას ტონას, თევზის – 21 ათას ტონას).

გაეროს რეზოლუციის შესაბამისად (1974 წ.) ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება რისკის ქვეშ ითვლება, თუ მოხმარებული პროდუქტის 20%-ზე მეტი იმპორტირებულია. საქართველოში ეს მაჩვენებელი 70-80%-ის ფარგლებშია. ამრიგად, ქვეყანა სურსათით უზრუნველყოფის მხრივ არსებითად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე. ამასთან, იმპორტით შემოტანილი პროდუქციის დიდი ნაწილი ადამიანის ჯანმრთელობისათვის დადგენილ სტანდარტებს არ შეესაბამება.

სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ეკონომიკური ხელმისაწვდომობა. ფაო-ს მონაცემებით (2012 წ.), საქართველოს მოსახლეობის 1 მლნ კაცი (24,7%) არასაკმარისად იკვებებოდა (მსოფლიოში ეს მაჩვენებელი იმ პერიოდში შეადგენდა 12,5%), სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში და თურქმენეთში აღნიშნული მაჩვენებელი 5%-ზე ნაკლები იყო.

სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფა უნდა იყოს განხილული, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის, ეკონომიკური სტაბილურობისა და სოციალური მდგრადობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობა.

ქვეყანაში უნდა იყოს საკმარისი რაოდენობით სურსათი, ყოველ მცხოვრებს უნდა ჰქონდეს იმდენი შემოსავალი, რომ შეიძინოს მინიმალური რაოდენობა მაინც, პროდუქტების ხარისხი უნდა პასუხობდეს დადგენილ სტანდარტებს – ასეთია სასურსათო უსაფრთხოების მთავარი მოთხოვნა (პირობა). ეს რთული და მრავალფაქტორზე დამოკიდებული პრობლემაა, რომლის გა-

დანყვეტა დამოკიდებულია პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და ორგანიზაციული ღონისძიებების მიზანმიმართულად გამოყენებაზე.

თანამედროვე პირობებში, მეცნიერებასა და პრაქტიკაში აღიარებულია, რომ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები (როგორც კაცობრიობის მნიშვნელოვანი ამოცანა) განხილულ იქნას გლობალურ, სუბრეგიონულ, ეროვნებათაშორის (სახელმწიფოთა შორის), სახელმწიფოებრივ, ადგილობრივ, მოსახლეობის ჯგუფებისა და ოჯახების დონეზე. იგულისხმება, რომ თითოეულ მათგანს საკუთარი ფუნქცია აქვს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სასურველ შედეგს მივიღებთ სახელმწიფოს დონეზე მათი საქმიანობის წარმატებული კოორდინაციისას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემა თანდათანობით იქნეს პოლიტიკურ ხასიათს. ამიტომ, საჭიროებს სახელმწიფო, საზოგადოებრივი, ეკონომიკისა და სამეცნიერო სტრუქტურების კოორდინირებულ საქმიანობას. საქართველოს ნორმატიულ აქტებში, რომლებშიც ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები განიხილება სასურსათო უსაფრთხოებას ჯეროვანი ადგილი უნდა დაეთმოს. მიზანშეწონილია მიღებულ იქნას კანონი „სასურსათო უსაფრთხოების შესახებ“ ან „სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა“. ამჟამად საქართველოში სურსათის წარმოება თავმოყრილია წვრილ ოჯახურ მეურნეობებში, რაც აფერხებს წარმოების განვითარებას. ხელს უშლის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შრომის მეთოდების გამოყენებას.

რა უნდა გავაკეთოთ?

საბაზო პროდუქტების მიხედვით (მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, ბოსტნეული, კარტოფილი, ცხიმები, შაქარი, თევზი და ხილი), უნდა გაანალიზდეს არსებული რესურსული პოტენციალი და განისაზღვროს ეტაპობრივად მიზნები (ამოცანები) რეალური პარამეტრების მიხედვით. თუ როგორ შეიძლება ეს გაკეთდეს, ამის შესახებ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და სოფლის მეურნეობის აკადემიის გადანყვეტილებით ჩამოყალიბებული სოფლისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარების სტრატეგიის სახით 2014 წლის აგვისტოში მიენოდა საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას.

შემოთავაზებული სტრატეგიის მიხედვით 2015-2020 წლისათვის ქვეყანაში ხორბლის წარმოება 2012 წელთან შედარებით განსაზღვრული იყო 81 ათასი ტონიდან გაზრდილიყო 380 ათას ტონამდე, ბოსტნეულის – 199 ათასი ტონიდან 480 ათას ტონამდე, კარტოფილის – 250 ათასიდან 500 ათას ტონამდე, ხილის – 157,9 ათასი ტონიდან 450 ათას ტონამდე, ხორცის – 42,6 ათასიდან 104 ათას, რძის 590 ათასიდან – 1200 ათას ტონამდე, კვერცხის – 474 მლნ ცალიდან 900 მლნ-მდე, ყურძნის – 144 ათასი ტონიდან 450 ათას ტონამდე, ციტრუსის – 77 ათასიდან 150 ათას, ჩაის – 2,6 ათასი ტონიდან 55 ათას, სიმინდის – 367 ათასიდან 800 ათას, ქერი და შვრიის – 32,3 ათასიდან 120 ათას ტონამდე.

აღნიშნული მოცულობები უზრუნველყოფდა 2020 წლისათვის ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებას კარტოფილზე, ხილზე, კვერცხზე, ბოსტნეულზე 80%-მდე, ხორბალზე – 60%-

ზე მეტად, რძეზე – 75,5%-მდე. მცენარეული ზეთით, თევზით, შაქრით მოსახლეობის ადგილზე წარმოებით უზრუნველყოფის საკითხები განხილული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის მომავალი მოდელის განსაზღვრის პერიოდში.

ანალიზმა დაადასტურა, რომ ახლო მომავალშიც ვერ დაიძლევა ხორცის წარმოებაში ჩამორჩენა (2012 წელს ქვეყანაში წარმოებული იყო 42,6 ათასი ტონა ხორცი, რაც 1990 წლის მხოლოდ 25%-ს შეადგენს). 2020 წლისათვის ხორცის წარმოების 2,5-ჯერ გაზრდის შემთხვევაშიც მოსახლეობის ერთ სულზე ხორცის მოხმარება კვლავაც დაბალი იქნება. შემდგომ პერიოდში უნდა დაისახოს კომპლექსური ღონისძიებები ხორცის წარმოების გადიდებისთვის (უფრო რეალურია მოსახლეობის ერთ სულზე 40-45 კგ-ის წარმოებაზე ორიენტაცია).

**დემოგრაფიული კრიზისი
საშიშ ხასიათს იძენს**

1989 წლის აღწერის მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობა შეადგენდა 5.401,0 ათას კაცს, ხოლო 2014 წლის აღწერის მიხედვით, შეადგინა 3.713 ათასი, 2016 წლის იანვრისთვის – 3.720.4 ათასი. განვლილი 26 წლის მანძილზე ქვეყნის მოსახლეობა შემცირდა 1688,0 ათასი კაცით. თუ 1989 წელს ყოველ 1000 კაცზე მატება (პრომილე) შეადგენდა 8,6 კაცს, 2002 წლის აღწერის მიხედვით ბუნებრივი მატება საერთოდ არ აღნიშნულა, ხოლო 2015 წელს შეადგინა 2,7 (2015 წელს ქვეყანაში დაიბადა 59.249 ათასი ბავშვი, ამავე წელს გარდაიცვალა 49.121 კაცი, ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 10.128 კაცი). დემოგრაფიული მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს რამდენიმე თავისებურებას.

ჯერ ერთი, საერთო მაჩვენებლის შემცირებაში იკვლება რეგიონების როლი. მაგალითად, ქალაქ თბილისში, აჭარის არ, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში და სამცხე-ჯავახეთში დაფიქსირდა მოსახლეობის მატება, დანარჩენ რეგიონებში ბუნებრივი კლება.

მეორე. მცირდება საქართველოს მოსახლეობის ხვედრითი წილი სამხრეთ კავკასიაში. მაგალითად, 1926 წელს საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ-კავკასიის მოსახლეობის 45,5%-ს შეადგენდა, აზერბაიჯანისა – 39,5%, სომხეთისა – 15%-ს. 2009 წლის მონაცემებით, სურათი მკვეთრად შეიცვალა. საქართველოს მოსახლეობის ხვედრითი წილი შეადგენდა 26,5%-ს, აზერბაიჯანის – 53,9%-ს, სომხეთის – 19,6%-ს.

მესამე. მცირდება შობადობის ზოგადი კოეფიციენტი. ექსპერტთა გათვლით, ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება. პროფესორ ანზორ თოთაძის მონაცემებით, 1980-1989 წლებში საქართველოში დაიბადა 455 ათასი გოგონა, შემდგომ ათ წელიწადში (1990-1999 წწ.) დაიბადა 306 ათასი გოგონა, ხოლო მომდევნო 2000-2009 წლებში 236 ათასი, ანუ 219 ათასით ნაკლები 1980-1989 წლებთან შედარებით. ეს ნიშნავს იმას, რომ შემდგომ წლებში შობადობა საგრძნობლად შემცირდება.

გაეროს ეკონომიკისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტის პროგნოზით 2050 წელს საქართველოს მოსახლეობა იქნება 3.483 მლნ. 2060 წელს – 3.247 მლნ, 2070 წელს – 2.992 მლნ, 2080 წელს – 2771 მლნ. 2090 წელს – 2514 მლნ, 2100 წელს – 2438 მლნ კაცი.

მეოთხე. ქართველ მეცნიერთა (ლეო ჩიქავა, ანზორ თოთაძე) გამოკვლევებიდან ჩანს, რომ მომავალში, არც ისე შორეულ პერსპექტივაში, თუ დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღება არ მოხერხდა, ქართულ ეთნოსს თავისივე ისტორიული სამშობლოს მოსახლეობის რიცხვნობაში, ხვედრითი წილის მკვეთრად შემცირების საშიშროება ემუქრება.

მეხუთე. მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია. თუ 1989 წელს 15 წლამდე ასაკის მოსახლეობა შეადგენდა **25%-ს**, 2016 წელს იყო **19%**.

საქართველოს მოსახლეობის 47,7%-ს მამაკაცები შეადგენენ, 52,3%-ს ქალები. აღსანიშნავია, რომ 2002 წელთან შედარებით 0-14 წლის ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წილი 2,4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და შეადგინა **18,6%**. ხოლო 0,8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა **15-64 წლის** მოსახლეობის წილი. **65 წლისა** და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი **1,6 პროცენტული** პუნქტითაა გაზრდილი. ასევე განვიხილოთ პერიოდში მოსახლეობის საშუალო ასაკი **2 წლით** გაიზარდა და **38,1 წელი** შეადგინა. შესაბამისად, მამაკაცთა საშუალო ასაკი **34,3 წლიდან – 35,9 წლამდე**, ხოლო ქალებისა – **37,8 წლიდან 40,1 წლამდე**. ყველაზე დაბალი საშუალო ასაკი დაფიქსირდა ქვემო ქართლში (**35,6 წელი**), ყველაზე მაღალი – რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (**48,2 წელი**). გურიამი, იმერეთში, კახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში მცხოვრებთა საშუალო ასაკი **40 წელს** აღემატება.

ქვეყანაში დაფიქსირდა სიკვდილიანობის ასაკის გაახალგაზრდავების ტენდენცია (ა. სულაბერიძის მონაცემებით) **2006 წელს 50-54 წლამდე** ასაკში საქართველოში გარდაიცვალა **1864 ადამიანი**, **2010 წელს – 2155**. ასევე თუ **2006 წელს 55-დან 59 წლამდე** ასაკის **1996 ადამიანი** გარდაიცვალა, **2010 წელს – 2705 ადამიანი**. აღსანიშნავია, რომ **1990 წელს 1000 კაცზე** მოკვდაობის კოეფიციენტი შეადგენდა **9,3-ს**, **2015 წელს – 13,2-ს**.

მექექსე. შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაციის მაღალი ტემპი ამჟამად დემოგრაფიულ მდგომარეობას. **2011 წლის** მონაცემებით, საქართველოს ყოველწლიურად ტოვებდა **1000 ადამიანიდან** ოთხი. ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოს **220 ქვეყანას** შორის **31-ე ადგილზე** იყო. ითვლება, რომ თუ ქვეყნის მოსახლეობის **7-8%** გადის საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში, დგება ერის იდენტურობის დაკარგვის პრობლემა. **აკადემიკოს ლეო ჩიქავას გაანგარიშებით (2008 წლის მონაცემებით) აღნიშნულმა მაჩვენებელმა საქართველოში 22,8% შეადგინა.**

მოსახლეობის **2014 წლის** აღწერის მიხედვით, მოსახლეობის **28,5%** შიდა მიგრანტებია, მათ შორის, **33,6%** მამაკაცები, ხოლო **66,4%** ქალები. შიდა მიგრანტებიდან თბილისში ცხოვრობს – **33,1%**, იმერეთში – **15,1%**, სამეგრელო-ზემო სვანეთში – **9,6%**, ქვემო ქართლში – **8,9%**, კახეთში – **8,6%** და ა.შ.

დაფიქსირდა, რომ მოსახლეობის **5%** იმიგრანტია (ისინი, ვინც **12 თვეზე** მეტხანს ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ. იმიგრანტთა **77,4%** საქალაქო დასახლებებში ცხოვრობს. მაგალითად, თბილისში – **45,5%**, იმერეთში – **12,9%**, ქვემო ქართლში – **11%**. იმიგრანტთა **51,6%** ცხოვრობდა რუსეთში, **8,3%** – საბერძნეთში, **8,1%** – უკრაინაში.

აღწერის მიხედვით, ემიგრანტთა რაოდენობამ შეადგინა **88,5 ათასი** კაცი (მათ შორის, მამაკაცია **45,4%**). აქედან, თბილისიდან არის – **31,6%**, იმერეთიდან – **22,9%**, ქვემო ქართლიდან – **12,5%**. ნიშანდობლივია, რომ ემიგრანტების **75,1%** **20-54 წლის** ადამიანები არიან. ემიგრანტთა **21,7%** ცხოვრობს რუსეთში, **15,9%** – საბერძნეთში, **11,2%** – თურქეთში.

ამრიგად, განვლილ პერიოდში მკვეთრად დაეცა ცხოვრების დონე. დიდ რისკებთან არის დაკავშირებული სასურსათო უსაფრთხოება (იგი არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე). გამწვავდა და საშიშ ხასიათს იძენს დემოგრაფიული მდგომარეობა.

დაფიქრება გვმართებს!

დასაქმება - აქტიუზის ქუსლი

მოსახლეობის დასაქმება მოიცავს საზოგადოების მდგომარეობის ეკონომიკური და სოციალური მახასიათებლების ერთობლიობას. შრომითი რესურსები მოსახლეობის ის ნაწილია, რომელიც მონაწილეობს მატერიალური დოვლათისა და მომსახურების წარმოებაში. ცნობილია, რომ მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება გავლენას ახდენს შრომით რესურსებზე. თუმცა, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს შემდეგ თავისებურებებთან. მაგალითად, შობადობაში ცვლილება მყისიურად აისახება მოსახლეობის რიცხოვნობაზე, მაგრამ შრომით რესურსებზე ზემოქმედებს მხოლოდ იმ პერიოდიდან, როდესაც ადამიანები მიაღწევენ **16 წლის** ასაკს. ასევე, **16 წლამდე** ასაკის მოზარდთა მოკვდაობა უშუალოდ არ ზემოქმედებს შრომითი რესურსების რაოდენობაზე.

როგორც ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები გვიჩვენებს, დასაქმების პრობლემა ყველაზე მწვავეა და თავისი მასშტაბებით საზოგადოებაში ფეთქებადსაშიშ ხასიათს იძენს. მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო – ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, სახელმწიფომ ვერ შეძლო დასაქმების რეგულირების პროცესი (სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია) სწორად წარმართა.

2015 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენდა **2021,5 ათას** კაცს, რაც შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (**15 წლის** და უფროსი ასაკის მოსახლეობა) **67,8%-ს** შეადგენდა.

აქედან დასაქმებული იყო **1779,9 კაცი**. დასაქმებულთა სტრუქტურა ასეთია: დაქირავებულია **763,4 ათასი** კაცი (**43%**), თვითდასაქმებულია **1018,1 ათასი (57%)**, გაურკვეველია **8,4 ათასი**, უმუშევარია **241,6 ათასი** კაცი (**12%**).

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ თვითდასაქმებულთა რაოდენობა **1,33-ჯერ** აღემატება დაქირავებულთა რაოდენობას.

2015 წელს დასაქმებულთა **84,4%** მოდიოდა არასახელმწიფო სექტორზე. **2015 წელს 20-24 წლის** ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის დონემ **32%** შეადგინა. **25-29 წლის** ასაკობრივ ჯგუფში – **20,7%**. რაც შეეხება უმუშევრობის დონეს **65+** წლის ასაკობრივ ჯგუფში, შეადგენს **0,9%-ს**. საინტერესოა დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა. **2015 წელს** დასაქმებულთა **48,4%** მოდიოდა სოფლის მეურნეობაზე, **10%** ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე.

პროფესიების მიხედვით, დასაქმების სტრუქტურაში ყურადღებას იპყრობს ექსპერტთა (**პროფ. მერაბ კაკულია და სხვები**) გათვლებით მიღებული შემდეგი მონაცემები: 2015 წელს სოფლის, სატყეო, სამონადირეო მეურნეობებში, მეთევზეობასა და თევზჭერაში დასაქმებულთა **66%** პროფესიის არმქონენი იყვნენ. მრეწველობასა და მშენებლობაში – **36%**, ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში – **36%**, უმაღლესი კვალიფიკაცია ჰქონდა დასაქმებულთა შორის: სოფლის მეურნეობაში მხოლოდ **10%**-ს, მრეწველობასა და მშენებლობაში **31%**-ს, ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში – **37%**-ს, განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაში – **74%**-ს, სახელმწიფო მართვის ორგანოებში, ტრანსპორტზე, სასტუმროებსა და მომსახურების სხვა ფორმებში – **54%**-ს.

დასაქმების სფეროში მწვავე პრობლემაა სოფლად თვითდასაქმებულთა დიდი რაოდენობა (იგი შეადგენს ქვეყანაში თვითდასაქმებულთა **80%**-ს).

გამოკვლევებით (მ. კაკულია) დადგინდა, რომ თუ 2009 წელს სტიქიურად შექმნილ სამუშაო ადგილებზე მუშაობდა **60%**, სახელმწიფოს მიერ შექმნილზე – **17%**, კერძო სექტორის მიერ შექმნილზე – **19%**, საკუთარ უნარებზე დაყრდნობით შექმნილზე – **4%**, 2015 წლისათვის სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: **53%**, **15%**, **27%**. საკუთარ უნარებზე დაყრდნობით შექმნილი სამუშაო ადგილების ხვედრითი წილი არ შეცვლილა.

ზემოთ მოცემული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დასაქმება იზრდება კერძო სექტორში, რაც საკუთრებით ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატურია. 2017 წელს 1 იანვრის მდგომარეობით ქვეყანაში აღრიცხული 651,4 ათასი სუბიექტიდან 98,4% კერძო პირია. მთელ ეკონომიკაში დასაქმებულთა 80% კერძო სექტორზე მოდის. სოფლის მეურნეობაში ჩამოყალიბებული „ტენდენცია“ თვითდასაქმებულთა რაოდენობის შესახებ, უნდა აიხსნას აღრიცხვის ორგანიზაციის დაბალი დონით. ჯერ კიდევ შენარჩუნებული „ჭარბი“ სამუშაო ძალა საბიუჯეტო სფეროში, უნდა აიხსნას ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობების არასრულყოფილობით. ამასთან, დროთა განმავლობაში სამუშაო ადგილების დაკარგვის გამო მოხდა პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურების გაუარესება, რამაც გამოიწვია პროფესიით დაუსაქმებლობის ზრდა. **უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის დონის მაჩვენებელი (12%) რეალურად ჩამოყალიბებული მდგომარეობის ადეკვატური არ არის. სრულყოფას საჭიროებს სამუშაო ძალის სტატისტიკის მეთოდოლოგია.** დასაქმების სფეროში ყველაზე მეტად ცხადი გახდა, რომ თავად ფორმირებად საბაზრო მექანიზმებს, სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე, არ შეუძლიათ წარმოებისა და დასაქმების რაციონალური სტრუქტურის განსაზღვრა, რომ კეთილდღეობის ამაღლება მიიღწევა ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპებით და დასაქმებით, რომ დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა მიზნობრივი პროგრამებით უნდა განხორციელდეს. ამისთვის კი საჭიროა ქვეყანაში ჩატარდეს არსებული სამუშაო ადგილების სრული ინვენტარიზაცია. მდგომარეობის ობიექტური შეფასება საშუალებას მოგვცემს არსებული სამუშაო ადგილების ოპტიმიზაციასთან ერთად განისაზღვროს

ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივა. დასაქმებულთა განაწილების სტრუქტურისა და პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურის შესაბამისობის ანალიზი დაგვეხმარება მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების (გადამზადების) მიზნობრივი ხასიათის განსაზღვრაში, საერთოდ, განვითარების პროგნოზირებაში. **სწორედ უნდა მივიჩნიოთ ქართველ ექსპერტთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საჭიროა დასაქმებულის სტატუსის რეალურად განსაზღვრა. ამჟამად მოქმედი მეთოდიკით, დასაქმებულად ითვლება პირი, თუ იგი წინა კვირის განმავლობაში მუშაობდა თუნდაც ერთი საათით მაინც, შემოსავლის მიღების მიზნით. უფრო მართებულია (მ. ტულუში, ნ. ფარესაშვილი) დასაქმებულად ჩაითვალოს ის პირი, ვინც კვირაში 15-20 საათს მაინც იმუშავებს.**

არასწორი იყო თავის დროზე „დასაქმების შესახებ“ კანონის გაუქმება. დასაქმების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დასაქმების სპეციალური სამსახურის ფუნქციონირება, რომელიც დაექვემდებარება პრემიერ-მინისტრს. მისი უშუალო ფუნქცია უნდა იყოს უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების მონიტორინგს, სხვადასხვა უწყებათა (კერძო, არასამთავრობო, სამთავრობო, საერთაშორისო, რეგიონული სტრუქტურების) საქმიანობის კოორდინაციას.

დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაში დიდი როლები გააჩნია ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ დარგებს – მრეწველობას, მშენებლობას, ტრანსპორტს, ტურიზმს და ა.შ. სახელმწიფოს დღესაც არ გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამრეწველო პოლიტიკა. მინიმალურად არ არის გამოყენებული წარმოების დივერსიფიკაციის შესაძლებლობანი. გასათვალისწინებელია, რომ მრეწველობის განვითარების პოტენციალის ამოქმედება შეზღუდულია (როგორც გარე, ასევე შიდა ფაქტორებით), ამიტომ საჭიროა მისი ზრდის ადეკვატური სტრატეგიის განხორციელება. დასაქმების (ახალი სამუშაო ადგილების შექმნის) რეალური პერსპექტივა არსებობს აგრარულ სექტორშიც, მიუხედავად იმისა, როგორც აღინიშნა, სოფლის მეურნეობაში სამუშაო ძალის დიდი სიჭარბეა, დარგის წარმატებული განვითარებისას მომიჯნავე დარგების (მრეწველობის, ტრანსპორტის, მომსახურების სფეროს) განვითარების ხელშემწყობი პირობები იქმნება. დღეს, ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებას, წარმოებული ნედლეულისა და მისი სრულად გადამუშავების სიმძლავრეთა შეუსაბამობაა. ამასთან, არარაციონალურად გამოიყენება არსებული ნედლეული. მაგალითად, 2016 წელს საზღვარგარეთ გაიყიდა 36,8 მლნ დოლარის ღირებულების ცოცხალი პირუტყვი, მაშინ, როცა ადგილზე გადამუშავებით (ხორცი და ხორცის პროდუქტები, მატყლის და ტყავის გადამუშავება) მეტ სარგებელს მიიღებდა ქვეყანა, თუნდაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელობის დეკლარირება საკმარისი პირობა არ არის დასაქმების რთული პრობლემის გადაწყვეტისთვის. საჭიროა მისი კომპლექსურად განხილვა და მიზნობრივი პროგრამებით განხორციელება.

აუდიტორების ტოტალური დისკრედიტაციის პოლიბონი, როგელსას აუდიტორები უნდა განეჩილონ!

ჩემი დაკვირვებით, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ ახალმა კანონმა კვალიფიციურ და გამოცდილ აუდიტორთა უმეტესობა პროფესიისკენ შემოაბრუნა – გაიზარდა მოთხოვნა აუდიტორულ მომსახურებაზე, რადგანაც მრავალჭირგამოვლილ ბიზნესს უკვე აღარა აქვს შემოსავლების დამალვისა და გაურკვეველ გარემოსა და რისკების ზონაში საქმიანობის სურვილი.

გარდა ამისა, ამ კანონმა წარმოშვა აუდიტორული შემონმების მომსახურების მიმღებთა მიმართ ახალი ვალდებულებები და ამის ისინი აქტიურად მიმართავს კვალიფიციური აუდიტორული მომსახურების მიღების პრაქტიკას. მთელს ამ პროცესს მხარი აუბეს ამ სფეროში მოღვაწე პროფესიულმა ორგანიზაციებმა, აუდიტორულმა კომპანიებმა და აუდიტორებმა.

ცხადია, თავისი შედეგებს იძლევა აუდიტორებისა და აუდიტორული კომპანიების მიერ კრისტალური პატიოსნებისა და პროფესიული თავმოყვარეობის, საერთოდ პროფესიისადმი პატივისცემის სტრატეგიის განხორციელება. საზოგადოდ, აუდიტორულ ბაზარზე პროფესიული ნორმების, პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის აშკარად გამოკვეთილი ფაქტები არ შეინიშნება, თუმცა საჯარო სექტორში აუდიტორული შემონმების მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით კვლავ რჩება სერიოზული პრობლემები, რომელიც მთელი რიგი გარემოებებითაა განპირობებული.

დიახ, სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების (სსიპ-ები, ა(ა)იპ-ები, შპს-ები) საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი სერიოზულ გადაცდომებს უშვებს აუდიტორული შემონმების მომსახურების მიღების მიზნით ორგანიზებული ტენდერის ყველა სტადიაზე (დანყებულ ფასთა გამოკითხვის პროცედურით და დამთავრებული ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდით). ჩვენი დაკვირვებით საჯარო დანებსებულებების, მხრიდან ამ მომსახურების შესყიდვისას, გამოვლენილი განუკითხაობისა და ზოგჯერ თვითნებობის ფაქტები განპირობებულია:

1. შემსყიდველების არაკომპეტენტურობითა და ამ შესყიდვის ობიექტის მიმართ ზერელე დამოკიდებულებით;

2. შემსყიდველების მხრიდან მათთვის სასურველი აუდიტორული კომპანიის შერჩევისა და მისი გამარჯვების უზრუნველყოფელი კომფორტული „დერეფნის“ მომზადების მიზნით ისეთი არაადექვატური ტექნიკური დავალების ჩამოყალიბებით, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს შესაბამის ტენდერზე კვალიფიციური პრეტენდენტების მონაწილეობის შესაძლებლობას, მკვეთრად ამცირებს კონკურენციას და ზოგჯერ ისეთ დონეზეც კი, რომ ტენდერში ერთდროულად მონაწილეობასა და გამარჯვებას ახერხებს



მხოლოდ ერთადერთი აუდიტორული კომპანია. ეს ადვილად შესამჩნევია, რადგან შემსყიდველის მიერ ტექნიკურ დავალებაში მოცემული პრეტენდენტის შერჩევის კრიტერიუმები სრულ შესაბამისობაშია იმ ერთადერთ მონაწილე პრეტენდენტის მონაცემებთან, რომელმაც გაიმარჯვა ამ ტენდერში. მთელს ამ პროცესში, დიდი ვარაუდით, მონაწილეობას იღებენ ის აუდიტორული კომპანიები, რომლებსაც წინასწარ აქვთ მომზადებული ნიადაგი ამ ტენდერში გამარჯვებისათვის, რომელშიც ვგულისხმობ ამ აუდიტორული კომპანიებისათვის დამახასიათებელი საკვალიფიკაციო და ტექნიკური შესაძლებლობების ინდიკატორების პირდაპირ გათვალისწინებას ტენდერის ტექნიკური დავალების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში (ანუ ადგილი აქვს მათთვის მორგების აშკარად გამოკვეთილ მცდელობას).

ჩვენ, გვქონდა რა განზრახვა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ 2016 წლის 24 ივნისის ძალაში შესული ახალი კანონის მოქმედების პერიოდში დაკვირვებოდათ საჯარო სექტორის შემსყიდველების მიერ 2016 წლის აგვისტოდან 2017 წლის თებერვლის ჩათვლით აუდიტორული შემონმებისა და ქონების შეფასების მომსახურების შესყიდვისას მოქმედი კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობას, ამ მომსახურების მიღების განზრახვის მქონე თითქმის ყველა სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გაუუზავნეთ წერილი(ელექტრონულ მისამართზე) იმის შესახებ, რომ 2016 წლის 24 ივნისიდან ძალაშია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელშიც

სხვა საკონსულტაციო ხასიათის ინფორმაციასთან ერთად აღნიშნული იყო, რომ ამ კანონმა გამიჯნა აუდიტორული და საშემფასებლო საქმიანობა.

მიუხედავად ამისა, ძალიან მცირე რაოდენობის შემსყიდველმა გაითვალისწინა ჩვენს წერილში განივთებული „შეძახილი“, რადგან, როგორც ჩანს, საჯარო დაწესებულებებში მომუშავე საჯარო მოხელეთა უმეტესობა ელექტრონულ მისამართებზე გაგზავნილ წერილებს არ ეცნობა და თუ ეცნობა, ჯიუტობს, იცის რომ არღვევს მოქმედ კანონმდებლობას(ამ თვალსაზრისით SPA170000181 ტენდერია საინტერესო) და არ ითვალისწინებს.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სისტემაში განთავსებულმა შემდეგმა ტენდერებმა: SPA170002435; SPA170001541; SPA170000181; SPA160026763; SPA160027289; SPA1700009575; SPA170000556; SPA160026304 .ამ დაკვირვების პროცესში, ჩვენ შემსყიდველებს, სისტემის მეშვეობით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, ვუსვამდით კითხვებს და ვაფასებდით რეაგირებას, ვთხოვდით კორექტირების შეტანას სატენდერო დოკუმენტაციაში.

ამ თვალსაზრისით ყველაზე კუროზული იყო SPA170000181 ტენდერის მენეჯმენტის მოქმედება, სადაც ჩვენს მიერ დასმულ იქნა 17 შეკითხვა, რომელთა შორის ვფიქრობ განსაკუთრებით საყურადღებოა მე-17 შეკითხვა, კერძოდ: **„17. ხომ არ ემსახურება ტექნიკური დავალების 4.1; 4.2 და მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნული მოთხოვნები მიმწოდებელთა მკვეთრად შემცირებასა და სასურველი პრეტენდენტის მონაცემებთან მორგებას? (იმ მიზნით, რომ: შემსყიდველს - გაუადვილდეს პასუხის გაცემა; შესყიდვების სააგენტოს გაუადვილდეს შესაბამისი რეაგირებისთვის საფუძვლის შედგენა, ხოლო ამ მომსახურების პოტენციურ მიმწოდებლებს გაუადვილდეს იმის გაცნობიერება, თუ როგორ „იღწვის“ ზოგიერთი მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხის მქონე შემსყიდველი მისთვის მისაღებ მიმწოდებელს მოარგოს აღნიშნული ტენდერის პირობები, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ აღვნიშნოთ შემდეგი: რომ შემსყიდველის მიერ სისტემაში განმეორებით ატვირთული ე.წ. „SPA170000181-განახლებული აუდიტის სატენდერო დოკუმენტაცია.pdf“-ის მიხედვით, კერძოდ მისი მხოლოდ 4.1; 4.2 და მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნული მოთხოვნების წყალობით, შემსყიდველმა პოტენციურ მიმწოდებელთა წრე 118 -დან შეამცირა 17 ერთეულამდე (ანუ რეალურად 7 ერთეულამდე, რადგან 17-დან 10 კომპანიას საერთოდ არ აინტერესებს ამ ღირებულების მქონე მომსახურების მიწოდება და ტრადიციულად არც ღებულობს მონაწილეობას მსგავს ტენდერებში, ხოლო დარჩენილი 7 კომპანიიდან, ბაზარზე დაკვირვების შედეგებიდან გამომდინარე, ამ ტენდერის ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით (ოთხი სახის მომსახურების მიწოდება არაადექვატურ ფასად), მაქსიმუმ მხოლოდ ორმა (ანუ იმ დროს დარეგისტრირებული 118 კომპანიიდან ორმა) აუდიტორულმა კომპანიამ**

შეიძლება ისურვოს ამ ტენდერში მონაწილეობა.

უფრო მეტიც, ახლავა შესაძლებელი დასახელებს თუ რომელი მისთვის სასურველი აუდიტორული კომპანიისთვის ამზადებს შემსყიდველი „სასურველის შერჩევის კორიდორს“, მაგრამ დასახელებისგან თავს შევიკავებთ, რადგან ის აუდიტორულ ბაზარზე კეთილსინდისიერი მოთამაშეა. ფაქტი კი იმაშია, რომ შემსყიდველმა ასეთი მოქმედების შედეგად კონკურენტების წრე სავარაუდოდ შეამცირა თითქმის 59-ჯერ (118/2) ანუ 97 %-ით.როცა ასე იქცევა კანონით გამყარებული მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხის მქონე, მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სსიპ-ი, ვფიქრობთ ის არ შეიძლება არ იქცევდეს ყურადღებას)“.ეს და ბევრი სხვა კითხვა სემეკ-ის მენეჯმენტმა დატოვა უპასუხოდ, რეაგირების გარეშე.

ხოლო, რაც შეეხება შედეგს, ჩვენს მიერ სისტემაში განთავსებული ვარაუდი დოკუმენტურად დადასტურდა, მაგრამ კითხვა, თუ რატომ უმზადებდა „შერჩევის კორიდორს“ ასე თავგამოდებით აღნიშნული შემსყიდველი სწორედ ამ კვალიფიცირებულ აუდიტორულ კომპანიას, დარჩა პასუხგაუცემელი თვით შემსყიდველის მხრიდან.

ასეთი მოქმედება ცხადია ბადებს კითხვას: **თუ რატომ იქცევა ასე კანონით გამყარებული მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხის მქონე, მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სსიპ-ი(რომელსაც ექსკლუზიურად კანონით აქვს მინდობილი სტრატეგიულ და მონოპოლიის მაღალი ხარისხის მქონე ლიცენზიანტებისთვის და ჩვენთვის, მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯისა და გაზის, წყლის სამომხმარებლო ტარიფების ობიექტურად დადგენა)?**. ამ შემსყიდველთან (SPA170000181 ტენდერს ვგულისხმობთ) მიმართებაში დაფიქსირდა კიდევ ერთი უცნაური მოვლენა: **რატომღაც სისტემაში აიტვირთა გამარჯვებული ჩვენი კოლეგა კომპანიის საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, სადაც ფიქსირდებოდა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 18 იანვრის N005432 შეტყობინება მთელი ქონების საგადასახადო გირავნობა/იპოთეკაზე (აღნიშნული დოკუმენტი ცხადია იძლეოდა საფუძველს სატენდერო კომისიისთვის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისათვის), რომელიც შემდგომ უკვალოდ (ატვირთულ დოკუმენტში ცვლილებისას კვალი რჩება ხოლმე უარყოფილ დოკუმენტთან მიმართებაში, რომელიც გადაიხაზება ხოლმე და ეს ჩვეულებრივი პროცედურაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ მოხდა) „გაქრა“(ანუ ჩამოიხსნა) სისტემიდან(?!** თუმცა, 2017 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით იგივე „მდგომარეობაში“ აღმოვაჩინე საჯარო რეესტრის საიტზე(„გამორჩათ“, რომ ეს ის ქვეყანა არ არის სადაც ისინი დაიბადნენ), რაც იმას ნიშნავს, დიდი ალბათობით, რომ ის სპეციალურად ჩამოხსნეს.

ზემოაღნიშნული ტენდერებიდან,ჩვენი ყურადღება მიიპყრო კიდევ ერთმა გარემოებამ: **ჩვენი ზოგიერთი კოლეგა დემპინგურ ფასს სთავაზობს შესყიდვის იმ ობიექტებს, რომლებისთვისაც აუდიტორული შემომწმების მომსახურის მიწოდებისას**



საჭიროა მაღალი პასუხისმგებლობის, სკეპტიციზმის, სიფრთხილის, შრომისმოყვარეობის, პროფესიონალიზმისა და გამოცდილების, მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხის გამოვლენა, ითხოვს მაღალი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და რეპუტაციის აუდიტორების ჩართულობას. ასე მაგალითად, SPA170000957 ტენდერზე შემსყიდველს ორი(2015-2016) წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების მომსახურება სჭირდებოდა, რომელიც მოიცავდა ფინანსური ანგარიშგებისა და საგადასახადო აუდიტის მომსახურებას, ანგარიშგების ინგლისურად გამოცემას), სადაც მონაწილეობა მიიღეს ისეთმა აუდიტორულმა კომპანიებმა, როგორებიცაა ბიდიო, ბეიკელ ტილი ჯორჯია, გრანთორტონ ახვლედიანი.ამ შემსყიდველის ორივე წლის ბრუნვა შეადგენდა თითქმის 1,2 მლრდ ლარს, ზოგიერთმა კოლეგა კომპანიებმა ამ მომსახურების მიწოდება 80 ათასი ლარის სავარაუდო ფასის პირობებში შეთავაზეს 9,9ათას ლარად და 10 ათას ლარად(?!). დიახ, 9,9 ათას და 10 ათას ლარად. კოლეგა კომპანიების მხრიდან გამოვლენილი ასეთი მოქმედების შედეგად არ იყო გასაკვირი, რომ შემსყიდველმა ეს ტენდერიც შეწყვეტილად გამოაცხადა(ამ ტენდერს წინ უსწრებდა ამავე შემსყიდველის მიერ იგივე სახეობაზე გამოცხადებული SPA160027339 ტენდერი, რომელიც ეხებოდა 2015 წლის ფინანსური ანგარიშგებისა და საგადასახადო აუდიტორული შემოწმების მომსახურების მიწოდებას 600 მლნ. ლარის წლიური ბრუნვის პირობებში, 40 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულებით). მაშინ, იმ ეტაპზე იგივე აუდიტორულმა კომპანიებმა (რომლებიც მაშინ მარტო აღმოჩნდნენ მიმწოდებელ პრეტენდენტებს შორის), ამ მომსახურების მიწოდება(ანუ 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება) შემსყიდველს შეთავაზეს 19 997 ლარად და 16 700 (დიახ, როცა აუდიტორული შემოწმებას უნდა დაქვემდებარებოდა 600 მლნ. ლარის ბრუნვა, 19 997 ლარად

და 16 700 ლარად შეთავაზეს, ხოლო როცა მეორედ ერთდროულად ორი წლის აუდიტორული შემოწმება გამოაცხადა შემსყიდველმა, თითქმის 1,2 მლრდ ლარის(ანუ გაორმაგებული) ბრუნვის პირობებში, შემსყიდველს შეთავაზეს აუდიტორული შემოწმების მომსახურება გაცილებით ნაკლებ(?)! ფასად, ვიდრე პირველ შემთხვევაში).

ამ მონაცემების ანალიზი და შეფასება წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, რბილად რომ ვთქვათ, არ ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას. უფრო მეტიც, ვფიქრობ ამ და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში პროფესიული თვითშეფასების დეფიციტთანაც (თუმცა დარწმუნებული ვარ რომ კვალიფიკაციის დეფიციტს ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს) გვაქვს საქმე (უფრო მეტიც, კოლეგების მსგავსი საქციელი მიტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ისინი, სადაც ვაქცევას აპირებენ და მოსწრებაზე არიან), მაგრამ ეს იმდენად არსებითი არ არის. ამ შემთხვევაში არსებითი ისაა, რომ ილახება, უფასურდება მაღალი ხარისხის აუდიტორული შემოწმებისადა აუდიტორული მომსახურების განმახორციელებელი აუდიტორების/ აუდიტორული კომპანიების უნიკალური აქტივი-ავტორიტეტი და პრესტიჟი, ნდობა პროფესიის მიმართ ანუ ის აქტივები, რომლებზეც დგას ეს პროფესია არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელს მსოფლიოში.

ამ შემთხვევაში ვფიქრობ,(ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა) შემსყიდველმა SPA160027339 ტენდერის ორგანიზების პროცესში იგრძნო რა, რომ ტენდერზე მონაწილეობა მიიღეს პროფესიული თვითშეფასების დეფიციტის მქონე პრეტენდენტებმა (რომელსაც შესაძლოა მოჰყოლოდა სხვა შესაძლო გართულებები შემსყიდველის პარტნიორთან და დონორებთან), დაიზღვია თავი სავარაუდო რისკებისაგან, რომლებიც შესაძლოა დამდგარიყო უხარისხო აუდიტორული შემოწმების შედეგად და შეწყვიტა ტენდერი (დარწმუნებული ვარ ამ შემთხვევაში მიმწოდებლების ასეთი უღირსი საქციელის გამო გამოხატა

პროტესტი ფარული ფორმით), რომლის უფლებაც მას ჰქონდა და აქვს, თან მიზეზის განუმარტებლად.

თუმცა, ცხადია, ისმის კითხვა: **თუ როგორ მოიქცეს ანალოგიურ შემთხვევაში შემსყიდველი?** ამ კითხვაზე პასუხი მარტივია - შემსყიდველმა უნდა გაითვალისწინოს შესყიდვის ობიექტის სპეციფიკა (აუდიტორული შემოწმების მომსახურების თავისებურებები, საამისო კონსულტაციები მიიღოს ამ დარგის მაღალკვალიფიციური ექსპერტებისა და აუდიტორული პროფილის პროფესიული ორგანიზაციებისაგან), ფასთა გამოკითხვის პროცედურებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მისცეს კვალიფიციურ აუდიტორულ კომპანიებს და, რაც მთავარია, „შეისმინოს“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ადგილობრივი და ევროპული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული და შემსყიდველების საყურადღებოდ გამოცემული რეკომენდაციები (იხ. „რეკომენდაცია კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით“), რომელსაც ძალიან ხშირად იგნორირებას უკეთებენ საჯარო სექტორის შემსყიდველები.

თუ შემსყიდველს არა აქვს განზრახვა, „დერეფანი“ გაუმზადოს მის მიერ არჩეულ აუდიტორულ კომპანიას, ზემოაღნიშნული რეკომენდაციებისა და გარემოებების გათვალისწინების შემთხვევაში საკმაოდ დიდი ალბათობით შესაძლებელია შემსყიდველმა აუდიტორული შემოწმების მომსახურება მიიღოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების მქონე ადექვატური აუდიტორული კომპანიისაგან.

არც თუ ისე იშვიათად აუდიტორული შემოწმების მომსახურების შემსყიდველი სახელმწიფო ორგანიზაციები და საწარმოები ტექნიკურ მოთხოვნებში უთითებენ პრეტენდენტის მიერ აუდიტორული მომსახურების ბრუნვის (წლიური შემოსავალი, ან ვთქვათ რამოდენიმე წლის შემოსავლის) მაჩვენებელს, რომელიც შეუსაბამობაშია აუდიტორული შემოწმების განმახორციელებელი აუდიტორული კომპანიის, მისი აუდიტორების ტექნიკური შესაძლებლობების, მათი შესაბამისი უნარების გაზომვის მიზანთან, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ობიექტურობის და არადისკრიმინაციულობის პრინციპის დაცვა მოითხოვს იმ საჭირო ტექნიკური ცოდნისა და გამოცდილების მოთხოვნას, რომელიც აუცილებელია კონკრეტული შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთვის.

როგორც წესი, ტექნიკური ცოდნის/ გამოცდილების მატარებელს, მით უფრო ინტელექტუალური (აუდიტორული შემოწმება, აუდიტორული მომსახურება, ქონების შეფასება და სხვ.) მომსახურების მიღების აუცილებლობისას, წარმოადგენს არა საწარმო, არამედ საწარმოში დასაქმებული შესაბამისი კვალიფიკაციის /გამოცდილების მქონე პერსონალი. შესაბამისად, ტექნიკური ცოდნის შეფასებისათვის, საჭიროა მიმწოდებელს მოეთხოვოს ტექნიკური ცოდნის/ გამოცდილების არსებობის დასაბუთება ტენდერით გათვალისწინებული პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან მიმართებაში; სააგენტოს რეკომენდაციას, შემსყიდველმა ორგანიზაციამ,

შესყიდვის ობიექტის მიწოდების სპეციფიკიდან გამომდინარე, თავად განსაზღვროს, თუ რომელ პოზიციაზე მომუშავე თანამშრომელი ითვლება პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებლად, რასაც შესაბამისად ასახავს სატენდერო დოკუმენტაციაში; ამ მიზნით შემსყიდველმა უნდა გაითვალისწინოს პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების შესაბამისი განათლების, გამოცდილების და/ ან კონკრეტულ მმართველ პოზიციაზე აუდიტორულ კომპანიაში გარიგების პარტნიორი აუდიტორის) მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნა. დამადასტურებელი დოკუმენტების სახით, როგორც წესი, პრეტენდენტს მოეთხოვება შესაბამისი სპეციალისტების პროფესიული და აკადემიური მიღწევების ნაკრების (CV), დიპლომ(ებ)ის, სერტიფიკატების ან რეგისტრაციის (აკრედიტაციის) მონაცემების მითითება (წარდგენა).

2. არის რა აუცილებლობა შემსყიდველმა ტექნიკურ მოთხოვნებში გაითვალისწინოს პრეტენდენტის სანდოობის განმსაზღვრელი ინდიკატორი. პრეტენდენტის სანდოობის (რომ ხელშეკრულება შესრულდება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად) განმსაზღვრელ ინდიკატორად, როგორც წესი შემსყიდველები ითხოვენ: ცნობას იმის შესახებ, რომ არ მიმდინარეობს საწარმოს ლიკვიდაცია; ცნობა, რომ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება; სხვა მაღალი რეპუტაციისა და კორპორატიული კულტურის დამკვეთის მიერ განეულ რეკომენდაციებს (ერთ ერთი შემსყიდველი, რომელმაც ფასთა გამოკითხვის შემდეგ მთხოვა კონსულტაციები სატენდერო მოთხოვნების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, კატეგორიულად უარყოფდა ასეთი რეკომენდაციის გათვალისწინების მიზანშეწონილობას ტექნიკურ მოთხოვნებში იმ მოტივით თითქოს თვით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო იყო წინააღმდეგი ასეთი კრიტიკიუმის გათვალისწინების და ეს მაშინ როცა თვით ეს სააგენტო იძლევა ასეთ რეკომენდაციებს!!); ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება სატენდერო წინადადების ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის მკვეთრი სხვაობის არსებობის შემთხვევაში;

3. რაც შეეხება პრეტენდენტის ფინანსურ (როცა არის გარდაუვალი აუცილებლობა შემსყიდველმა შეაფასოს მიმწოდებელის ფინანსური შესაძლებლობა, თუ მას გააჩნია თანამშრომლების, სახელმწიფოსა და საკუთარი მიმწოდებლების მიმართ ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო ფინანსური სახსრები, ხოლო საწარმოს ბრუნვა იძლევა საშუალებას, შეეფასოს მიმწოდებლის მიერ კონკრეტული მოცულობის პროექტის განხორციელების ზოგადი შესაძლებლობები) და ტექნიკურ (მაგალითად იმ მიზნით, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეიცნოს, აძლევს, თუ არა მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის სათანადოდ მიწოდების საშუალებას მისი საწარმოს ზომა და აღჭურვილობა. ტიპიურ მოთხოვნას განეკუთვნება, მაგალითად, დასაბუთება მიმწოდებლის მხრიდან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეალურად არსებობის შესახებ) შესაძლებლობებ-

ზე ინდიკატორებს, მათი მოთხოვნა შესყიდვების სააგენტოს მხრიდან (იხ. <http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi/qualification.pdf.aspx>) რეკომენდებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც:

ა) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს შეაქვს მნიშვნელოვანი წილი შემსყიდველის საბოლოო პროდუქტის შექმნაში (ასეთი ფუნქცია, როგორც ცნობილია, აუდიტორული შემოწმების მომსახურებას არა აქვს, რადგან აუდიტი დამკვეთის მიერ შედგენილი ფინანსური ანგარიშგების მოქმედი კანონმდებლობით, ბასს-ისა და ფასს-ის მოთხოვნებით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენა);

ბ) შესყიდვის ობიექტის მოცულობა შედარებით მაღალია (ასეთ შემთხვევაში არა აქვს ადგილი) შემსყიდველის მიერ განხორციელებულ სხვა პროექტებთან მიმართებაში. შესყიდვების სააგენტოს ამ რეკომენდაციის მიხედვით ტიპურ ობიექტებს, რომელთა შესყიდვისას საჭიროა შეფასდეს მიმწოდებელი პრეტენდენტის ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობები (და არა ტექნიკური უნარები), განეკუთვნება, მაგალითად, ინფრასტრუქტურული პროექტები, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები და არამც და არამც აუდიტორული შემოწმების მომსახურება (ინტელექტუალური მომსახურების კატეგორიაში შემავალი მკაცრი რეგლამენტების ჩარჩოებში მოქცეული მომსახურება), რომლის მიწოდების მთელი პროცესი (თითოეული პროცედურა დაგეგმიდან აუდიტორული დასკვნის გამოცემამდე) რეგლამენტირებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონით), პროფესიონალური ბუღალტრის (აუდიტორის) ეთიკის კოდექსითა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით.

აღნიშნულით მკითხველის ყურადღებას იმაზე ვამახვილებთ, რომ აუდიტორული შემოწმების განმახორციელებელი აუდიტორული კომპანიის, მისი აუდიტორების ტექნიკური შესაძლებლობები (უფრო სწორად ტექნიკური ცოდნა და გამოცდილება - ანუ საკვალიფიკაციო უნარები და გამოცდილება) არ შეიძლება შემსყიდველმა პრეტენდენტი შეაფასოს (გაზომოს) იმ ინდიკატორით (კრიტერიუმით), რომლითაც ზომავს ინფრასტრუქტურული პროექტების განმახორციელებელი (მიმწოდებელი) სამშენებლო კომპანიის ფინანსურ და ტექნიკურ შესაძლებლობებს. როცა შემსყიდველი ჯიუტობს და მაინც ცდილობს ვთქვათ წლიური ბრუნვის მაჩვენებლის ტექნიკურ დავალებაში აუცილებელ მოთხოვნებში „ჩატენვას“ აუდიტორული შემოწმების განმახორციელებელი (მიმწოდებელი) აუდიტორული კომპანიის შერჩევის კრიტერიუმად, დიდი ალბათობით შემსყიდველის ასეთი მოქმედება შეიძლება განპირობებული იყოს ამ ტენდერის პირობების მორგებით მისთვის სასურველი კომპანიისათვის (მაშინ, როცა სატენდერო კომისიის წევრები ფორმალურად აფორმებენ ოქმს იმის შესახებ, თითქოს ამ კომისიის წევრებს არა აქვთ ინტერესთა კონფლიქტი) და ასეთ პირობებში,

როგორც წესი, ტენდერში მონაწილეობის სურვილს გამოხატავს მხოლოდ ერთი კომპანია, რომელიც აღნიშნული მეთოდის გამოყენებით კონკურენტებისაგან „გათავისუფლებულ“ ველში იგებს კედევაც ტენდერს (იხ. მაგ. SPA170000181; NAT170000393; SPA170001541 და სხვა).

მსგავს შემთხვევებში მაღალი თვითშეფასებისა და რეპუტაციის აუდიტორული კომპანიები თავს არიდებენ მსგავს ტენდერში მონაწილეობას (რადგან ფიქრობენ, რომ შემსყიდველმა წინასწარ იცის ვის გაამარჯვებინებს - ანუ „გაიასნებულია“ თუ ვისთვის) დისკვალიფიკაციის შიშით (რადგან ფიქსირდება აუდიტორული კომპანიის მიერ პროფესიონალური ბუღალტრის (აუდიტორის) ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით კონკრეტულ მიმწოდებელზე მორგებული პირობები). ზემოაღნიშნული მიდგომები გათვალისწინებულია საქართველოს შესყიდვების სააგენტოს მიერ ადგილობრივი ბაზრისა და ევროპული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებში „რეკომენდაციიდან კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით“ (იხ. <http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi/qualification.pdf.aspx>), რომელიც აუდიტორული შემოწმების მომსახურების მიმღები სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციები ითითქმის ყველა შემთხვევაში უკეთებენ იგნორირებას და უნიჭოდ „თხზავენ“ ისეთ ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელიც შესაბამისობაშია შემსყიდველის მენეჯმენტის მიერ რჩეული (სასურველი) აუდიტორული კომპანიის მონაცემებთან. ასეთი „დერეფნის“ მომწყობი შემსყიდველის მოქმედების წყალობით ტენდერში გამარჯვებულ აუდიტორულ კომპანიას ნარმოეშობა რა ოფიციალურად არადეკლარირებული ვალდებულება შემსყიდველის წინაშე, ის იძულებულია: „თვალი დახუჭოს“ შემსყიდველის მიერ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე; არსებობს მაღალი რისკების შემცველი ფაქტები, არ დაადგინოს არსებითობა, არ გამოიყენოს შერჩევითობასთან დაკავშირებული პროფესიული ქმედებები და თუ შემთხვევით მიიანც ნაანყდა დარღვევისა შკარა ფაქტებს, არ დააფიქსიროს ის და საბოლოოდ შეადგინოს აუდიტის ისეთი ანგარიში და აუდიტორული დასკვნა, რომელიც შესაბამისობაშია დამკვეთის (შემსყიდველის) ინტერესებთან.

ამით დამკვეთის (შემსყიდველის) ინტერესი - შეიქმნას მისი საქმიანობის პოზიტიურად შეფასების, მომავალში საქმიანობის უსაფრთხოდ და კომფორტულად გაგრძელების გარემო, აგრეთვე ალიბის სახით მომკითხავს (ზემდგომს) თვალში ააფაროს აუდიტორული დასკვნა, შესრულებულია. ასევე შესრულებულია ამ ტენდერში გამარჯვებული რჩეული აუდიტორული შემოწმების განმახორციელებელი აუდიტორული კომპანიის სურვილი: მიიღოს ანაზღაურება (შესაძლებელია არა მარტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით!!!!) რეალურად არსებული რისკების შენიღბვისათვის-აუდიტის



ფორმალურად განხორციელებისათვის და გამოუ-
თავისუფლდეს დრო მომდევნო ასეთი შემსყიდვე-
ლის „ძიებისა“ და მასთან ანალოგიური ურთიერთობის
„დალაგებისთვის“.

ეს ცხადია ვარაუდებია, რომელსაც მთელ რიგ
შემთხვევებში შეიძლება რეალურად მართლაც
ჰქონდეს ადგილი, რომელიც საზიანოა როგორც
აუდიტორულ ბაზარზე მოქმედი აუდიტორებისა და
აუდიტორული კომპანიებისათვის (რომლებიც ასეთ
შემთხვევებში აშკარად არღვევენ პროფესიონალი
ბუღალტრის ეთიკის კოდექსისა და „ბუღალტრული
აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“
საქართველოს კანონის მე-16 მუხლის (ეთიკის წე-
სები და დამოუკიდებლობა), ასევე სახელმწიფოს ან
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ
დაფუძნებული სსიპ-ების, ა(ა)იპი-ების, შპს-ების
დამფუძნებლების/პარტნიორებისათვის (რომლებიც
ასეთი ფორმით შერჩეული აუდიტორების/აუდიტორ-
ული კომპანიების მიერ აუდიტირებული ფინანსური
ანგარიშგების საფუძველზე აფასებენ ამ ანგარიშებს
და ლებულობენ არაადეკვატურ და მაღალი რისკის
შემცველ გადაწყვეტილებებს).

ჩვენი კოლეგების მიერ ზემოაღნიშნული შერჩევის
მანკიერი პრაქტიკის გამოყენებისას აუდიტორე-
ბის/აუდიტორული კომპანიების მხრიდან უკანონო
მოქმედების დადასტურების ერთი ფაქტიც კი
დაანგრევს აუდიტორულ ბაზარს, მნიშვნელოვნად
შეარყევს რეპუტაციას, რომლის აღდგენას წლები
დასჭირდება. აუდიტორული საქმიანობა, საერთოდ
ეს პროფესია ხომ ნდობაზე, პატიოსნებაზე, დამოუ-
კიდებლობის მაღალ ხარისხზე, მიუკერძოებლობაზე,
მაღალ ხარისხის პროფესიონალიზმის გამოვლინების
უნარზე დგას!

აუდიტორული შემონმების მომსახურების სა-
ხელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისა და
საწარმოების მენეჯმენტი, არც თუ ისე იშვიათად
**აჭარბებს მის უფლებამოსილებებს და ამ მომსახურე-
ბაზე ტენდერის გამოცხადებითა და აუდიტორის/აუ-**

**დიტორული კომპანიის არჩევითისი დამფუძნებლის
(სამინისტროს, მერიისა და გამგეობის) ფუნქციებს
ითავსებს (ანუ პარტნიორისა და დამფუძნებლის
უფლებამოსილებების ითვისებს), რომლითაც არ-
ღვევს: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს
კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის (სსიპ-ებთან და
ა(ა)იპი-ებთან მიმართებ: „ა“) და „მენარმეთა შესახებ“
საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის „ი“
ქვეპუნქტის მოთხოვნებს (შპს-ებთან მიმართება-
ში, რომლის მიხედვით შპს-ს პარტნიორთა კრება (ანუ
დამფუძნებელი) უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას
აუდიტორის არჩევაზე და არა კომპანიის დირექტორი,
რომლის მიერ შედგენილ ფინანსურ ანგარიშგე-
ბას ამოწმებს აუდიტორი/აუდიტორული კომპანია.
თუ ამ საწარმოს პარტნიორისგან აქვს დელეგირებუ-
ლი ასეთი უფლება, ვფიქრობ ასეთი გადაწყვეტილება
გამოცემული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობით
დადგენილი წესით). ეს არსებითია იმის გამო, რომ
**პირდაპირ დამოკიდებულებაშია აუდიტორული
შემონმების განმახორციელებელი აუდიტორული
კომპანიის საქმიანობის დამოუკიდებლობასთან და
შემონმების შედეგების შეფასებაზე პროფესიული
აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან.****

ასეთი ფაქტები ჩვენს მიერ განხორციელებუ-
ლი დაკვირვების პერიოდშიც დაფიქსირდა (იხ.
SPA170002435, NAT160003506, SPA170001541;
SPA150006896; SPA170000957 და სხვ), რომელიც
ქმნის ინტერესთა კონფლიქტისათვის საკმაოდ ნა-
ყოფიერ ნიადაგს, რადგან აუდიტორული შემონმების
განმახორციელებელი აუდიტორული კომპანიის
შერჩევა, შერჩევის კრიტერიუმების დადგენა, მიწო-
დებული აუდიტორული შემონმების მომსახურების
ანაზღაურება დამოკიდებულია იმ მენეჯმენტზე
ვინც პასუხისმგებელია წლის საქმიანობაზე და ამ
საქმიანობის ამსახველი ფინანსური ანგარიშგების
შედგენასა და წარდგენაზე, აგრეთვე ამ ანგარიშგე-
ბის უტყუარობაზე. ცხადია, სახელმწიფო შემსყიდ-
ველების მხრიდან ამ მეტად არსებითი ხასიათის

უფლების „მითვისება“ ქმნის არაჯანსაღი ატმოსფეროს ჩამოყალიბების საფუძველს (ზოგჯერ შესაძლოა აუდიტორული შემოწმების განმარტებითი კომპანიის წინაშე წარმოშვას გადახრებზე, გადაცდომებზე, ფულის გათეთრების ფაქტებზე, სპეციალურად დამახინჯებულად შედგენილ ანგარიშგებაზე „თვალის დახუჭვის“ ვალდებულება (ატმოსფერო), რომელიც მიუღებელია).

კვლევის პროცესში დაკვირვებამ აჩვენა, რომ ზოგიერთი საჯარო დაწესებულება ცდილობს მთელი წლის განმავლობაში ერთდროულად ერთი და იგივე აუდიტორული კომპანიისგან მიიღოს, როგორც აუდიტორული საკონსულტაციო მომსახურება (მომსახურე აუდიტორული კომპანიისაგან დოკუმენტების ვიზირების (თან ყველა დოკუმენტის) ფორმითაც კი), ისე წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმების მომსახურებაც (შესაბამისი აუდიტორული დასკვნის გამოცემით). ამ სურვილს პირდაპირ აფიქსრებს ტექნიკურ დოკუმენტაციაში. ეს იმას ნიშნავს, რომ აუდიტორულ კომპანიას წარმოეშობა ვალდებულება აუდიტორული შემოწმება განახორციელოს მის მიერ მიწოდებულ მომსახურებაზე, რომელიც, პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის მიხედვით, აკრძალულია და იწვევს აუდიტორის მიერ აუდიტორული საქმიანობის ფუნდამენტალური პრინციპის დარღვევას, ავტომატურად წარმოშობს პროფესიული ორგანიზაციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან ასეთი აუდიტორული კომპანიის მიმართ ადექვატური მკაცრი ზომების მიღების ვალდებულებას.

ასეთი მაგალითია ტენდერი SPA170001541, რომლის გვერდზე ჩვენს მიერ განთავსებული შენიშვნა

(„იცის თუ არა შემსყიდველმა, რომ ტექნიკური დავალების 2.3.5 პუნქტში აღნიშნული აუდიტორული შემოწმების უფლება ენადალმდეგება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილ პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსს (IESBA Code), აგრეთვე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს ტექნიკური მოთხოვნების 2.3.2 პუნქტში მითითებულ მომსახურებასთან მიმართებაში, რადგან აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას ეკრძალება იმ პერიოდის აუდიტორული შემოწმების მომსახურების მიწოდება, რომელ პერიოდზეც თვითონ აქვს განხორციელებული აუდიტორული საკონსულტაციო მომსახურება (რომელიც განხორციელებულია ამ აუდიტორული კომპანიის მიერ მუდმივი ვიზირების რეჟიმში). ანუ ამ შემთხვევაში ხომ სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი?“), **შემსყიდველმა ჯიუტად არ გაითვალისწინა**.

ყველაზე არსებითი და საყურადღებო ისაა, რომ ამ ტენდერში მონაწილე ერთადერთ (ცხადია ამ ტენდერზე მონაწილეობა შეძლო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა) პრეტენდენტ აუდიტორულ კომპანიას, რომელიც გამარჯვებულად სცნო სატენდერო კომისიამ, ამის საწინააღმდეგო მოსაზრება არ მოუხატავს, მათ შორის არც შესყიდვების სისტემის მეშვეობით. აღნიშნულის გამო, ჩვენი ეს კოლეგა ავტომატურად აღმოჩნდა „დანალმულ“ ველზე, სადაც აუდიტორული პროფესიის მაკომპრომეტირებელი გარემოებები და აუდიტორული კომპანიის მიერ პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის დარღვევის-აუდიტორების/აუდიტორული კომპანიის ქმედების „ნალმების“ ფუნქციის მატარებელი ფაქტები იდენტიფიცირებულია და პირდაპირ ზედპირზე დევს მყარი მტკიცებულებების სახით, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მიიქცევს შესაბამისი აუდი-



ტორული პროფილის პროფესიული ორგანიზაციის ეთიკის კომიტეტისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ყურადღებას. გასაკვირი ის არის, რომ მსგავსი შემთხვევების მიმართ ამ პროცესში მონაწილე ზოგიერთ ჩვენი კოლეგა „დაყრუებულია“, ისეთ პოზას ირჩევს, რომ თითქოს მას ეს არ ეხება(!)

ზემოაღნიშნულ პერიოდში დროის რეალურ რეჟიმში ჩვენს მიერ განხორციელებული დაკვირვების შედეგების შეფასების საფუძველზე მივედით შემდეგ დასკვნამდე: საჯარო სექტორში შემავალი შემსყიდველის მენეჯმენტს, რომლის საქმიანობასაც (კერძოდ მათი საქმიანობის ამსახველ და მათივე ხელით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებას) უტარებს აუდიტორულ შემოწმებას, არაფრით არ სურთ აუდიტორულმა კომპანიამ აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოავლინოს მაღალი რისკის შემცველი ფაქტები, მათი იდენტიფიცირებისა და შეფასების საფუძველზე დააფიქსიროს გადახრები, გადაცდომები, ნაკლოვანებები და შესაძლოა თაღლითობის, არაკანონიერი მოქმედების ფაქტები. ამ მიზნით, შემსყიდველები, მით უფრო ქართულ გარემოში, ცდილობენ მოახერხონ აუდიტორულ ბაზარზე მოქმედი მათთვის ახლო ნაცნობი იმ აუდიტორული ფირმების/ აუდიტორების მოწვევა, რომლებიც განახორციელებენ აუდიტორულ შემოწმებას, მაგრამ გამოვლენილ გადახრებსა და გადაცდომებს, თაღლითობისა და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს არ გაამჟღავნებენ, არ დააფიქსირებენ და საჯაროს არ გახდიან, რომლის მეშვეობით აიცილებენ შესაძლო გართულებებს ზემდგომთან (სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან, დამფუძნებელთან). აუდიტორული შემოწმების მომსახურების ამ განზრახვის მქონე შემსყიდველი მაქსიმალურად ცდილობს სატენდერო მოთხოვნები მოარგოს მისთვის სასურველ აუდიტორულ კომპანიის/ აუდიტორის საკვალიფიკაციო მონაცემებს და ამით გაუმზადოს მას „დერეფანი“- ააცილოს პრეტენდენტებისათვის სახელმწიფო შესყიდვის კანონმდებლობით დადგენილი კონკურენტული გარემოს შექმნისა და არადისკრიმინაციული მიდგომების დაცვის უზრუნველყოფელი კრიტერიუმების გათვალისწინების აუცილებლობა.

რამდენადაც ვიცი (თუ ვინმემ იცის ასეთი ერთი ფაქტი მაინც, იქნება მომანოდოთ, რითაც გამახარებთ ძალიან, უფრო მეტიც- შეიძლება აზრიც კი შევიცვალო), სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ აუდიტის ობიექტზე ბოლო სამი წლის განმავლობაში საჯარო აუდიტის განმახორციელებელი სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ მიერ სერტიფიცირებულ აუდიტორებს სსიპ-ების, ა(ა)იპი-ების, შპს-ების ფინანსური ანგარიშგების შემოწმების შედეგად თითქმის არც ერთ ობიექტზე არა აქვთ გამოხატული უარი აუდიტორული დასკვნის გამოცემაზე, ხოლო ამავე კატეგორიის აუდიტორების მიერ გამოცემული პირობითი დასკვნების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ეს იმას ნიშნავს, რომ აუდიტორული შემოწმების სახელმწიფო შესყიდვის

განმახორციელებელი სანარმოები, სსიპ-ები, ა(ა)იპი-ები, შპს-ები, მათი ზემდგომები საგულდაგულოდ არჩევენ იმ ნაცნობ აუდიტორებსა და აუდიტორულ კომპანიებს, რომლებიც აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებს, შეუსაბამობებს კარგად „შეუფუთავენ“ და არ უპრობლემებენ.

მთელ ამ პროცესს, ცხადია, გარკვეულწილად ხელს უწყობენ ჩვენი ის კოლეგები, რომლებიც თვითშეფასების დეფიციტით არიან დაავადებული და „ფორთხვა-ფორთხვით“ დაიარებიან სახელმწიფო შემსყიდველების დერეფნებში ჯერ კიდევ შემორჩენილი ნაცნობების მეშვეობით აუდიტორული შემოწმების მომსახურებაზე დაკვეთის მიღების მიზნით, ფასთა გამოკითხვაზე მიმართვისას აფიქსირებენ და ამ მომსახურებას (უმეტესწილად ერთ პირთან მოლაპარაკების ფორმით) სთავაზობენ დემინგურ ფასად, დიდი ალბათობით ფორმალურად ან უხარისხოდ ახორციელებენ ამ უნიკალური მომსახურების მიწოდებას, ქმნიან ნოყიერ საფუძველს თვითშეზღუდვის გარემოს შექმნისათვის და ასეთი მოქმედების ნყალობით არღვევენ პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსს, ასეთ გარემოში მომსახურების მიწოდების შედეგად მხოლოდ გროშებს აგროვებენ (რომელიც სრულიად არასაკმარისია მათი პროფესიული განვითარებისათვის (მათ შორის ბასს-ის, ფასს-ის, ACC-ის სახელმძღვანელოების და სხვა სპეციალური ლიტერატურის შექმნისათვის, ოფისის შენახვისათვის და ა.შ) და შესაბამისად, ვერ ვითარდებიან. რაც მთავარია, ასეთი მოქმედებით საჯარო შემსყიდველების თვალში (შესაძლოა არა მარტო ამ სფეროში) პროფესიის დისკრედიტაციას უწყობენ ხელს (ვფიქრობ ეს უფრო პროფესიული კამიკაძეობაცაა)

ცხადია, გაითვალისწინებთ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ეხება საჯარო სექტორში აუდიტორული შემოწმების მომსახურების მიღების მიზნით არსებულ სიტუაციას, რომელიც პირდაპირ ზედაპირზე დევს და ეს არეალი ქცეულია აუდიტორის პროფესიის მადისკრიმინებელ სეგმენტად. ჩვენ ამ პროცესზე ვაგრძელებთ დაკვირვებასა და შეფასებას, გავაგრძელებთ ადექვატურ რეაგირებასაც, მაგრამ ვფიქრობთ არის აუცილებლობა ამ სფეროში (ვგულისხმობ საჯარო სექტორს) შესაბამისი აქტივობები, მათ შორის დროის რეალურ რეჟიმში, განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, აუდიტორული პროფილის პროფესიულმა ორგანიზაციებმა, რაც შეეხება კერძო სექტორში შემავალ სანარმოებისათვის, კორპორაციებისათვის აუდიტორული შემოწმების მომსახურების მიწოდებას კვალიფიციური აუდიტორული კომპანიების მიერ, ვფიქრობ პროცესი ამ სეგმენტში ადექვატურად მიმდინარეობს და ამკარად გამოკვეთილია განვითარების ტენდენცია.

ცხადია, მაქვს სურვილი ამ და ბევრ სხვა პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩემმა კოლეგებმაც გამოხატონ მოსაზრება, მათ შორის იმათაც, რომლებიც თავიანთ თავს ამოიცნობენ (მე მათი ვინაობა ზედაპირზე სპეციალურად არ ამოვიტანე, რადგან, ბუნებრივია, გავუფრთხილდი კოლეგების

პირდაპირ მხილებას და მივიჩნევ, რომ ზოგიერთი ჩვენი კოლეგა „დაიბნა“ და გზა აერია) ამ სტატიაში. ვიკამათოთ, აზრები, მოსაზრებები გავცვალოთ-ყველაფერი ეს ხომ პროფესიის განვითარებას უწყობს ხელს, რომელიც ძალიან გვჭირდება ჩვენც და ქვეყანასაც, მის მომავალსაც.

მაქვს განზრახვა აღნიშნული სტატია გამოქვეყნების შემდეგ აუცილებლად გავუგზავნო ამ სტატიაში აღნიშნულ შემსყიდველ ორგანიზაციებსა და მათ ზემდგომებს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, შესაბამის მინისტრებს და, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოვითხოვო მათგან რეაგირება. და იცით რატომ? იმიტომ, რომ ამ სეგმენტში არსებული ზემოაღნიშნული სიტუაცია შექმნილია სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისა და მათი ზემდგომების მიერ.

რომ არა ამ ორგანოთა მენეჯმენტის უპასუხისმგებლობა, არაკომპეტენტურობა, განუკითხაობა, შესაძლო დარღვევების მიჩქმალვისა და თანამდებობებზე დიდხანს (გახანგრძლივების, კომფორტულად ყოფნის) „ტივტივის“ სურვილი, ჩვენი ზოგიერთი კოლეგა ასეთ „წუმპეში“ არ აღმოჩნდებოდა.

კარგი იქნება თუ ასეთივე აქტივობას გამოიჩინენ აუდიტორული პროფილის პროფესიული ორგანიზაციებიც არა მარტო ამ სტატიაში აღნიშნულ ფაქტებზე (ვგულისხმობ ამ სფეროში შესაბამისი კვლევის ჩატარების მიზანშეწონილობასა და მათზე შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელებას). დარწმუნებული ვარ სწორედ ასეთი მიდგომით განვითარებთ პროფესიას, პატივს მივაგებთ ამ სფეროს და შევქმნით პირობებს პროფესიის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის. შესაძლო მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს ასეთის კრიტიკა არ უწყობს ხელს პროფესიის პოპულარიზაციას, ჩემის აზრით არ არის სწორი, რადგან ეს კრიტიკა არ ეხება ბაზარზე და პროფესიაში წარმატებულად მოღვაწე და დასაქმებული კოლეგების 95 %, ის ძირითადად ეხება იმ სახელმწიფო შემსყიდველებს (ჩვენს მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადებით შრომის ანაზღაურებულ საჯარო მოხელეებს), რომლებიც

ზედმეტი თვითდაჯერებულობისა (ზოგჯერ კი უძლეველობის სინდრომით შეპყრობილები) და არაკომპეტენტურობის გამო იმასაც კი ვერ ახერხებენ, რომ მათი სურვილები მოაქციონ („შეფუთონ“) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების ჩარჩოებში. ვფიქრობ ასეთი ფაქტების გამომზეურება და ადექვატური შეფასება(თუნდაც კრიტიკა) არის შეძახილი, რომელიც პროფესიული საქმიანობის განვითარების ერთ-ერთი დეტონატორია. ჩვენ ყველამ ერთად უნდა მოვიწოდოთ და არ უნდა დავუშვათ, რომ ამ უნიკალური პროფესიის რომელიმე სეგმენტი, ზოგიერთი სახელმწიფო ორგანიზაციის საჯარო მოხელეთა ძალისხმევით კვლავ მოექცეს „საბჭოურ ჭაობში“ (ამ ჭაობში აუდიტორები აღმოჩნდნენ განსაკუთრებით მაშინ, როცა გადამხდებებს ჰქონდათ ვალდებულება საგადასახადო ორგანოში წარედგინათ აუდიტორების მიერ დადასტურებული ბალანსები და დარწმუნებული ვარ არც ერთ ჩემს კოლეგას არ სურს იქ დაბრუნება, რადგან ეს იყო საბჭოთა სისტემის ნიაღში შობილი აუდიტორების ტოტალური დისკრედიტაციის პოლიგონი).

გარდა ამისა, ზოგიერთ ჩემს კოლეგას, რომელიც ჩართული აღმოჩნდა ზემოაღნიშნულ „ჭაობში“, მინდა შევახსენო, რომ, რამდენიმე წლის წინ საქმიანობა შეწყვიტა მსოფლიოს ერთ-ერთმა უძველესმა და უდიდესმა აუდიტურმა ფირმამ – **Arthur Andersen-მა**, რომელიც მთელს მსოფლიოში განთქმული იყო კრისტალური პატიოსნების სტრატეგიის განხორციელებით. აუდიტური კომპანია „**არტურ ანდერსენი**“ ამერიკის ისტორიაში ფანტასტიკური აღმასვლისა და ელვისებური დაცემის ნიმუშად დარჩა. ვფიქრობ ამ და მსგავს თემატიკაზე აუდიტორებთან საუბარი აუცილებელია, მათ შორის პროფესიული ფედერაციების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ფორმატის ღონისძიებებზე.

მურად ნარსია,

ეკონომიკის დოქტორი,
სერთიფიცირებული აუდიტორი,
აუდიტორული კომპანია „პრიმა
აუდიტის“ მმართველი პარტნიორი,
ბაფ-ის წევრი

TOTAL DISCREDITING POLYGON TO BE AVOIDED BY AUDITORS

Murad Naraia - Doctor of Economics, Associated Professor, Certified Auditor, BAF member

RESUME

the article is devoted to challenges encountered by audit firms/auditors operating on the audit market. Based on the actual materials, the author analyses possible facts of the lack of impartiality, creation of non-competitive environment and bringing of qualification requirements in compliance with certain candidates detected at the time of procurement of audit services by public sector state procurement organizations and enterprises and not responded by relevant public institutions. The author assumes that tender announced for procurement of audit services and carried out using such procedures can cause attempt of the buyers to conceal distorted financial statements reflecting their activities, which in fact harms reputation/authority of auditors/audit companies operating on this market as well as independence of auditors which is the basis of this profession. Some facts of the loss of reputation on the world audit market and its outcomes are considered in the article. Recommendations are given by the author based on generalization of facts.

მინის ღირებულება და ინვესტიციები სასტუმრო ინდუსტრიაში საქართველოში

შესავალი

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება მიმდინარე ეტაპზე მოიაზრება, როგორც ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ერთერთი ეფექტიანი საშუალება. ამ პროცესს ხელს უწყობს, როგორც ადგილობრივი ბუნებრივი და კულტურული რესურსები, ასევე სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა. იგულისხმება სახელმწიფოს ბიუჯეტში გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის ფართო განვითარების პრიორიტეტული გათვალისწინება, ამოქმედებული თავისუფალი ტურისტული ზონები, მცირე ბიზნესის წამახალისებელი პროგრამები, როგორებიცაა მაგალითად „ანარმოე საქართველო“, ინვესტიციების თანადაფინანსების ფონდების ფუნქციონირება, რეგულაციებში რეინვესტირების წახალისება და სხვა.

სასტუმროების ქსელის გაფართოების პარალელურად მეტ აქტუალობას იძენს მცირე მინიანი ქვეყნის ტერიტორიების რაციონალური გამოყენება. ტურიზმთან დაკავშირებით იგი სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება. მაგალითად, თავისუფალ ტურისტულ ზონებში ტერიტორია ასრულებს ინვესტიციების სტიმულირების ფუნქციას მინის პრაქტიკულად უფასოდ გაცემის მეშვეობით. ზოგადად, შიდა ბაზრის სიმწირისა და საექსპორტო პოტენციალის ჯერ კიდევ არასაკმარისი განვითარების პირობებში, მინების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკურად არ არის გააქტიურებული. რიგ შემთხვევებში ამ ვითარებას ამძიმებს მთის რთული რელიეფური და კლიმატური პირობებიც, განუვითარებელი სატრანსპორტო და სხვა ინფრასტრუქტურა. ასეთმა ადგილებმა დაიმკვიდრეს „ეკონომიკურად დეპრესირებული რეგიონების“ სახელი.

აღნიშნულ ვითარებაში ტურიზმის ინდუსტრია იძენს გარკვეულ უპირატესობას სხვა დარგებთან შედარებით. კერძოდ, მისი განვითარებისათვის ხშირად გამოიყენება ისეთი რესურსები, რომლებიც უმნიშვნელოა ან ნაკლებად მნიშვნელოვანია სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობისათვის. ამის მაგალითებია, კულტურულ-ისტორიული, არქიტექტურული და ბუნების ძეგლები, პეიზაჟები, ადგილობრივი ტრადიციები, მთის მწვერვალები, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კლიმატური და ბალნეოლოგიური რესურსები.

ტურიზმის ინდუსტრიის აღნიშნულმა თავისებურებამ, განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად განაპირობა სასტუმროების ქსელის გაფართოება ქვეყანაში, და გააჩინა მისი შემდგომი სწრაფი განვითარების მოლოდინებიც. საკმარისია ითქვას, რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა მიზნად ისახავს 2025 წლისათვის ვიზიტორთა რაოდენობის 11 მილიონამდე გაზრდას. ამასთან, უახლოეს წლებში დაგეგმილია 125 განთავსების ობიექტის მშენებლობა,

15 335 საწოლი ადგილით, რომელთა შორის ბევრია მაღალი კლასის საერთაშორისო ბრენდული სასტუმრო [9].

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოში მინის ღირებულების განსაზღვრა სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პროცესში. კვლევის ჰიპოთეზად მიღებულია დაშვება, რომ სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება თავსებადია მინის საბაზრო ღირებულებასთან და არ საჭიროებს შეღავათიან რეგულირებას. ძიების საკვანძო საკითხი მდგომარეობს ამ მინების საბაზრო ფასებისა და მათზე მზარდი საინვესტიციო მოთხოვნების ადეკვატურობის განსაზღვრაში. ამისათვის დაისახა კვლევის შემდეგი ეტაპები:

- სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პროგნოზი;

- ინვესტიციების მოცულობის შეფასება სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებისთვის 2025 წლამდე;

- ინვესტიციებში მინის კომპონენტზე მოთხოვნის განსაზღვრა („საბაზრო მოთხოვნები“);

- მინების საბაზრო ღირებულების შეფასება სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებისთვის („საბაზრო შეთავაზება“);


- დასკვნითი ნაწილი: სასტუმრო ინდუსტრიაში მინაზე საბაზრო ფასების შედარება საინვესტიციო მოთხოვნებთან (იხ. ნახ. 1).

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ამ პრობლემის შესწავლის საწყის ეტაპს. შესაბამისად, იგი ეყრდნობა რიგ ემპირიულ ან პილოტაჟურ დაშვებებს და მოსაზრებებს. ცალკეულ შემთხვევებში, კვლევა აგრეთვე დაკავშირებულია კონფიდენციალური ხასიათის კომერციულ მონაცემების გამოყენებასთან, რასაც შეაქვს თავისი წვლილი მოსაზრებების განზოგადებაში. ამის მიუხედავად, ავტორს მიაჩნია, რომ აღნიშნული პირობითობა დასაშვებია იმ დონის დასკვნებისთვის, რომლებიც წარმოადგენილია კვლევის შედეგებში. იგივე დასკვნები ქმნიან კვლევების შემდგომი გაგრძელების წინაპირობებს.

1. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პროგნოზი

ინვესტიციების მოცულობის ზუსტი განსაზღვრა ხანგრძლივი პერსპექტივისათვის შეუძლებელია განხორციელდეს სავარაუდო პარტნიორებთან წინასწარი შეთანხმებების საფუძველზე. ძნელია მოიძებნოს ისეთი ინვესტორი, რომელიც 3-5 და მთუმეტეს მეტი წლით ადრე აიღებს დაფინანსების ვალდებულებას. ამიტომ, კვლევაში გამოყენებულია პროგნოზირების მეთოდი. საბაზო მაჩვენებლად აღებულია სასტუმროების ოთახების ფონდი. კერძოდ, ამ ფონდის ზრდის ტენდენციები პოსტ-კრიზისულ პერიოდში, 2009 წლიდან დღემდე.

საპროგნოზო პერიოდი გრძელდება 2025 წლამდე,



ნახ. 1: კვლევის მოდელი


რაც შეესაბამება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ტურიზმის სტრატეგიული განვითარების გეგმის პერიოდს. მისი ხანგრძლივობის გამო, მიზანშეწონილად არის მიჩნეული პროგნოზის დაყოფა ოპტიმისტურ, შუალედურ და პესიმისტურ სცენარებად. პირველ შემთხვევაში, გამოყენებულია ისტორიული მონაცემების პერსპექტივაში მზარდი ტემპით განვითარების მოდელი, ხოლო პესიმისტური სცენარისათვის - შენარჩუნებულია 2009 წლიდან ზრდის ისტორიული ტენდენციები.

ჩატარებული გამოთვლების შედეგად დადგინდა, რომ ოპტიმისტური სცენარით განვითარების შემთხვევაში, 2025 წლისათვის ქვეყანაში იქნება 80 ათასზე მეტი სასტუმრო ოთახი. პესიმისტური პროგნოზის თანახმად ეს მაჩვენებელი მცირდება დაახლოებით 40 000 ოთახამდე, ხოლო შუალედური სცენარით - 60 000 ოთახამდე. ცალკე აღნიშნავთ, რომ ოპტიმისტური სცენარით, იმავე 2025 წლისათვის სასტუმროების ოთახების არსებულ ფონდს შეემატება დაახლოებით 59 ათასი ოთახი. (იხ.ნახაზი 2)

მიღებული შედეგების ტესტირებისთვის ჩატარდა

მათი შესაბამისობის შეფასება ვიზიტორთა საპროგნოზო რაოდენობასთან. განთავსების საშუალების წლიურ დატვირთვას განვსაზღვრავთ 60%-ით. შედარებისათვის შევნიშნავთ, რომ Colliers International-ის 2015 წლის კვლევის თანახმად ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არის თბილისში - 49%-68%-ის ფარგლებში, ხოლო ყველაზე დაბალი შავი ზღვის კურორტებზე - 25%-30% [5]. ამასთან, დავუშვებთ რომ ერთი ოთახით ისარგებლებს საშუალოდ 1,25 სტუმარი და გაჩერდება საშუალოდ 5 დღე (ეს უკანასკნელი შეესაბამება ტურიზმის ადმინისტრაციის მიზნობრივ მაჩვენებელს), ტურისტთა წლიური ბრუნვა 5 მილიონს მიუახლოვდება, კერძოდ: $80\ 000 * 1,25 * 365 * 60\% / 5 = 4,9$ მილიონი ტურისტი, რომლებიც ისარგებლებენ განთავსების საშუალებებით. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ 2015 წლის მონაცემებით, ქვეყნის 5,9 მილიონი ვიზიტორიდან 24 საათზე მეტხანს გაჩერდა დაახლოებით 40%, ხოლო, სასტუმროებით ისარგებლა 1,9 მლნ.-მდე ტურისტმა, ანუ ვიზიტორების 1/3-ზე ნაკლებმა [5, გვ 8].

ნახ. 2 სასტუმრო ოთახების ფონდის ზრდა



ჩვენი პროგნოზის თანახმად, როგორც აღინიშნა, განთავსების საშუალებებით ისარგებლებს 4,9 მილიონი ტურისტი, რაც შეადგენს მოსალოდნელ ვიზიტორთა (11 მილიონის) 40%-ს. ეს ნიშნავს, რომ სასტუმროებით მოსარგებლე ტურისტთა წილი სავარაუდოდ გაიზრდება 32%-დან 40%-მდე. დღეს ნათლად იკვეთება სასტუმროთა მოსარგებლე ტურისტთა წილის ზრდის ტენდენცია. ამის გათვალისწინებით, 8% მატება მიგვაჩნია ლოგიკურად და იგი ამყარებს სასტუმრო ოთახების საპროგნოზო მაჩვენებლების სანდოობას.

2. სასტუმრო ინდუსტრიაში ინვესტიციების მოცულობის პროგნოზი

ჩატარებული სასტუმრო ოთახების პროგნოზი საშუალებას იძლევა შეფასდეს ინვესტიციების მთლიანი და წლიური მოცულობები ქვეყნის ეკონომიკის ამ სფეროში. გამოთვლის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც გამოყენებულია მოცემულ კვლევაში, არის ინვესტიციების მოცულობის დადგენა ერთ სტატისტიკურ სასტუმრო ოთახზე. ამისათვის შესწავლილი და გათვალისწინებულია როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი პრაქტიკა.

საერთაშორისო პრაქტიკას კარგად ასახავს და განაზოგადებს სასტუმროების ბიზნესში ავტორიტეტული საკონსულტაციო კომპანია HVS-ს კვლევები. კომპანიის ანგარიშების თანახმად, ინვესტიციების მოცულობა საშუალო კლასის სასტუმროს ერთ ოთახ-

ზე გადაანგარიშებით შეადგენს დაახლოებით 150-200 ათას აშშ დოლარს [13]. ცვალებადობა სასტუმროს კლასის მიხედვით დიდია - ლუქსის ტიპის სასტუმროსათვის ეს საშუალო მაჩვენებელი აღწევს \$640 ათასს, ხოლო ეკონომიური კლასის - \$91,2 ათასს [13].

საქართველოში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებით, ექსპერტები და პრაქტიკოსები ერთხმად აცხადებენ, რომ მომავალში პრიორიტეტული მიმართულება გახდება საშუალო და მაღალი კლასის სასტუმროების მშენებლობა. ამასვე ადასტურებს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია სასტუმროების მოსალოდნელ საინვესტიციო პროექტებზე 2019 წლამდე [9]. უძრავი ქონების საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის Colliers International-ის მიერ წარმოდგენილი სამომავლო პროექტებშიც ძირითადად მონაწილეობენ მაღალი კლასის საერთაშორისო ბრენდული სასტუმროები [5].

მოძიებული ინფორმაცია აჩვენებს, რომ საქართველოში მაღალი კლასის სასტუმროებში ინვესტიციები ერთ სასტუმრო ოთახზე გადაანგარიშებით \$160 ათასს შეადგენს. ამ კლასის სასტუმროების ოთახების წილი ქვეყნის განთავსების საშუალებების საერთო ფონდში წელს 60% -მდეა [20]. მათ შორის, ბრენდული სასტუმროების სანომრე ფონდი 10%-ზე ნაკლებია. დანარჩენი 40% წარმოდგენილია შედარებით დაბალი კლასის სასტუმროებით და განთავსების საშუალებებით, რაც ლოგიკურად ამცირებს ინვესტიციის

საშუალო მაჩვენებელს.

ექსპერტების აზრით, 60-70 ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა თბილისში ჯდება \$5 მილიონი, ანუ ერთ ოთახზე \$71,4-\$83,3 ათასის ფარგლებში [1]. ამ დიაპაზონში ექცევა ქუთაისში Best Western-ის სასტუმროს პროექტიც, რომელიც ითვალისწინებს \$65 ათასის ინვესტიციებს ერთ ოთახზე; ნაკლები ჯდება კოტეჯის ტიპის ობიექტების მშენებლობა. მაგალითად, გოდერძის სამთო კურორტზე ამ ტიპის საინვესტიციო პროექტში გათვალისწინებულია \$50 ათასი [3], ხოლო ლოპოტას სასტუმრო კომპლექსის ერთი ოთახი დაჯდა - \$32 ათასი [8].

ჩატარებული ანალიზის შედეგად, განთავსების საშუალებების სტრუქტურის და მასში მაღალი კლასის სასტუმროების წილის მზარდი ტემპების გათვალისწინებით, კვლევაში სტანდარტად არის მიჩნეული საშუალო შენობილი მაჩვენებელი, რომელიც უდრის **\$75 ათასის ინვესტიციას ერთ საშუალო სასტუმრო ოთახზე** (იხ. ცხრ. 1).

ქვეყანაში სასტუმროების ოთახების ფონდის ზრდის პროგნოზი და ერთ სტანდარტულ ოთახზე ინვესტიციების მოცულობის განსაზღვრა საშუალებას იძლევა შეფასდეს ინვესტიციების საერთო სავარაუდო მოცულობა წლების მიხედვით და მთლიან საპროგნოზო პერიოდისთვის (იხ.დანართი). ჩატარებული გამოთვლების თანახმად, ოპტიმისტური სცენარით განვითარების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი მომავალი 9 წლის განმავლობაში ჯამში **სავარაუდოდ შეადგენს \$4 425 მილიონ** (59 ათასი ოთახი*\$75 ათასი), ხოლო წლიური ინვესტიციები მოექცევა \$285-\$818 მილიონის ფარგლებში.

3. მიწის კომპონენტი სასტუმრო ინვესტიციებში („ინვესტიციების საბაზრო მოთხოვნები“)

აღნიშნულ ინვესტიციებში ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება სასტუმროს მშენებლობისთვის და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოწყობისათვის.

ექსპერტების აზრით, მიწის ღირებულების წილი სასტუმროების ინვესტიციებში, საერთაშორისო დონეზე, მერყეობს საშუალოდ 11-18% ფარგლებში [13]. ბუნებრივია, ამ მაჩვენებელს ახასიათებს ცვალებადობა როგორც ადგილის მიხედვით, ისე დროში. უცხოური წყაროების შესწავლამ გვიჩვენა, რომ დიდ ქალაქებში მიწის ღირებულება სასტუმროების საინვესტიციო ბიუჯეტში 15-25% შეადგენს. განსაკუთრებით მაღალი ფასებით გამოირჩევა ისეთი მსხვილი ქალაქები, როგორცაა ჰონგ-კონგი, სინგაპური, ტოკიო, პარიზი, ლონდონი, ნიუ-იორკი და ინდოეთის ზოგიერთი ქალაქი. ამასთან, გარკვეულ წლებში, ეს ფასები იმდენად იზრდებოდა, რომ სასტუმროების მშენებლობა ხდებოდა არამომგებიანი. მაგალითად, ჰონგ-კონგში, ტოკიოში და მუმბაიში, 90-იანი წლების შუა პერიოდში მიწის ღირებულების წილი სასტუმროების საინვესტიციო პროექტებში 50%-მდეც კი ავიდა [11, 12].

საქართველოზე მოძიებულმა მასალამ გამოავლინა, რომ მიწის ღირებულების წილი სასტუმროების საინვესტიციო ბიუჯეტში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დაბალია ხსენებულ საერთაშორისო სტანდარტებზე. მაგალითად, თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში იგი 9.5% უდრიდა, გუდაურის ერთ-ერთ პროექტში - 10%-ს, აუთვისებელი შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ ზონაში კი -- 2%-ზე ნაკლებს. რიგ შემთხვევებში, ამ ხარჯების კომპენსაცია ხდებოდა არასტანდარტულად მრავალსართულიანი სასტუმროების მშენებლობით, რის შედეგადაც ქალაქის ცენტრალურ რაიონებში მიწის წილი საინვესტიციო ხარჯებში 5-6% მცირდება.

მოძიებული მასალების და ექსპერტების გამოკითხვის შედეგად, ჩვენი კვლევის მიზნებისთვის, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საქართველოში სტანდარტად **10%-იანი განაკვეთის დაშვება**. მხედველობაში მიღებულია ის გარემოება, რომ სასტუმროების მშენებლობა, როგორც წესი, წარმოებს ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში, სადაც მიწის ფასი შედარებით მაღალია. ამის საპირისპიროდ, ეს მაჩვენებელი დაბა-

ცხრ. 1: ინვესტიციები ერთ სასტუმრო ოთახზე კატეგორიების მიხედვით

სასტუმროს კატეგორიები	სასტუმრო ოთახები კატეგორიების მიხედვით 2015 წ		სასტუმრო ოთახები კატეგორიების მიხედვით პროგნოზი - 2025 წ		ინვესტიციის საშუალო მოცულობა ერთ სასტუმრო ოთახზე \$\$	სასტუმრო ინდუსტრიაში ინვესტიციების მოცულობა საპროგნოზო პერიოდში: (4) * (6)	ინვესტიციის მოცულობა ერთ სტატისტიკურ ოთახზე საპროგნოზო პერიოდში: (7) / (4)
	ოთახების რაოდ.	ოთახების პროც. წილი	ოთახების რაოდ.	ოთახების პროც. წილი			
მაღალი	2 246	10%	8 259,7	14%	160 000,0	1 321 555 200	
საშუალო	11 229	50%	33 038,9	56%	80 000,0	2 643 110 400	
დაბალი	8 983	40%	17 699,4	30%	26 000,0	460 184 400	
სულ	22 457	100%	58 998,0	100%		4 424 850 000	75 000,0

ლია ე.წ. დეპრესირებულ რეგიონებში, რაც უნდა ამცირებდეს აღნიშნულ განაკვეთს, მაგრამ მათი მცირე მოცულობები ვერ ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას ზოგად სურათზე.

საინვესტიციო მოცულობებისა და მასში მინის კომპონენტის სტანდარტების განსაზღვრამ შესაძლებელი გახადა გამოგვეთვალა მთლიანი საინვესტიციო მოთხოვნები მინაზე (ანუ მინის კომპონენტის ღირებულება ინვესტიციებში). ფულად გამოსახულებაში იგი აღწევს დაახლოებით \$ 442. 5 მილიონს (\$4 425 მილიონი * 10%).

4. მიწაზე საბაზრო ღირებულების შეფასება სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებისათვის (საბაზრო შეთაჟაჟება)

„მიწაზე მოთხოვნების“ შეფასების შემდეგ, კვლევის მომდევნო ეტაპები მიმართულია იგივე ობიექტების შეფასებაზე „შეთაჟაჟების“ მხრიდან. ამისათვის, ჯერ განისაზღვრა ტერიტორიის ფართობის სტანდარტები ერთ სასტუმრო ოთახზე გაანგარიშებით, ხოლო შემდეგ შესაბამისი მინის ნაკვეთების საბაზრო ფასები.

გამოთვლების პროცედურა ითვალისწინებს ოთხ ურთიერთდაკავშირებულ საფეხურს; ესენია: ფართის განსაზღვრა ერთ სასტუმრო ოთახზე, მოცემული კვლევის მიზნებისათვის; მათ საფუძველზე სასტუმრო ნაგებობების ჯამური ფართობის დადგენა; ამ უკანასკნელის გამოყენებით, სასტუმრო ინდუსტრიის მიერ მოთხოვნილი ტერიტორიის მთლიანი ფართობის გამოთვლა; და ბოლოს, ამ მთლიანი ტერიტორიის ღირებულების დადგენა შემადგენელი მიწების საბაზრო ფასების საფუძველზე.

საპროექტო მასალებისა და შესაბამისი ლიტერატურული წყაროების განხილვის შედეგად გამოავლინდა, რომ სასტუმროს სტანდარტული ნომრის ფართი 20-25 კვ.მ შეადგენს. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს მაჩვენებელი საშუალოდ იცვლება 18 კვ.მ-დან თითქმის 42 კვ.მ-მდე (იხ.მაგ., 7, 17, 19).

სტანდარტულ ნომრებთან ერთად, პრაქტიკულად ყველა სასტუმროში არის ოთახები, რომლებიც მოიცავენ შედარებით დიდ ფართს. ასეთი ოთახებია ლუქსის ან სხვა მსგავსი სახელის მატარებელი ნომრები. ამის გამო, სასტუმროს საცხოვრებელი ფართი ერთ სტატისტიკურ ოთახზე გადაანგარიშებით, მეტია ვიდრე ერთი სტანდარტული ოთახის ფართი. შესაბამისი მონაცემების გაცნობის შედეგად დავუშვით, რომ სასტუმრო ფონდის 10-15% წარმოდგენილია ასეთი „ფართი“ ოთახებით. აქედან გამომდინარე, სასტუმროს ერთი სტატისტიკური ოთახის ფართის სტანდარტად მიღებულია 28 კვ.მ.

მაგალითისთვის აღვნიშნავთ, რომ ოპტიმისტური განვითარების სცენარით და აღნიშნული ნორმატივის გათვალისწინებით, 2025 წლისთვის **სასტუმროების საერთო საცხოვრებელი ფართი შეადგენს თითქმის 1 652 ათას კვ მ.** (59 ათასი ოთახი*28 კვ მ)

სასტუმრო ბიზნესში და არქიტექტურაში, მიღებულია სასტუმროს მთელი ფართის შედარება საცხო-

ვრებელი ნომრის ფართთან. სხვადასხვა ქვეყანაში ამ მაჩვენებლებმა განსხვავებული ტერმინი დაიმკვიდრა, აშშ-ში - Floor Space Index (FSI), ევროპის რიგ ქვეყნებში - General External Area (GEA). ეს კოეფიციენტები მერყეობს 1.22-1.67 ფარგლებში [4, 23].

ჩვენ კვლევაში, სასტუმრო სიმძლავრეების გეოგრაფიული განლაგების გათვალისწინებით, მისაღებად მიგვაჩნია ნომრის და საერთო ფართის ფარდობითი კოეფიციენტის გასაშუალოება 1.4 ნიშნულზე. შესაბამისად, ინდუსტრიის ოპტიმისტური სცენარით განვითარების შემთხვევაში 2025 წლისათვის **სასტუმროების საერთო ფართი (ყველა სართულის ჯამი) მიუახლოვდება 2 313 ათას კვ მ-ს (1 652 ათასი კვ მ * 1.4).**

საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებულია სპეციალური რეგულირებები, რომლებიც განსაზღვრავენ სავალდებულო პროპორციების დაცვას სასტუმრო ნაგებობებისა და მის დაქვემდებარებულ ტერიტორიებს შორის. სხვანაირად რომ ვთქვათ, განისაზღვრება: 1) თუ რა ფართი შეიძლება განაშენიანდეს მოცემულ ტერიტორიაზე; 2) რა ფართი უნდა დარჩეს მიმდებარე ტერიტორიის სახით; 3) რა ფართი უნდა დაექვემდებაროს გამწვანებას და ა.შ. ასეთი კოეფიციენტები მოქმედებს საქართველოშიც. მაგალითად თბილისში მიღებულია ე.წ. კ1, კ2 და კ3 კოეფიციენტები [10, 16].

მოცემული კვლევის მიზნებისათვის ყურადღებას იმსახურებს კ2-კოეფიციენტი, რომელსაც განაშენიანების ინტენსიობის მაჩვენებელს უწოდებენ. სასტუმროებთან მიმართებაში, იგი განსაზღვრავს თუ რამხელა შენობის აგება დასაშვებია ტერიტორიის მოცემულ ფართობზე. ჩვენ შემთხვევაში, ცნობილი ცვლადია სასტუმრო შენობების ჯამური ფართი, ხოლო დასადგენი - შესატყვისი ტერიტორიის ფართი. აქედან გამომდინარე, სტანდარტული ფორმულის ცვლადების გადაადგილებით შესაძლებელია სასტუმრო ინდუსტრიის მიერ მოთხოვნილი ტერიტორიის საერთო ფართის გამოთვლა ფორმულით:

$$HT = GEA/k2., \text{ სადაც}$$

HT - ტერიტორიის ფართი, რომელიც უნდა ფუნქციონირად ეკუთვნოდეს სასტუმროებს და მსგავს ობიექტებს;

GEA - სასტუმროებისა და მსგავსი ნაგებობების ჯამური ფართი;

კ2 - განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი. თბილისის მიმართ კ2 კოეფიციენტი რამოდენიმე ნორმატივით არის წარმოდგენილი ფუნქციური ზონებისა და ადგილების მიხედვით: 1,8, 2,1, 3,0 და ა.შ. ჩვენი კვლევისათვის კ2 სტანდარტად ავიღებთ: 2.1 კოეფიციენტს, რომელიც ყველაზე მეტად არის მისადაგებული ტურისტულად აქტიური ზონების მიმართ [15,21]

ჩატარებული გამოთვლების შედეგად გამოვლინდა, რომ 2025 წლამდე **სასტუმროების ინდუსტრიის განვითარება დაკავშირებული იქნება 1 101 ათას კვ მ (ანუ 110 ჰა-ზე მეტი) ტერიტორიის ათვისებასთან**

(2 313 ათასი კვ მ / 2.1კ2).

ამ ეტაპის კვლევის ბოლო რგოლია მიწის ფასების განსაზღვრა სასტუმროების მშენებლობისთვის მიმზიდველ რეგიონებში. საქართველოში, ექსპერტების აზრით, მიწის ფასი ზოგადად, ბევრად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს [2,14].

ტურისტულად მიმზიდველი ტერიტორიების შესწავლამ გამოავლინა, რომ ამ ნაკვეთების ფასები განსაკუთრებული ცვალებადობით გამოირჩევა. [იხ. მაგ., 18]. კერძოდ, ერთ კვ მ მაჩვენებელი მერყეობს სიმბოლური ფასიდან (თავისუფალ ტურისტულ ზონებში) \$1 000 და მეტ ფასამდე (თბილისის ცენტრალურ უბნებში და ტურისტულად განსაკუთრებით მიმზიდველ ადგილებში).

კონკრეტული მონაცემების გამოსავლენად ვისარგებლეთ ინტერნეტ-სივრცეში განცხადებული და რეალტორების მიერ მოწოდებული ინფორმაციით. ბუნებრივია, რომ ყოველი კონკრეტული მიწის ნაკვეთის ფასი, განისაზღვრება როგორც ზოგადი თავისებურებებით (მაგალითად, მდებარეობა ზღვის სანაპირო ზონაში, მთის კურორტულ რაიონში, ქალაქის ცენტრში), ასევე უამრავი ადგილობრივი ფაქტორით (მაგალითად, ექსპოზიცია, ქანების სტრუქტურა, მდებარეობა ინფრასტრუქტურის ობიექტების მიმართ). ამ გარემოებების გამო, შესაძლოა რომელიმე მიწის ნაკვეთი მდებარეობდეს ტურისტულად მიმზიდველ რაიონში, მაგრამ კონკრეტული განლაგება ან თვისებები იყოს არახელსაყრელი. მაგალითად, ტურისტულად მიმზიდველ ბორჯომის რაიონში მიწის ნაკვეთის ფასები იცვლებოდა რამოდენიმე დოლარიდან \$750-მდე ერთ კვ მ. ამდენად, ტიპიური ფასის გამოვლენა რეგიონისათვის ასევე გარკვეულ პირობითობასთან არის დაკავშირებული.

ტურისტული რეგიონებისთვის დამახასიათებელი ფასების შერჩევა ხდებოდა იმ მონაკვეთებიდან, რომლებიც ავტორის აზრით პოტენციურად მიმზიდველი

იყო სასტუმროების განთავსებისათვის. მაგალითად შავი ზღვისპირეთში, ზღვასთან 200-300 მ სიახლოვეში მდებარე ნაკვეთები, თბილისში - ქალაქის ცენტრალურ და მასთან მიახლოებული ადგილები, რომლებშიც შედიან ე.წ. საზოგადოებრივ-საქმიანი ფუნქციური ზონა და საცხოვრებელი ფუნქციური ზონები 5 და 6 [22].

ფასების მკვეთრი გეოგრაფიული ცვალებადობის გამო გამოვყავით 4 ტერიტორიული კატეგორია და თითოეული ამ კატეგორიისათვის განვავსოვით მიწის ფასი:

- თბილისი - \$900 კვ მ;
- შავი ზღვის სანაპირო - \$270 კვ მ;
- მთიანი რეგიონები - \$70 კვ მ;
- სხვა რეგიონები - \$10 კვ მ.

აუცილებელ გათვალისწინებას იმსახურებს სასტუმროების არსებული და სავარაუდო განაწილება გამოყოფილ ტერიტორიულ კატეგორიების შორის. არსებული მონაცემების ანალიზით, თითოეულ მათგანს მიენიჭა შემდეგი პროცენტული „წონა“:


- თბილისი - 33%
- შავი ზღვისპირეთი - 33%
- მთის რეგიონები (ბორჯომის ჩათვლით) - 20%
- სხვა რეგიონები - 14%

ყველა აღნიშნული მაჩვენებლის დადგენის შედეგად, შესაძლებელია განისაზღვროს პერსპექტიული სასტუმროების ტერიტორიული მოთხოვნების მიწის საბაზრო ფასი („საბაზრო შეთავაზება“). ამ მაჩვენებლის გამოთვლა წარმოდგენილია ოპტიმისტური სცენარის მაგალითზე:

$$\text{„საბაზრო შეთავაზება“} = 1\ 101 \text{ ათასი კვ მ} * [\$900 * 33\%] + [\$270 * 33\%] + [70 * 20\%] + [\$10 * 14\%] =$$

= \$442 მილიონი. ეს მაჩვენებელი არსებითად წარმოადგენს სასტუმროებისათვის მიმზიდველი მიწის ნაკვეთის გასაშუალებულ ღირებულებას.

ამრიგად, კვლევს შედეგად განისაზღვრა ქვეყნის



ნახ. 3: მიწის კომპონენტის ღირებულება სასტუმრო სასტუმრო ინდუსტრიაში

სასტუმრო ინდუსტრიაში მოსალოდნელი ინვესტიციების მოთხოვნები მიწების მიმართ და ამ მიწების საბაზრო ღირებულებები. შედარებითი ანალიზი მკაფიოდ ავლენს ფასების ადეკვატურობას მხოლოდ ოპტიმისტური განვითარების სცენარისთვის (იხ, ნახ.3).

დასკვნა

საქართველოში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების განხილული სამი სავარაუდო სცენარიდან ამ სფეროში მოთხოვნილი მიწის ფასები შეესაბამება მხოლოდ ოპტიმისტურ ვარიანტს, კერძოდ ამ სცენარით განვითარებულ საინვესტიციო მოთხოვნებს. ეს მიუთითებს სასტუმრო ინდუსტრიის მიმართ ქვეყანაში ოპტიმისტურ დამოკიდებულებაზე და მაღალ მოლოდინებზე.

აღნიშნული კატეგორიის მიწის ფასების დამოკიდებულება სასტუმრო ინდუსტრიის პერსპექტივებზე ძალიან მაღალია, რაც თავის მხრივ შეიცავს მაღალი რისკის ფაქტორს. სასტუმროებისათვის ეს ფასი შემცირდება 45% -ით - შუალედური სცენარით განვითარების შემთხვევაში და თითქმის 70%-ით - პესიმისტური სცენარის შემთხვევაში. ამ ვითარებაში სავარაუდოა, რომ ეს მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ზოგადად ამ მიწების ფასებზე, თუ მათ არ გამოუჩნდათ გამოყენების ალტერნატიული და ეკონომიკურად მომგებიანი ფუნქცია.

კვლევაში დასახული ჰიპოთეზა, რომ ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება თავსებადია მიწების საბაზრო ფასებთან და არ საჭიროებს შეღავათიან რეგულირებებს, დასტურდება მხოლოდ ტურისტულად მიმზიდველი რეგიონების მიმართ, ისიც დარგის ოპტიმისტური განვითარების შემთხვევაში.

კვლევის პროცესში განისაზღვრა და შეფასდა სასტუმრო ინდუსტრიის პერსპექტიული განვითარების რამოდენიმე ძირითადი პარამეტრი. კერძოდ 2025 წლისათვის, დარგის ოპტიმისტური განვითარების შემთხვევაში ქვეყანაში აშენდება 480 ათასამდე სასტუმრო ოთახი, ჩაიდება \$4,4 მილიარდზე მეტი ინვესტიცია, ხოლო მიწაზე საინვესტიციო მოთხოვნები შეადგენს \$442 მილიონს.

მეთოდური თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ კვლევაში განსაზღვრული სტანდარტული მაჩვენებლები და მიღებული განზოგადოებები შიძლება ჩაითვალოს სანდო ორიენტირებად. ამ დასკვნას ამყარებს სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პროგნოზის ტესტირება ალტერნატიული მეთოდით, კერძოდ, ტურისტთა რაოდენობის საპროგნოზო მაჩვენებლების თავსებადობით სასტუმროების საპროგნოზო სიმძლავრეებთან. ასევე, კვლევაში გამოყენებული სტანდარტები ქმნიან მაჩვენებლების ერთიან სისტემას, რომლის ლოგიკურობა და სანდოობა ვლინდება ორი ალტერნატიული მეთოდის გამოყენებით ერთი და იგივე შედეგის მიღებაში. იგულისხმება სასტუმრო ინდუსტრიაში მიწის კომპონენტის ღირებულების განსაზღვრა, რაც დადგინდა ერთი მხრივ, საინვესტიციო

მოთხოვნებიდან გამომდინარე, ხოლო მეორე მხრივ, სასტუმროებისათვის მოთხოვნილი მიწების საბაზრო ფასების საფუძველზე. ეს თანხვედრა გამოვლინდა ინდუსტრიის ოპტიმისტური განვითარების სცენარში.

გამოყენებული წყაროები:

1. <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/146094-ra-jdeba-saqarthveloshi-sastumros-gakhsna-da-ra-fuli-ishovneba-ambusinesshi.html>.
2. <http://batumelebi.netgazeti.ge/adjara/13037/#sthash.GWxVAand.Q6Q7SZm5.dpbs>
3. <https://bnp.ge/biznesi/3209-goderdzis-samtho-kurortze-eqvi-sastumros-mshenebloba-oqtombramde-dasruldeba.html>
4. <http://www.civilology.com/floor-space-index/>
5. <http://www.colliers.com/-/media/files/emea/georgia/research/hotel-market-report-2015-eng.pdf?la=en-GE>
6. <http://forbes.ge/news/850/2014-wels-saqarTvelos-150-sastumro-Seemata>
7. <https://facilityplanning.wordpress.com/2011/04/16/hotel-design-and-space-allocation/> .
8. <http://www.fund.ge/geo/projects>
9. <http://gnta.ge/statistics/>
10. http://gov.ge/files/382_43978_219657_493130814.pdf;
11. <http://www.hospitalitynet.org/news/4019523.html>.
12. http://www.hotel-online.com/press_releases/release/hotel-development-cost-survey-2014-15
13. <https://www.hvs.com/article/7730-US-Hotel-Development-Cost-Survey-201516>.
14. <http://ick.ge/rubrics/economics/4998--15-.html>;
15. <http://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.7742243-41.7275885@Z=13>
16. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3292207>
17. <http://myhotels.ge/news/category/sastumroebi-tbilisshi/>
18. <http://place.ge/ge/ads/>
19. <http://scholarship.sha.cornell.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1293&context=articles>
20. <http://stats.gnta.ge/Default.aspx>
21. <http://tas.ge/?p=content&type=1&id=8305>
22. <http://tas.ge/?p=content&type=6&id=7127>.
23. http://www.tegova.org/data/bin/a56efb6247dff8_Valuation%20Parameters%20of%20Hotel%20Properties.TEGoVA-HypZert.2015.pdf;
24. <http://2030.news/?newsid=14186>

იოსებ ხელაშვილი

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი

წელი	სასტუმრო ოთახების რაოდენობა				მიწის ღირებულება			
	ფაქტიური	საპროგნოზო			მიწის კომპონენტის ღირებულება			მოთხოვნილი მიწების აგრეგ. ღირებულება
		ოპტიმისტ. სცენარით	შუალედური სცენარით	პესიმისტ. სცენარით	ოპტიმისტ. სცენარით	შუალედ. სცენარით	პესიმისტ. სცენარით	
2008	8,582							
2009	9,393							
2010	10,564							
2011	12,901							
2012	14,463							
2013	15,351							
2014	18,248							
2015	22,457							
2016	24,297	24,297	23,714	23,131	13,800	9,427	5,054	13,790
2017		27,866	23,714	23,131	26,769	20,876	14,984	26,750
2018		31,865	26,497	25,129	29,987	22,486	14,984	29,966
2019		36,437	29,496	27,127	34,290	24,637	14,984	34,266
2020		41,665	32,780	29,124	39,210	27,097	14,984	39,182
2021		47,643	40,381	31,122	44,836	29,910	14,984	44,804
2022		54,479	44,798	33,120	51,269	33,127	14,984	51,233
2023		62,295	49,706	35,118	58,626	36,805	14,984	58,584
2024		71,234	55,174	37,116	67,038	41,011	14,984	66,990
2025		81,455	61,283	39,114	76,656	45,820	14,984	76,602
სულ		479,234	400,223	41,111	442,482	291,195	139,908	442,168

THE COST OF LAND AND INVESTMENTS IN THE HOTEL INDUSTRY IN GEORGIA

Joseph Khelashvili

RESUME

Hotel industry development is viewed as an efficient way for stabilizing a country's macroeconomic condition. At the same time, there have been increasing efforts to utilizing small countries' land in an effective way. The aim of the paper is to estimate Georgia's land value in the midst of hotel industry development. The hypothesis of the research assumes that hotel industry development is aligned with land market value and does not require any favorable regulations. The study's estimation window is set up to 2025 and considers pessimistic and optimistic case scenarios for tourism development in Georgia. The methodology for the research encompasses land value estimation according to two factors: investment forecasts in the hotel industry („the demand side approach”); and the market prices for land that are suitable for hotel industry development („the supply side approach”). The research has revealed that the land price for hotel industry development is plausible only for the optimistic case. Such lands' prices are highly dependent on the opportunities and perspectives of hotel industry development, which inherently carry a considerable risk factor. Simultaneously, the study finds that the market prices for land do not require favorable regulations only under the optimistic case scenario.

უნივერსალური კომერციული ბანკების ინსტიტუციური პრობლემები

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გახშირებულმა მაკროეკონომიკურმა რყევებმა და ფინანსურმა შოკებმა სრულიად ახალი რეალობის წინაშე დააყენა საბანკო სისტემები. გაძლიერდა მოთხოვნა მათ რეგულირებასა და ზედამხედველობაზე. საბანკო სისტემის ტრანსნაციონალიზაციამ გაართულა ცენტრალური ბანკების მხრიდან მათი რეგულირება.

კომერციული ბანკები იზიდავენ ფულად სახსრებს დეპოზიტარებისგან, ასევე ბანკთაშორისი სესხებიდან, რაც შეადგენს მათ პირველად რესურსებს. ამასთან, აქციების გამოშვების გზით ყიდიან წილს ინვესტორებზე ან იღებენ სესხებს და ამით ზრდიან კაპიტალს. ბანკების საქმიანობა არატრადიციულია, როცა ისინი შედიან სადაზღვევო ბაზარზე ან სააქციო ფონდებზე საქმიანობენ. სადაზღვევო საქმიანობა თავისი ხასიათით ახლოს დგას ბანკების საქმიანობასთან. ორივე სფერო არის რეგულირებადი და დაკავშირებულია საფინანსო რისკებთან.

ტერმინოლოგიური სიცხადისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ლიტერატურაში ბანკების სახეების შესახებ განსხვავებული ასოციაციები არსებობს. უნივერსალური ბანკები მოიცავს როგორც კომერციულ ბანკებს, ასევე საინვესტიციო ბანკებს. იგი აერთიანებს ფინანსურ მომსახურებასაც, როგორცაა დაზღვევა. კომერციული ბანკების ქვეშ კი იგულისხმება მხოლოდ ის ბანკები, რომლებიც იღებენ დეპოზიტებს და სესხად გასცემენ მას.

ამერიკულ ლიტერატურაში კომერციული ბანკის ცნებას იყენებენ იმისათვის, რომ განასხვავონ საინვესტიციო ბანკისგან. კომერციული ბანკების ქვეშ ხშირად მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსაც მოიაზრებენ, ხოლო ევროპულ ლიტერატურაში კი ისინი გამიჯნულნი არიან.

სპეციალიზირებული ბანკები დარგობრივი ნიშნით განისაზღვრება და ზოგჯერ კლასიკურ ბანკებთან არის გაიგივებული, თუმცა მის ქვეშ, უნივერსალური ბანკებისაგან განსხვავებით, ასევე მოიაზრება ისეთი ბანკები, რომლებიც ფინანსური მომსახურების სრულ სერვისს არ სთავაზობს მომხმარებელს. „კლასიკური ბანკის“ ტერმინოლოგია იშვიათად იხმარება და იგი გაიგივებულია ან კომერციულ ბანკებთან ან საინვესტიციო ბანკებთან.

ამასთან, უნივერსალური ბანკი არ ნიშნავს მსხვილ ბანკს. ბანკი შეიძლება იყოს მსხვილი, მაგრამ არა აუცილებლად უნივერსალური. სპეციალიზირებულ, საინვესტიციო ბანკებს შეიძლება ჰქონდეს კომერციული ბანკებზე, დეპოზიტების მიღების უფლება. ეს მათთვის მნიშვნელოვანია, რამდენადაც მოსახლეობა დააინტერესონ გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებებით. ასეთი ბანკებისათვის კაპიტალდაბანდებების განხორციელება არის დომინანტური ფუნქცია. ხოლო კომერციული ბანკები კი, ვთქვათ აშშ-ში, რასაც



თემის (Community) ბანკებს უწოდებენ, ძირითადად გასცემენ მოკლევადიან სესხებს და აქვთ კარგი საგადასახდელი მომსახურების პირობები, მაგალითად ფერმერებისათვის.

2007-08 წლების გლობალურმა საფინანსო კრიზისმა გამოავლინა ის გარემოება, რომ მანამდე არსებულმა რეგულირებამ ბანკები ვერ დაიცვა ფასიან ქალაქებზე ფასების დაცემისაგან და გაურკვევლობისგან, რომელსაც „საკრედიტო ბუშტის“ კოლაფსი მოჰყვა. ამ კრიზისმა გამოავლინა აგრეთვე ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ მსხვილი ბანკები სრულიადაც არ ნიშნავს უსაფრთხო ბანკებს. ეს კრიზისი სწორედ აშშ-ს და ევროპის განვითარებული ქვეყნების მსხვილ ბანკებს და უმსხვილეს კომპანიებს შეეხო, ამიტომ კვლავ დადგა საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს კომერციული ბანკები.

საკითხი, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში საკამათო გახდა, არის ბანკების საქმიანობის არეალის გასაზღვრა. საქართველოში კომერციული ბანკები ახდენენ კაპიტალის ინვესტირებას სადაზღვევო და ფასიანი ქალაქებით მოვაჭრე კომპანიებში. ისინი უნივერსალური ბანკების პრინციპით მოქმედებენ.

2008-2009 წლებში, საქართველოში ფინანსური კრიზისის შერბილების მიზნით, განხორციელდა ბანკების ლიბერალიზაცია, რაც დაკავშირებული იყო ეკონომიკის სექტორების - მშენებლობის, ვაჭრობის, მრეწველობის და სხვ. - კრიზისულ მოვლენებთან. გაიზარდა ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობა, რომელმაც შექმნა ლიკვიდობის დიდი რისკები. ბანკებს მიეცათ არასაბანკო პროფილის ინვესტიციების განხორციელების უფლება. მათ, ძირითადად, „თი ბი სი ბანკმა“ და „საქართველოს ბანკმა“, დააბანდეს აქტივები უძრავი ქონებაში, დეველოპერულ კომპანიებში, მარკეტინგულ სანარმოებში, სამედიცინო სფეროში, სადაზღვევო სექტორში და სხვა. თუმცა მათ მიერ დაკავებული ბაზრის სეგმენტი ძალიან მცირე იყო და 0.8 პროცენტს შეადგენდა საბანკო სექტორთან შედარებით.

შემდგომ პერიოდში აღარ არსებობდა ამ რეგულირების შენარჩუნების აუცილებლობა, რადგან

აღნიშნული სექტორები გაჯანსაღდნენ და ჯერ 2010 წელს და შემდეგ კი 2014 წელს ეროვნულმა ბანკმა დასვა საკითხი შეზღუდავით კომერციული ბანკების არატრადიციული საქმიანობა, ორი არგუმენტით: ა/. ინტერესთა კონფლიქტის არსებობით ძირითადად დეველოპერულ საქმიანობაში; ბ/. კონკურენტული გარემოს გასაუმჯობესებლად, რადგან ბანკებს შეეძლოთ ბაზრის სეგმენტებზე მონოპოლიის დამყარება, დომინანტური მდგომარეობის მოპოვება და არასაბანკო სფეროში კონკურენტული კომპანიებისათვის ხელის შეშლა.

უნდა აღინიშნოს, რომ იყო განსხვავებული მოსაზრება, რომლის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია და სამომავლოდ, არც მონოპოლიების ჩამოყალიბების საფრთხე ემუქრებოდა ბაზარს. იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ეროვნული ბანკის ეს პოზიტიური გადაწყვეტილება იყო იმდენად, რამდენადაც იგი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას გამოიწვევდა და გაზრდიდა ბანკების რეპუტაციას.¹

ექსპერტების აზრით, სწრაფი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი საბანკო სექტორში არსებული პრობლემებია, როდესაც ბანკები პირდაპირ თუ ირიბად ჩართულნი არიან სხვადასხვა ბიზნესებში. ეს კი, ხელს უშლის ბიზნესის, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. კლავს კონკურენციას. მართალია 2014-15 წლებში, ეროვნულმა ბანკმა გამოსცა შესაბამისი ინსტრუქცია, მაგრამ დატოვა მთელი რიგი ხვრელები, რამაც საბანკო სექტორს საშუალება მისცა რეალურად შეენარჩუნებინა არაპროფილური ბიზნესი. ეროვნული ბანკის ამ ინსტრუქციას ბანკებმა ადვილად აუარეს გვერდი, როდესაც ფორმალურად, თითქოსდა გამიჯნეს ეს საქმიანობა, მაგრამ რეალურად შვილობილი ორგანიზაციების მეშვეობით შეინარჩუნეს მათზე კონტროლი.²

ეროვნული ბანკის განცხადებით, რისკიანად ფასდებოდა ბანკების არატრადიციული საქმიანობა საშუალოვადიან პერსპექტივაში. შესაბამისად, გამკაცრდა ახალი ნებართვების გაცემა არატრადიციული საქმიანობის წამოწყებაზე. კომერციულ ბანკებს მიეცათ ვადა გამოსულიყვნენ არასაფინანსო სფეროდან.³ ეროვნული ბანკის ამ რეგულაციებით ხელი შეეწყო კონკურენციას, მონოპოლიზმის პრევენციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ზომის ბანკების არსებობისათვის. შეზღუდვის შემოღებით შეიქმნება მკაფიო ბარიერი, რათა შენაბრეთა

1 ნათია კეკელიძე, სეპ-ის მიერ, ბანკებისთვის არატრადიციული საქმიანობის აკრძალვა საბანკო სექტორზე უარყოფითად არ აისახება – ზურაბ გვასალია (ინტერვიუ ზურაბ გვასალიასთან), The Tbilisi Times, 05.11.14, <http://www.ttimes.ge/archives/28257>

2 ნიკლაური ე, ამერიკაში ბანკების რიგით თანამშრომლებსაც კი შეზღუდული აქვთ სხვა ბიზნესში რაიმე ფორმით მონაწილეობა, (ინტერვიუ თემურ ბასილიასთან). Ge Comersant, 2017, 23 იანვარი http://www.commersant.ge/?m=5&news_id=46997&cat_id=8

3 საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადება, 31.10.2014. www.nbg.gov.ge

თანხები არ იყოს მიმართული ისეთი სეგმენტებისკენ, რომლებიც ტრადიციული საბანკო საქმიანობა არ არის. ამასთან, ბანკის აქციონერებს არ ეკრძალებათ ინვესტიციის სხვა ინდუსტრიებში განხორციელება.

რამდენადაც ეკონომიკის განვითარება ციკლურ ხასიათს ატარებს, ამიტომ იზადება კითხვა, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ამ საქმიანობის განხორციელება და თუ კრიზისები, რეცესია და სტაგნაცია კვლავ შექმნის ეკონომიკის დარგების განვითარების საფრთხეებს და კომერციულ ბანკებს გაეზრდებათ ვადაგადაცილებული სესხები, მაშინ იქნება თუ არა მიზანშეწონილი კვლავ განმეორდეს რეგულირების ეს მიდგომა? სადაზღვევო, სალიზინგო და საბროკერო კომპანიები შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ბანკების საქმიანობის პროფილად? აკრძალვა ამ სფეროებს არ შეეხება, რადგან ისინი არაპროფილურ აქტივებად არ ჩაითვალნენ. საერთაშორისო გამოცდილებით, ამ საკითხისადმი ყველა ქვეყანაში განსხვავებული მიდგომებია.

ევროპულ ქვეყნებში გავრცელებულია უნივერსალური ბანკების მოდელი, თუმცა ინვესტირების განსხვავებული შეზღუდვებით. აშშ-ში აკრძალული იყო საინვესტიციო ბანკებისა და კომერციული ბანკების შერწყმა და მათი ერთი ბანკის სახით საქმიანობა. ბანკების დაყოფა უკავშირდებოდა 30-იანი წლებში „დიდ დეპრესიას“. ამ პერიოდში პოლიტიკურად შეფასდა საფონდო ბირჟების მსხვრევა და 1933 წლიდან გადაწყდა ბანკების დაყოფა კომერციულ და საინვესტიციო ბანკებად, რადგან უნივერსალური ბანკები მიჩნეული იქნა არასტაბილურად.⁴ შემდგომ ეტაპობრივად განხორციელდა ბანკების ლიბერალიზაცია, 1999 წლიდან მიეცათ მათ შეერთების უფლება და ერთ ბანკად ჩამოყალიბება, რომელიც გააერთიანებდა კომერციულ ბანკს, სადაზღვევო კომპანიებს, საბროკეროებს და საინვესტიციო ბანკს სხვადასხვა კომბინაციით.⁵ ამით ჩამოყალიბდა მომხმარებლებისათვის „ერთი სარკმლის პრინციპის“ მოდელი. თუმცა 2007-09 წლების კრიზისმა ამერიკაში კვლავ წარმოშვა ბანკების გამიჯვნის შესახებ დისკუსიები. ბანკების დამოუკიდებელ კომპანიებად გამიჯვნის ან კიდევ ერთ ჰოლდინგში გაერთიანების საკითხი დადგა ევროპაშიც.

მკვლევარები აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ევროპული მოდელის წინააღმდეგ არგუმენტები ემყარება იმ გარემოებას, რომ მათი კონკურენტუნარიანობა აშშ-ს და აზიის ბანკებთან არის დაბალი, თუმცა აღიარებენ, რომ უნივერსალურ ბანკებს აქვთ უპირატესობები საინვესტიციო ბანკებთან შედარებით.⁶ კერძოდ, იგი მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების ფართო ასორტიმენტს და „ერთი სარკმლის პრინციპს“, რომლისთვისაც დამახასიათებელია დაბალი ტრანსაქცი-

4 The Glass -Steagall Act Of 1933.

5 The Gramm-Leach-Bliley Act (GLBA) of 1999.

6 Mike Adu-Gyamfi, (2016), Commercial and Investment Banking: Analysis of Separation or Unification, Journal of Insurance and Financial Management, Vol. 1, Issue 3 გვ. 25-34. [https://poseidon01.ssrn.com/..](https://poseidon01.ssrn.com/)



ული ხარჯი, უზრუნველყოფს მომხმარებლის მომსახურებას უფრო დაბალი დანახარჯებით, რამდენადაც მასშტაბის ეკონომიის საშუალება აქვთ. მათ ასევე ახასიათებთ ფინანსური სტაბილურობა, რამდენადაც შეუძლიათ ოპერაციების დივერსიფიკაცია. თუმცა ასეთ ბანკებს ახასიათებს ისიც, რომ მომხმარებელზე ორიენტაციის გამო უზრუნველყოფენ ნეგატიური დამოკიდებულება და უნარი უზრუნველყონ ეფექტიანი ფინანსური გადაწყვეტილება. ამიტომ, მიუხედავად მასშტაბის ეკონომიისა, მათი დანახარჯები მომხმარებლების მომსახურებაზე არის მაღალი. რაც უფრო მჭიდროა კავშირი კლიენტსა და ბანკს შორის, მით უფრო უკეთესია ბანკების შეფასება კლიენტების რისკის შესახებ. ამასთან, უნივერსალური ბანკებისადმი კლიენტების ნდობა მაღალია და ბაზრებს არ უძნელდებათ მათთვის დივერსიფიცირებული პროდუქტების მიყიდვა.

აქტივებზე უკუგების თვალსაზრისით, უნივერსალურ ბანკებს მსოფლიოში აქვთ უფრო მეტი შემოსავალი აქტივებზე (ROE), ვიდრე საინვესტიციო ან კომერციულ-მიკროსაფინანსო ბანკებს.¹ კრიზისის და აღმავლობის წლებში ყველა ბანკის საშუალო შემოსავალი ერთნაირი დინამიკით ხასიათდება, მაგრამ რეცესიის და კრიზისი შემდგომ წლებში უნივერსალური ბანკების მართვა უფრო ეფექტიანია. ამასთან, უნივერსალური ბანკების შემოსავლები ნაკლებად მცირდება ეკონომიკის რყევების დროს, იგი უფრო სტაბილურია საინვესტიციო ბანკებთან შედარებით. ეს კი ნიშნავს, რომ უნივერსალურ ბანკებს შეუძლიათ უფრო მეტად დააბალანსოს ბიზნეს ციკლები და ფინანსური ბაზრები, ვიდრე სპეციალიზირებულ ბანკებს. ეს კი მათი მომგებიანობის ზრდის აუცილებელი პირობაა.

უნივერსალური ბანკების სუსტი მხარეები იმაში ვლინდება, რომ მრავალმხრივი და დივერსიფიცირებული პროდუქტების გაყიდვა ექვემდებარება გან-

სხვავებულ მარეგულირებელ ნორმებს. ეს კი ქმნის პრობლემებს, განსაკუთრებით საბანკო მართვაში. საინვესტიციო საქმიანობაში ბანკის მენეჯერები ფოკუსირებულნი არიან პროდუქტებზე და რისკზე, ხოლო კომერციული ბანკები კი - მომხმარებლებთან ხანგრძლივადიან ურთიერთობებზე.

გარდა ამისა, უნივერსალური ბანკები ძირითადად მსხვილი ბანკები არიან და მათი ჩავარდნის შემთხვევაში ნეგატიური ეფექტი მთელ საბანკო სისტემაზე იქნება ძალიან დიდი, რაც განსაკუთრებით ბაზრის კლიენტების ნდობაზე აისახება.

მსხვილ უნივერსალურ ბანკებს შეუძლიათ ადვილად შეიძინონ ბაზრის მონოპოლიური ძალაუფლება, რაც მტკივნეულად აისახება სხვა ბანკებზე და მთელ ეკონომიკაზე. ამასთან კომერციული და საინვესტიციო ბანკების შერწყმა ქმნის ინტერესთა კონფლიქტს. ბანკი შეიძლება უფრო მეტად დომინირებული იყოს ინვესტირებაზე ან საგადასამხდლო საქმიანობაზე. ყველა ფუნქციის შეთავსებით რომელიმე ფუნქცია ხდება მეორეხარისხოვანი.

ბოლო წლებში, როგორც ევროპაში, ასევე აშშ-ში, ეკონომიკის დრამატულმა განვითარებამ (დაბალმა ზრდის ტემპებმა, ბანკების რეგულირების „დამძიმებამ“, საფინანსო რისკების არსებობამ) დააყენა საკითხი უნივერსალური ბანკების მიზანშეწონილობის შესახებ. არგუმენტად გამოიყენება ის, რომ სპეციალიზირებული ბანკების მიერ მომსახურება გაცილებით უფრო დაბალდანახარჯიანია.² ამასთან განსხვავებული საქმიანობების დაუბალანსებლობით, საფინანსო სისტემა ხდება მყიფე, ამიტომ ფინანსური ინსტიტუტების რესტრუქტურირაცია და მენეჯმენტის ცვლილებები არის აუცილებელი.

დღეს უნივერსალური ბანკების საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დაისვა ევროპაში და აღინიშნა, რომ ეს მოდელი არის ეკონომიკის, ფინანსური და სოციალური

1 Jan Schilbach (2012), Universal banks: Optimal for clients and financial stability, Global Financial, November 20. [http://www.dbresearch.in/PROD/..](http://www.dbresearch.in/PROD/)

2 Reed J., (2015), We were wrong about universal banking, Fincial Times, 11 November, 2015, <https://www.ft.com/content/255fafee-8872-11e5-90de-f44762bf9896>

სტაბილურობის საფრთხე.¹ მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ცენტრალური ბანკი ცდილობს კრედიტების წახალისებას, იგი ნაკლებად წარმატებულია. საქმე ისაა, რომ დღეს არსებობს ორი გამოწვევა: უზრუნველყონ ეკონომიკა საბანკო კაპიტალით და განავითარონ კაპიტალის ბაზარი. ეს ორი მიზანი ურთიერთშეუსაბამოა, როდესაც ქვეყანაში მხოლოდ უნივერსალური საბანკო მოდელი არსებობს. როდესაც ბანკი ცდილობს საინვესტიციო საბანკო საქმიანობის განვითარებას, მაშინ მას სჭირდება ჰქონდეს ანგარიშზე მსხვილი კაპიტალი, რომელსაც წარმართავს სარისკო ქმედებებისაკენ. მაგრამ, თუ არ აქვს სურვილი გაზარდოს კაპიტალი, რომელიც მის ზღვრულ შემოსავალს შეამცირებს, მაშინ მისი კომერციული საკრედიტო საქმიანობა იზღუდება. ბანკი დგას არჩევანის წინაშე: ან საკრედიტო რისკი ან საინვესტიციო რისკი, ან კაპიტალის ბაზარი ან კომერციული საქმიანობა. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით ვლინდება, როდესაც ბანკის დეპოზიტარი ასევე მისი მსესხებელია.

დღეს საქართველოში საფონდი ბირჟა განუვითარებელია და ბანკების საქმიანობა ძირითადად კომერციული ხასიათისაა, ამიტომ საქართველოს იმ ბანკებისთვის, რომლებიც უნივერსალურ საქმიანობას ეწევა (ასეთი ბანკი კი მხოლოდ რამდენიმეა და ისინი მსხვილ ბანკების რიცხვს მიკუთვნება), ეს წინააღმდეგობა არ არის არსებითი. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს მიღებული იქნა საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია,² ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად არ შეცვლის კომერციული ბანკების ალტერნატივებს.

უნივერსალური ბანკების მომავალის საკითხი საქართველოში არ დგას. იგი ერთმნიშვნელოვნად არის აღიარებული, მართალია ევროპის ქვეყნებში მას ინტენსიურად განიხილავენ და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ მათ მიერ განხორციელებულ არატრადიციულ საქმიანობებს, მაგრამ საქართველოში ეს საკითხი არ ქმნის ისეთ წინააღმდეგობებს, რომელიც ნეგატიურად იმოქმედებს ეკონომიკის სტაბილურობაზე

ევროპაში უნივერსალური ბანკების საქმიანობა მრავალ კრიტიკას იმსახურებს და მის მომავალს საეჭვო მიიჩნევენ, რამდენადაც ერთ-ერთი არგუმენტით, მათი პერფორმანსი, კერძოდ, ოპერაციები და აქტივებზე უკუგება არის გაუარესებული.³ ეს საკითხი კრიტიკულად არის დასმული აშშ-იც.

აშშ-ში გამოვლინდა, რომ გრძელვადიან პერიოდში (2002-2012 წლებში), როდესაც კომერციული ბანკები ახდენდნენ ექსპანსიას არატრადიციულ საქმიანობებში, უმცირდებოდათ შემოსავლები და სარგებელი დივერსიფიკაციიდან. მათი რისკები კი იზდებოდა. ის ბანკები, კი რომლებსაც აღწევდნენ დივერსიფიკაციის მაღალ დონეს ტრადიციულ და არატრადიციულ საქმიანობებში, პირიქით, მნიშვნელოვნად მცირდებოდა მათი რისკები, რომელიც განსხვავებული იყო კონკრეტული საქმიანობების მიხედვით. ეს კი მიუთითებდა იმაზე, რომ, შედეგები დამოკიდებულია საბანკო საქმიანობების ოპტიმალური ნაზავთან.⁴ შესაბამისად არგუმენტი იმისა, რომ უნივერსალურ ბანკების საქმიანობები ქმნის დივერსიფიკაციის შესაძლებლობას, რაც ამცირებს რისკის ზომას, მხოლოდ განსაზღვრული პირობით არის შესაძლებელი. ამავე პირობით, ბანკების მიერ სადაზღვევო და სხვ. საქმიანობების წარმოება არის დასაშვები.

ბანკების საქმიანობის დივერსიფიკაციის, მომგებიანობის და რისკების შესახებ სხვადასხვა ლიტერატურის გაცნობა მეტყველებს კვლევების სრულად განსხვავებულ შედეგებზე.

დივერსიფიცირება არ ნიშნავს დაბალ რისკს მაშინ, როდესაც ბანკების მიერ არატრადიციულ სფეროებში საქმიანობა დაკავშირებულია ამ სფეროში მათი საქმიანობის დაბალ სპეციალიზაციასთან და არასაკმარის ექსპერტიზასთან. ასეთ შემთხვევაში იზრდება ბანკების რისკები და შემოსავლიანობაც მცირდება. არსებობს სხვა კვლევები, რომლებიც ადასტურებენ, რომ არატრადიციული საქმიანობის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ბანკების სარგებელი.⁵ რამდენადაც ბანკების „ჩავარდნა“ ფინანსური კრიზისი დროს შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო მათ მიერ არატრადიციული საქმიანობით, ბანკების დერეგულაცია არ შეიძლება მივიჩნიოთ საკმარისი პირობად იმისათვის, რომ ბანკები აღმოჩენილიყვნენ კრიზისში.⁶ სხვა კვლევები ადასტურებენ, რომ არატრადიციული საქმიანობები ვერ ზემოქმედებენ ბანკების არაეფექტიანობაზე, ხოლო საბანკო საქმიანობის შეზღუდვები კი ქმნიან ბანკების დანახარჯი-სარგებლიანობის

1 Goldschmidt P., (2016), High Time for Europe to Shed its „Universal Banking Model“, The Globalist. Rethinking Globalization, August 3, 2016, <https://www.theglobalist.com/europe-to-shed-universal-banking-model/>

2 კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია. ანგარიში, 2016 წლის აპრილი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი.

http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/kapitalis_bazris_ganvitarebis_strategia.pdf

3 Damian Chunilal, (2016), Why Universal Banks Are Failing, Bloomberg View, January, 27. <https://origin-www.bloombergvew.com/articles/2016-01-27/why-universal-banks-are-failing>

4 Michael Breia, Xi Yanga (2015), The universal bank model: Synergy or vulnerability? Preliminary Version, January, 2015, <https://gdrenice2015.sciencesconf.org/57696/document>

5 DeYoung, R., Rice, T. (2004), How do banks make money? The fallacies of fee income, Economic Perspectives. <https://chicagofed.org/.../economic-perspectives/2004/ep-4qtr2004-part3-deyoung-ric...> file:///C:/Users/User/Downloads/ep-4qtr2004-part3-deyoung-ric-...pdf.pdf;

6 DeYoung, R., Torna, G.(2013), Nontraditional banking activities and bank failures during the financial crisis, Journal of Financial Intermediation, Volume 22, Issue 3, July 2013, გვ. 397–421. <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1042957313000028>

ზრდის პირობებს;¹ ზოგიერთ კვლევაში კი აღნიშნულია, რომ არასაბანკო, არატრადიციული საქმიანობა ამცირებს მათ საერთო რისკს, მაგრამ ზრდის ბაზრის სისტემურ რისკებს, რაც ანეიტრალებს დივერსიფიკაციის სარგებელს. დივერსიფიკაციით მიღებული სარგებელი არ არის საკმარისად დიდი იმისათვის, რომ გაფართოვდეს ბანკის საბაზრო ძალაუფლება არატრადიციულ სფეროებში, ფასიანი ქაღალდების და სადაზღვევო საქმიანობებში.² არატრადიციულ სფეროებში ბანკების უკუგება აქტივებზე არ არის მაღალი, მაგრამ საკმარის რისკიანია არასტაბილურობისა და ბაზრების „ჩავარდნის“ დროს, ამიტომ ასეთ საქმიანობებმა ვერ გააუმჯობესა აშშ-ში 1997-2004 წლებში უკუგება.³ გარემოება, თითქოს სარგებელი დივერსიფიკაციიდან იყოს უფრო მეტი, ვიდრე ის დანახარჯი, რომელიც გამოწვეულია რყევებით, არის ამ საკითხის მხოლოდ „შავი“ მხარე, რამდენადაც აშშ-ს ჰოლდინგური კომპანიების კვლევებით დასტურდება, რომ არასაპროცენტო შემოსავლები მიიღება მაღალი არასტაბილურობის პირობებში და იგი არავითარ შემთხვევაში არ არის იმაზე მეტი, ვიდრე საპროცენტო შემოსავლებია, ამიტომ დივერსიფიცირება არ უნდა იყოს დაკავშირებული ბანკების უკეთეს მოღვაწეობასთან, ხოლო არასაპროცენტო შემოსავლები კი - დაბალი რისკით მიღებულ მოგებასთან.⁴

ეს შეხედულებები, ერთის მხრივ, მართალია ავლენენ ბანკების არატრადიციული საქმიანობიდან მიღებული უკუგების უარყოფით სარგებელს, მაგრამ ცალსახად ვერ უარყოფენ დივერსიფიკაციის პოზიტიურ მნიშვნელობას, მეორეს მხრივ კი, აღიარებენ, რომ გარკვეულ პირობებში არატრადიციული საქმიანობის სარგებელი და დანახარჯი და განეული რისკები სწორედ ამ სფეროების ციკლური ხასიათიდან გამომდინარეობს და გარკვეულ პერიოდებში საქმიანობის დივერსიფიცირება ზრდის ბანკების ძალაუფლებას. თუმცა პრობლემაა თუ რამდენად უნდა იყოს მოქნილი ბანკი იმისათვის, რომ თავი დაიზღვიოს მოსალოდნელი რისკებისაგან ან როგორ უნდა ხდებოდეს უნივერსალური ბანკების რეგულირება. ბანკების

ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი არ იძლევა პირდაპირ პასუხს არატრადიციულ საქმიანობაზე განეული აქტივების მართვის მიზნაშენიანობის შესახებ. ეს სფერო ცალკე რეგულირდება.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, კომერციული ბანკების არატრადიციულ სექტორში განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებით, განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს და ამ საკითხს სხვადასხვანაირად განიხილავენ. ყველა ქვეყანას ინდივიდუალური და დამოუკიდებელი რეგულაციები გააჩნია. უნივერსალურ ბანკებს შორის არსებობს სხვაობა, რამდენადაც მათი სხვადასხვა ოპერაციული საქმიანობა ხშირად შეზღუდულია. ზოგიერთ ქვეყანაში მკაცრია არატრადიციული საქმიანობის რეგულირება, თუმცა მაინც ნებადართულია.

კომერციული ბანკებისათვის ქვეყნების უმრავლესობაში შეუზღუდავია ფასიანი ქაღალდების ფლობა და სადაზღვევო საქმიანობის წარმოება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სფეროებში საქმიანობის განხორციელება კომერციულ ბანკებს სრული სპექტრით შეუძლიათ. რაც შეეხება სხვა სფეროს, განსაკუთრებით კი ეკონომიკის დარგებს, კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ მათი განხორციელება.

1996-2012 წლებში მსოფლიო ბანკმა განახორციელა სისტემატური სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანი იყო გამოვლინა ზედამხედველობა და შეეფასებინა ისინი.⁵ ამ პერიოდში შეიცვალა დამოკიდებულება არატრადიციული საქმიანობების მიმართ. მნიშვნელოვნად შეიზღუდა არასაფინანსო კომპანიების მიერ ბანკების ფლობა და ასევე, ქვეყნების უმრავლესობაში აიკრძალა ბანკების მიერ არასაფინანსო ორგანიზაციების ფლობა. უძრავი ქონებისადმი დამოკიდებულება თითქმის იგივე დარჩა, ხოლო გაფართოვდა რეგულირება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში და სადაზღვევო საქმიანობაში.

ამ კვლევის თანახმად, არასაფინანსო კომპანიების მიერ ბანკების ფლობა 124 ქვეყნიდან შეუზღუდავად ნებადართულია 16 ქვეყანაში, ხოლო 107 ქვეყანაში კი შეზღუდულია ან სჭირდება ნებართვა. მსოფლიოში მნიშვნელოვნად შეიზღუდა არასაფინანსო ორგანიზაციების მიერ ბანკების ფლობა.

ბანკების მიერ არასაფინანსო ორგანიზაციების ფლობაც შეიზღუდა. თუ ადრე 106 ქვეყანაში ნებადართული ან შეზღუდული იყო მისი ფლობა, 2012 წელს მხოლოდ 71 ქვეყანა დარჩა და აიკრძალა დამატებით 30 ქვეყანაში.

უძრავი ქონების სექტორი საკმაოდ საკამათო გახდა, რადგან მისი ფლობა აკრძალულია 48 ქვეყანაში, ხოლო ნებადართულია 37 ქვეყანაში. დანარჩენი ქვეყნები არეგულირებენ მას. წლების განმავლობაში იგი უმნიშვნელოდ შეიცვალა.

დაზღვევაში საქმიანობა შეუზღუდავია მხოლოდ

5 James R. Barth, Gerard Caprio, Jr., Ross, Levine., (2013), Bank Regulation and Supervision in 180 Countries from 1999 to 2011. გვ. 37. http://faculty.haas.berkeley.edu/ross_levine/papers/Bank_Regulation_and_Supervision_Around_the_World_15JAN2013.pdf;

1 Ana Lozano-Vivas , Fotios Pasiouras, (2008), The impact of non-traditional activities on the estimation of bank efficiency: international evidence, University of Bath School of Management, Working Paper, Series, 2008.01 <http://www.bath.ac.uk/management/research/pdf/2008-01.pdf>

2 Allen, L., Jagtiani, J. (2000), The risk effects of combining banking, securities and insurance activities, Journal of Economics and Business, 52(6): 485-497, November, 2000. https://www.researchgate.net/publication/222676258_The_Risk_Effects_of_Combining_Banking_Securities_and_Insurance_Activities; file:///C:/Users/User/Downloads/5143.pdf

3 Stiroh, K.J., (2006), A portfolio view of banking with interest and non-interest assets, Journal of money credit and banking, 38(5):1351-1361, August 2006.

4 Stiroh, K.J., Rumble, A. (2006), The dark side of diversification: The case of US financial holding companies, Journal of Banking and Finance, Volume 30, Issue 8, August 2006, Pages 2131-2161. <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0378426605001342>

7 ქვეყანაში, ხოლო ქვეყნების უმრავლესობაში იგი რეგულირდება. თუ 1999 წელს ნებადართული ან შეზღუდული იყო ამ სფეროში ბანკების საქმიანობა და მათი რაოდენობა ერთობლივად შეადგენდა 76 ქვეყანას, 2012 წელს მათმა რაოდენობამ შეადგინა 98.

ფასიანი ქალაქებით ვაჭრობის სფეროში საქმიანობა შეუზღუდავი გახდა 62 ქვეყანაში და აკრძალულია მხოლოდ 9 ქვეყანაში. დანარჩენ ქვეყანაში ძირითადად იგი ნებადართულია.

ქვეყნების უმეტესობაში კომერციული ბანკებისთვის ფასიანი ქალაქების ფლობა შეუზღუდავია, სადაზღვევო საქმის წარმოება ნებადართულია, ხოლო ყველაზე მეტად აკრძალულია კი უძრავი ქონებაში საქმის წარმოება.

ქვეყნებში საბანკო საქმიანობის რეგულაციები გამომდინარეობს ამ ქვეყნის პრობლემებიდან და ინსტიტუციური განვითარების თავისებურებებიდან. მაგრამ ყველა ისინი ერთ პრინციპს უნდა ემსახურებოდნენ - ხელი შეუწყონ კონკურენციას და ეკონომიკის დარგების განვითარებას.

საქართველოში კომერციული ბანკების არატრადიციული საქმიანობა დღეისათვის საგანგაშო ნიშნულს არაა მიღწეული. მათ პორტფელში ძალიან მცირე წილი უკავია ასეთ საქმიანობებს, ამიტომ მნიშვნელოვან ზემოქმედებას რისკების შემცირებაზე ვერ მოახდენს, თუმცა ეკონომიკის ზომიერი და სტაბილურობის პირობებში იგი შექმნის მათი საბაზრო ძალაუფლების ზრდის შესაძლებლობებს, ხოლო ეკონომიკის დაცემის და სტაგნაციის დროს კი მისი უარყოფითი ეფექტი საკმაოდ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, რაც გაანეიტრალებს იმ სარგებელს, რომელსაც ბანკები ღებულობენ არატრადიციული საქმიანობებიდან. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს გარემოებები არასაკმარისია იმისათვის, რომ აკრძალოს ბანკებს არატრადიციულ სფეროებში მოღვაწეობა და ჰოლდინგურ კომპანიებში გაერთიანება. საკუთრივ ეს პრობლემა რეგულირებადი უნდა იყოს და არ უნდა ექვემდებარებოდეს უნივერსალური ბანკების ფორმატის შეცვლას. დღეს ეს საკითხი არ არის აქტუალური თუ მხედველობაში მივიღებთ კომერციული ბანკების შემოსავლების სტრუქტურას,

საქართველოს კომერციულ ბანკებში არასაპროცენტო შემოსავლების წილი სულ აქტივებზე 0.2 პროცენ-

ტიდან 4 პროცენტამდეა, ხოლო სულ შემოსავლებში კი 1-დან 35 პროცენტამდე მერყეობს.

ბანკების ჯგუფების მიხედვით, მსხვილ ბანკებზე მოდის არასაპროცენტო შემოსავლების 4.4 პროცენტი სულ აქტივებში, ხოლო შემოსავლებში კი - 44.2 პროცენტი, ხოლო სხვა დანარჩენ ბანკებზე კი - შესაბამისად 1.3 პროცენტი და 12.1 პროცენტი. შედარებისათვის, აშშ-ში არასაპროცენტო შემოსავლების წილმა სულ შემოსავლებში ამ საუკუნის დასაწყისში 40 პროცენტს გადააჭარბა.¹ მას ჰქონდა ზრდადი დინამიკის სახე 2007 წლამდე, ხოლო შემდეგ კი შემცირდა და 2014 წელს შეადგინა 35.7 პროცენტი. 2015 წელს კვიპროსში და საბერძნეთში არასაპროცენტო შემოსავლები 80 პროცენტზე მეტი იყო, მაშინ როდესაც საფრანგეთში, ლუქსემბურგში და ფინეთში 40 პროცენტზე მეტი იყო, გერმანიაში, ლატვიასა და პორტუგალიაში - 50 პროცენტზე მეტი იყო, ხოლო ესტონეთში, ესპანეთში, ავსტრიაში, ბელგიასა და ჰოლანდიაში იგი 70 პროცენტზე მეტს შეადგენდა.²

საქართველოში მსხვილი ბანკების შემოსავლების სტრუქტურაში არასაპროცენტო შემოსავლებს უკავია საკმაოდ დიდი როლი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი არიან ყველაზე მეტად არატრადიციული საქმიანობით დაინტერესებულნი, ხოლო სხვა ბანკების საქმიანობაში მათი წილი დაბალია. მიუხედავად ამისა, სულ მთლიანად საქართველოს საბანკო სისტემაში არატრადიციული საქმიანობიდან შემოსავლების წილი აქტივების მხოლოდ 1.6 პროცენტია, ხოლო სულ შემოსავლებში კი - მხოლოდ 15 პროცენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკები საქმიანობა ძირითადად ტრადიციული ხასიათისაა, არ არის ღრმად დივერსიფიცირებული და ეკონომიკისათვის სესხების გაცემა დომინირებს სხვა მიზნებზე.

ბიორგი გოგუაძე

1 Bank's Non-Interest Income to Total Income for United States, Economic Research, FRED, 17 August 2016, <https://fred.stlouisfed.org/series/DDEI03USA156NWDB>

2 Financial Stability Review (2016), Euro area financial institutions, European Central Bank, May 2016, გვ. 63. <https://www.ecb.europa.eu/pub/fsr/shared/pdf/3financialstabilityreview201605.en.pdf?a84cf3b106f7917997b6851eb1b5104b>

INSTITUTIONAL PROBLEMS OF UNIVERSAL BANKS

George Goguaдзе

RESUME

The article describes the positive and negative aspects of universal commercial banks. Through analyzing different studies high risks of non-traditional activities of the universal banks have revealed. It should be noted that despite of risks nobody can deny the importance of the diversification and in most countries banks ownership rights of securities are unlimited, insurance activities - authorized, and activities in real estate sector are prohibited. It is estimated that in Georgia the share of activities of commercial banks in non-traditional sectors is very small, banks are not deeply diversified and lending to economy is the dominating field of the banks.

Keywords: universal banks, diversification, the National Bank of Georgia

საქართველოს გამონვევა: დეპოზიტების დაზღვევა

ეკონომისტებს შორის ერთ-ერთი კლასიკური დისკუსია წარმოიშობება, როდესაც ხდება უსაფრთხოების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორცაა: **დეპოზიტების დაზღვევა**. იგი არის ცენტრალური ბანკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქციის გადაცემა კომერციული ბანკებისადმი. ამ თვალსაზრისით, დეპოზიტების დაზღვევა გულისხმობს ცენტრალური ბანკების განთავისუფლებას ზედამხედველობიდან და ბანკების საგადაამხდლო ვალდებულებებზე დამკვირვებლის უფლების გადაცემას დეპოზიტების დაზღვევის საბაზრო ინსტიტუტისადმი. შესაბამისად ცენტრალური ბანკის ძირითადი ფუნქცია მონეტარული პოლიტიკა რჩება.

ეს საკითხი დაკავშირებულია დეპოზიტების დაზღვევის მორალურ რისკებთან. ბანკის კლიენტებს არ აინტერესებთ, თუ ბანკი სად გასცემს სესხს. ეს მორალური რისკი მოითხოვს დეპოზიტარებს ჰქონდეთ სტიმული იმისა, რომ მონიტორინგი გაუწიონ ბანკებს და იცოდნენ - მათი სახსრები არ გაიფლანგება. რამდენადაც ეს სტიმულები არ არსებობს, ამიტომ ბანკებს აქვთ ისეთი შეუზღუდავი რისკების განწევის უნარი, რომელიც მათ შეუქმნის კომფორტს. მათ აქვთ იმის უნარი, რომ ისესხონ იმდენი, რამდენიც მათ სურთ, დეპოზიტების დაზღვევა კი შეზღუდავს მათ სესხებში და რისკების განწევას.

ქვეყნებში, სადაც არსებობს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, ბანკების გადახდისუნარიანობის პრობლემების გამოვლენისას ერევა ან სახელმწიფო დახმარებებით, რომელიც ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ან კიდევ იყიდება ბანკის აქტივები, ხოლო დეპოზიტარებს კი ეძლევათ კომპენსაციები. ასეთი პოლიტიკა შესაძლებელია არ იყოს რაციონალური. ამის მაგალითია შოტლანდიის სამეფო ბანკი, რომელიც 2009 წელს დადგა კრიზისის საშიშროების წინაშე. სახელმწიფომ მილო გადანყვეტილება მისი დახურვის შესახებ, მაგრამ რამდენადაც დეპოზიტარებისადმი არსებობდა ვალდებულებები, ამ მიზნით დამატებით უნდა მოეძიათ გარკვეული რაოდენობის თანხა, ამასთან მათ უნდა ემოქმედათ სწრაფად, რომ პანიკა არ აგორებულყო. ფინანსური კრიზისის პირობებში კი ბანკის აქტივების გაყიდვა შეუძლებელი იყო, ან თუ გაყიდდნენ, მაშინ უნდა შეემცილებინათ აქტივების ღირებულება საბაზროზე დაბლა. ამდენად გაკოტრება ხელისუფლებისათვის ძალიან ძვირი აღმოჩნდა.¹

მსხვილმა ბანკებმა იციან, რომ თუ ისინი გადახდისუნარიანი ხდებიან, მაშინ მათი ვალეები დაიფარება დაზღვევით ან „კაპიტალის ინექციით“, ამიტომ ისინი მაღალ რისკებზე მუშაობენ. ეს არის დაზღვევის უარყოფითი მხარე, რადგან იმედი აქვთ, რომ სახელმწიფო მთ მთიანობებთან საჭიროების შემთხვევაში. რაც



უფრო მსხვილია ბანკი, მით უფრო მეტია ხელისუფლების დანახარჯი მათზე. ასეთი ბანკები მსხვილ სესხებს იღებენ და იძლევიან რისკიან კრედიტებს, რასაც სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდნენ.

დეპოზიტების დაზღვევა არის, უპირველეს ყოვლისა, ლიკვიდობის უზრუნველყოფის პირობა და იგი ამა თუ იმ ფორმით, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში ფუნქციონირებს მათი ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე.

მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ეფექტიანად ფუნქციონირებადი დეპოზიტების დაზღვევა უზრუნველყოფს საბანკო სისტემის მდგრადობას, ქმნის მენაბრებელთა გარანტიებს და ამაღლებს ნდობის ხარისხს საბანკო სისტემისადმი.

საქართველოში ჯერ კიდევ 10 წლის წინ დაიწყო დეპოზიტების დაზღვევის ინსტიტუციური ბაზის ფორმირება. თუმცა იგი დღემდე გადანყვეტილი არ არის სხვადასხვა არგუმენტაციის გამო: დაბალგანვითარებულ და ღარიბ ქვეყანაში დანაზოგებს ქმნის მხოლოდ მაღალი შემოსავლების მქონე მენარმეები და მოქალაქეები და მათი დეპოზიტების დაზღვევა მიმართული იქნებოდა მხოლოდ მათი სიმდიდრის შესანარჩუნებლად, რაც არ იქნებოდა გამართლებული. ამ არგუმენტაციით მეორეხარისხოვანი როლი ენიჭებოდა იმას, რომ დეპოზიტების დაზღვევა არის კარგი სავიზიტო ბარათი საკრედიტო რესურსების მოსაზიდად.² ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ დეპოზიტების დაზღვევა იწვევს საბანკო ჩავარდნებს და ფინანსურ

2 თავდაპირველად ამ საკითხის განხილვის ინიციატორი საქართველოში იყო ირაკლი კოვზანაძე (იხ: კოვზანაძე ი., (2001), საბანკო სისტემის მდგრადობის შესახებ, მაცნე, ეკონომიკის სერია, ტ. 4, გვ. 200-202, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164549/1/Macne_2001_N4.pdf); იხ. ასევე ამ საკითხის გარშემო დეტალური ანალიზი: Kovzanadze I., (2010), Systemic and Borderline Banking Crises: Lessons Learned for Future Prevention, I Universe Inc., New York, Bloomington, გვ.160-169.

1 Two Main Problems with Deposit Insurance. Positive Money, 23 May, 2013, <http://positivemoney.org/2013/05/two-main-problems-with-deposit-insurance/>

კრიზისებს,¹ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მას ალტერნატივა არა აქვს და განისაზღვრება მისი შემოღების მიზანშეწონილობა. ამასთან, არ არსებობს ყველა ქვეყნისათვის დაზღვევის სისტემის ერთიანი მოდელი. მას აქვს უარყოფითი და დადებითი მხარეები და საჭიროა იმის განსაზღვრა თუ რომელი მოდელია მიზანშეწონილი.

სავალდებულო დაზღვევის დროს დაზღვევის საპრემიო ფონდი იქმნება სახელმწიფო ორგანოების – ხაზინის, ცენტრალური ბანკის, ასევე ნაწილობრივ კომერციული ბანკების მონაწილეობით. საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლესობა ემხრობა ბანკების სავალდებულო მონაწილეობას. ასეთი სისტემები მაქსიმალურად მოიცავს ყველა ობიექტის დაცვას და თანაბარი შესაძლებლობებია ბანკთაშორის კონკურენციისთვის. იგი უზრუნველყოფს რისკის განაწილებას მთელ საბანკო სისტემაში. ეს ფორმა გამოიყენება კანადაში, დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში.

ნებაყოფლობითი დაზღვევის დროს ფონდის საქმიანობაში ცენტრალური ბანკი და ხაზინა არ მონაწილეობს. კომერციული ბანკები თავად ქმნიან და აფუძნებენ ფონდს, რომლიდანაც ხდება თანხების გასტუმრება.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რომელიც სახელმწიფოს პირდაპირი გავლენის ქვეშ იმყოფება განვითარებულია აშშ-ში, იგი შეიქმნა დიდი დეპრესიის შემდგომ პერიოდში, როდესაც გაიზარდა მოსახლეობის უნდობლობა ბანკების მიმართ. შემდგომ ეს სისტემა განვითარდა კანადაში, იაპონიაში, ინგლისში, სადაც გადანყვეტილების მიმდებარე დამოუკიდებელი კორპორაცია. იგი არსებობს თურქეთშიც, სადაც ცენტრალურ ბანკზე დამოკიდებული ინსტიტუტი იღებს გადანყვეტილებებს.

ამასთან განსხვავებულია ბანკების შენატანები: იაპონიაში და აშშ-ში დაზღვეული დეპოზიტების 0.08 პროცენტია, ხოლო ინგლისში და თურქეთში კი შენატანები ანაბრების არაუმეტეს 0,3 პროცენტია. ამასთან ბანკების მონაწილეობა სავალდებულოა, ხოლო ერთ მეანაბრზე მაქსიმალური დაფარვის ზომა მერყეობს 50 ათასი აშშ დოლარიდან 1000 ათას დოლარამდე. აშშ-ს ფედერალური კორპორაცია დეპოზიტების დაზღვევაზე იძლევა ანაზღაურების

100 პროცენტით გარანტიებს 100 ათასი დოლარის ფარგლებში მეანაბრეთა ყოველ საბანკო ანგარიშზე.

სისტემა, რომელიც სახელმწიფოს ირიბი გავლენის ქვეშ იმყოფება, არის ძირითადად კონტინენტალური. მასში ბანკების მონაწილეობა ნებაყოფლობითია. გერმანიაში ეს სისტემა შეიქმნა 70-იან წლებში და კერძოა. იგი იმართება საბანკო კავშირებით. ერთ მეანაბრზე მაქსიმალური დაფარვა შეადგენს კაპიტალის 30 პროცენტს. მისი მსგავსი მოდელია საფრანგეთში და შვეიცარიაში.

ყოფილ საბჭოთა ქვეყნებიდან დეპოზიტების დაზღვევა არსებობს თითქმის ყველა რესპუბლიკაში, გარდა საქართველოში. ამ ქვეყნებში მაქსიმალური დაფარვა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში (იგი მერყეობს ათასი დოლარიდან (უკრაინა) 15 ათას დოლარამდე (ესტონეთი, ლიტვა, ლატვია).

სადაზღვევო პრემიებისა და თანხების ოდენობა პირდაპირპროპორციულ კავშირშია საბანკო სისტემის სტაბილურობასთან, რადგანაც ქვეყნებში, სადაც მდგრადი საფინანსო ინსტიტუტები ფუნქციონირებს მინიმალური ანარიცხებია სადაზღვევო ფონდში, ხოლო სადაზღვევო თანხები ითვალისწინებს ზარალის მაქსიმალური ანაზღაურების უზრუნველყოფას.

საქართველოში დღეს ანაბრების დაცვა ხდება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად. იგი ბანკის გაკოტრების შემთხვევაში, მეანაბრების თანხების გასტუმრებას ითვალისწინებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩინა: ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მსჯელობა დეპოზიტების დაზღვევის აუცილებლობის შესახებ და შეიმუშაოს შესაბამისი მოდელი კომერციული ბანკების მონაწილეობით, რათა ხელი შეუწყოს საბაზრო მექანიზმების განვითარებას საბანკო სისტემაში;² ლარიზაციის გამყარების მიზნით ეს ინსტიტუციური ცვლილება უნდა შეეხოს ეროვნულ ვალუტას, რაც მნიშვნელოვნად გაამყარებს მის კურსს; მნიშვნელოვანია რომ სადაზღვევო თანხები განთავსდეს სახაზინო ვალდებულებებში, რაც გაზრდის სტაბილურობას და დამატებით რესურსს შემატებს სახელმწიფო ბიუჯეტს.

ბიორგი გომეზაქი

1 Hogan T., Johnson K, (2016), Alternatives to the Federal Deposit Insurance Corporation The Independent Review, v. 20, n. 3, Winter 2016, გვ. 433. http://www.independent.org/pdf/tir/tir_20_03_17_hogan-johnson.pdf;

Kapnmov A., MengGle D., The Future of Deposit Insurance: An Analysis of the alternatives. Federal Reserve Bank of Richmond. გვ.3. https://www.richmondfed.org/~media/richmondfedorg/publications/research/economic_review/1989/pdf/er750301.pdf;

Lilico A., Why bank deposit insurance leads to more financial crises. The Telegraph, 08 October, 2014. <http://www.telegraph.co.uk/finance/newsbysector/banksandfinance/11148323/Why-bank-deposit-insurance-leads-to-more-financial-crises.html>;

Asli Demirgüç-Kunt, Enrica Detragiache. Does Deposit Insurance Increase Banking System Stability? An Empirical Investigation, World Bank, http://documents.worldbank.org/curated/en/390351468779344515/101501322_20041117140502/additional/multi-page.pdf.

2 ამ საკითხთან დაკავშირებით, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი კოვზანაძემ განაცხადა, რომ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან დადგა საკითხი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის სააგენტოს ჩამოყალიბების შესახებ. გადანყდა, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში კანონპროექტზე მთავრობა და ეროვნული ბანკი ერთობლივად იმუშავენ. მისი თქმით, ეს არის დამატებითი სტიმული საბანკო სექტორში დეპოზიტების მოცულობის გასაზრდელად. დეპოზიტების დაზღვევა მრავალ ქვეყანაში არსებობს და მუშაობს. საქართველო კი, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არ არის. მე თვითონ მხარს ვუჭერ ქვეყანაში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის არსებობას“. გელანტია თ. (2017), ირაკლი კოვზანაძე: დეპოზიტების დაზღვევის შესახებ კანონის მიღებას პერსონალურად შევუწყობ ხელს. Business Contract, 16.02, 2017. <http://businesscontract.ge/ka/article/irakli-kovzanadze-depozitebis-dazgvevis-shesaxebkanonis-migebas-personalurad-shevuwyob-xels/9498>

ონლაინ სესხები საქართველოში

შესავალი

სტატიის მთავარი მიზანია საქართველოს ონლაინ სესხების ბაზრის მიმოხილვა, რათა ნათლად დავინახოთ და შევაფასოთ მიმდინარე მდგომარეობა. ონლაინ სესხები აქტიურია დღევანდელ საქართველოში, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. თეორიულად იმიტომ, რომ ახალი მოვლენაა და ცუდადაა შესწავლილი: საქართველოში არ არსებობს შესაბამისი ლიტერატურა და/ან კვლევა, რომელიც ამ საკითხს ამომწურავად ეხება, ასევე არ მოიპოვება ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. ინფორმაციის მიღება მხოლოდ მასმედიაზე დაყრდნობითაა შესაძლებელი; ხოლო მისი პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ მან უკვე მოიცვა ქვეყნის მოსახლეობის სრული უმრავლესობა (ორგანიზაცია „კრედიტინფოს“ მონაცემებით 4 მილიონი ჩანაწერია აღნიშნულ სესხებთან დაკავშირებით), გახდა სოციალური არასტაბილურობის წყარო, ფულის კრიმინალური „ამოღების“ მოტივატორი და ა.შ. ამ ბაზარზე დღესდღეობით მრავალი პრობლემა აღინიშნება, რომელიც დაკავშირებულია ბაზრის გაკონტროლებასთან და მის გარკვეულ „ჩარჩოში“ მოქცევასთან. აღნიშნული პრობლემის მოგვარების უმთავრესი გზა კი ცვლილებებია საკანონმდებლო რეგულაციებში, რომელიც ძალაში 2017 წლის 15 იანვარს შევიდა.

2000-იანი წლების ბოლოს ინტერნეტ სივრცის განვითარებამ, მასზე ხელმისაწვდომობის ზრდამ, „დროის დაჩქარებამ“ და კიდევ მრავალმა ასეთმა ფაქტორმა მსოფლიოს უბიძგა ახალი პროდუქტის შექმნაზე. ეს პროდუქტი არის ონლაინ სესხები, რომელიც ზუსტად ასახავს თანამედროვე ადამიანის მოთხოვნას- სახლიდან გაუსვლელად უმოკლეს დროში მიიღოს ხელმისაწვდომობა ფულად სახსრებზე მოკლევადიანი ფინანსური პრობლემის დასაფინანსებლად. ონლაინ სესხების ძირითადი მახასიათებლებია:

- სესხი გაიცემა ინტერნეტის საშუალებით

- თანხის მოცულობა მერყეობს 50-2000 ლარის ფარგლებში
- 5-30 დღემდე ვადით შეუძლია მომხმარებელს სესხით სარგებლობა
- პირველი ონლაინ სესხი გაიცემა უფასოდ (ზოგიერთ კომპანიაში)
- ასაკი განისაზღვრება 20-65 წლამდე
- მომხმარებელი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე
- მომხმარებელი უნდა ფლობდეს საბანკო ანგარიშს
- მომხმარებელი უნდა ფლობდეს მობილური ტელეფონის ნომერს
- მომხმარებელს უნდა ჰქონდეს კარგი საკრედიტო ისტორია

ონლაინკრედიტების კომპანიები საქართველოს არასაბანკო სესხების ბაზარზე 2013 წლიდან გამოჩნდნენ. ისინი უზრუნველყოფენ მომხმარებლისთვის ფინანსურ რესურსებზე მარტივ და სწრაფ ხელმისაწვდომობას. ონლაინ სესხების ორგანიზაციების მიერ გაცემული კრედიტების წილი მთლიან გაცემულ სესხებთან შედარებით დაბალია. მათ მიერ გაცემული სესხების პორტფელი არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკები“-ს ინფორმაციით, დაახლოებით ნახევარი მილიარდი ლარია.

აგრესიულმა სარეკლამო კამპანიამ, სადაც საუბარი იყო პირველად სესხზე უპროცენტო სარგებლობის საშუალების შესახებ, საქართველოს მოსახლეობაში ნელ-ნელა ინტერესი გამოიწვია. საბოლოო ჯამში მოთხოვნა ისე გაიზარდა, რომ მომხმარებლის მატებასთან ერთად ყოველდღიურად ბაზარს ემატებოდა კომპანიები, რომლებიც იმავე ტიპის მომსახურებას სთავაზობდნენ მსესხებლებს.

მოთხოვნის პიკი დაახლოებით წელიწადნახევრის წინ იქნა მიღწეული, მანამ სანამ მომხმარებელთა გარკვეულ რაოდენობას პრობლემები არ შეექმნათ ვალის დაბრუნებასთან დაკავშირებით. გაპრობლე-



მეზული სესხი, მაღალი საპროცენტო სარგებელი, „გაფუჭებული“ საკრედიტო ისტორია-ამ ყველაფერმა ნელ-ნელა უარყოფითი დამოკიდებულება გაზარდა ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების მიმართ და ასევე, უბიძგა სახელმწიფო ორგანოებს ბაზრის რეგულირებისკენ.

ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში გაცემული სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 100%-ს, მათ შორის, სესხის ვადის გაგრძელების შემთხვევაში. სადაც, არსებული სესხის ვადის გაგრძელებად მიიჩნევა სესხის დაფარვის შემდეგ ახალი სესხის გაცემა, თუ არსებული სესხის დაფარვიდან ახალი სესხის გაცემამდე არ არის გასული 5 სამუშაო დღე.

ასევე საკანონმდებლო ცვლილებაში არის პუნქტი, სადაც საუბარია, რომ სესხის შემთხვევაში ყველა საკომისიოს, საპროცენტო სარგებლის, სესხის გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ფინანსური ხარჯის, ასევე სესხის გაცემის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევისათვის მსესხებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ან ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გაცემული სესხის ძირი თანხის ორმაგ ოდენობას.

აღნიშნული კანონპროექტი 2016 წლის 29 დეკემბერს, პარლამენტმა მესამე და საბოლოო მოსმენით, 86 ხმით 9-ის წინააღმდეგ დაამტკიცა, ხოლო საქართველოს პრეზიდენტმა, **გიორგი მარგველაშვილმა** 2017 წლის 13 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება საკანონმდებლო პაკეტის ხელმოწერის შესახებ, რომელიც ძალაში 2017 წლის 15 იანვრიდან შევიდა.

სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების განცხადებით კანონპროექტის მომზადებისას გათვალისწინებული იყო საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება.

მსოფლიო პრაქტიკაში ონლაინ სესხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის შეზღუდვები გვხვდება, ძირითად შემთხვევაში დადგენილია საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი. რიგ ქვეყნებში შეზღუდვა დღიურ, თვიურ ან ერთჯერადი სახით გაცემულ განაკვეთებზე ხდება და ზღუდავს ჯამურად გადასახდელი თანხის ოდენობით, თუმცა აქ კრედიტორებს უჩნდებათ მანიპულირების საშუალება - ფიქტიურად, რეფინანსირების სახით გაცემული სესხით დამატებითი ხარჯების დაკისრება მოახდინოს მსესხებელზე. მსგავსი შემთხვევების შესაზღუდად რიგ ქვეყნებში რეფინანსირება მოკლევადიანი სესხების ან პარალელური სესხების არსებობა საერთოდ აკრძალულია, ზოგ ქვეყანაში კი დაშვებულია გარკვეული ლიმიტებით. კონკრეტული ქვეყნების მაგალითზე კი სიტუაცია ასეთია:

კანადა კრიმინალურად აცხადებს საპროცენტო განაკვეთს წელიწადში 60%-ს ზემოთ, მოკლევადიან სესხებზე ჯამში დასაბრუნებელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს გაცემული თანხის 210%-ს.

ავსტრალია ეროვნული სამომხმარებლო სესხების დაცვის აქტი სამომხმარებლო სესხებზე

აზია-სინგაპურში საპროცენტო განაკვეთის ზღვარი თვეში 4%-ია. დამატებით, განსაზღვრულია 1 წლამდე სესხების საპროცენტო და საკომისიო გადასახდელების, ასევე, ვადაგადაცილების პირგასამტეხლოს და ნებისმიერი სახის საჯარიმო სანქცია, ანუ ჯამურად კრედიტორისთვის დასაბრუნებელი თანხის ლიმიტირება, რაც ასევე დამყარებულია საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითზე: მოკლევადიან სესხებზე ჯამში დასაბრუნებელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს გაცემული თანხის ორმაგ ოდენობას. მოკლევადიან სესხებზე ჯამში დასაბრუნებელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს გაცემული თანხის 210%-ს.

ამერიკის შეერთებული შტატების 14 შტატში საერთოდ აკრძალულია ონლაინ სესხების გაცემა, ხოლო დანარჩენში უმეტესად ლიმიტირებულია როგორც გასაცემი თანხა, ასევე საპროცენტო განაკვეთი. მაგალითად, არიზონას შტატში დაწესებულია მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც შეადგენს 36%-ს. გარდა ამისა, თუ დადგინდა მსესხებლის არაკრედიტუნარიანობა, კანონმდებლობის მიხედვით მსესხებელს ავტომატურად ეძლევა 130 დღიანი დაფარვის გრაფიკი ყოველგვარი პროცენტისა და ჯარიმის დარიცხვის გარეშე. ასეთი გრაფიკის შედგენის შემდეგ კრედიტორს ეკრძალება შემდეგი სახის ქმედებები: მსესხებელთან დაკავშირება საღამოს 8 საათის შემდეგ, საუბრის დროს არანორმატიული ლექსიკის და მცდარი ინფორმაციის გამოყენება, მუქარა სასამართლოში ჩივილით, თუ ამის გაკეთება ნამდვილად გადაწყვეტილი არ აქვს. აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით თითოეულ ასეთ ორგანიზაციას ოპერირებისთვის სჭირდება ლიცენზირება სახელმწიფო მმართველობითი ორგანოს მიერ.

ევროპის ქვეყნებში სესხის საპროცენტო განაკვეთების შეზღუდვებთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები არსებობს, თუმცა ზოგადი მიდგომა ასეთია: მომხმარებლების დაცვის თვალსაზრისით გარკვეული შეზღუდვების დაწესება აუცილებელია.

საპროცენტო განაკვეთების შეზღუდვა ევროპის ქვეყნებში ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს ითვალისწინებს, სხვაგან მიბმულია გარკვეულ ინდექსებზე. განსხვავებული მიდგომა ასევე – შეზღუდვების გავრცელების არეალზე. მაგალითად, საბერძნეთსა და სლოვაკეთში შეზღუდვა არ ვრცელდება საბანკო სექტორზე, ესპანეთში შეზღუდვა მხოლოდ გარკვეულ პროდუქტებზე ვრცელდება, პოლონეთსა და ესპანეთში – შეზღუდვა ყველა ტიპის სესხზე ვრცელდება.

ბრიტანული კანონმდებლობის მიხედვით ონლაინ ტიპის სესხებზე დადგენილია ლიმიტი საპროცენტო განაკვეთებზე. ლიმიტის მიხედვით ყოველდღიური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს სესხის ძირის 0.8%-ს. ასევე ონლაინ სესხების ორგანიზაციებს ეკრძალებათ სესხის გადავადება ორჯერზე მეტად.

არსებობს რეგულაციების ნეგატიური გამოცდილება. მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკაში შე-

მოღებულმა რეგულაციებმა განაპირობა ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშის ბაზრიდან გასვლა, რადგან ასეთი რეგულაციის პირობებში ოპერირებას აზრი დაეკარგა.

საქართველოს ონლაინ სესხების ბაზარზე მომუშავე კომპანიებმაც გააუღერეს, რომ მიღებულმა რეგულაციამ შეიძლება მათ აიძულოს ბაზრიდან გასვლა, თუმცა ჯერ-ჯერობით ასეთი ფაქტი არ დაფიქსირებულა და ეს კომპანიები განაგრძობენ ფუნქციონირებას.

კანონის მიღების შემდეგ საქართველოსი მოხდა სწრაფი ადაპტირება და თითქმის უცვლელი დარჩა ონლაინ სესხის პირობები. მაგალითის სახით ავიღოთ ერთ-ერთი ონლაინ სესხების გამცემი კომპანია და დავიანგარიშოთ რეალური ხარჯები 250 ლარის სესხებისას, იმ პირობით რომ სესხს მომხმარებელი იღებს პირველად და მის დაფარვას 1 წლის თავზე შეძლებს (რაც საქართველოს რეალობაში ამ ტიპის სესხის გამოყენებისას ფაქტიურად მიღებული პრაქტიკაა).

ამ მოცემულობით, რომ მომხმარებელი სესხის გაცემა კანონში ცვლილებების შესვლამდე ასეთი სურათი გვეჩვენებოდა მომხმარებლის მხრიდან ხარჯების კუთხით:

მსესხებელი თავიდან გადარიცხავდა კომპანიის ანგარიშზე 0.01 ლარს, შემდეგ ყოველთვიურად 11 თვის განმავლობაში გადაიხდიდა სესხის გადავადების საფასურს 48 ლარის ოდენობით, ამას დაემატებოდა 12-ჯერ გადახდილი ბანკის საკომისიო, რომელიც 50-500 ლარამდე თანხის გადახდისას 1 ლარს შეადგენს:

$$0.01+(48*11)+(1*12)=540.01 \text{ (ლარი)}$$

ეს მონაცემი პროცენტულად რომ გამოვხატოთ იქნება: $540.01*100/250=216$ (%)

იმავე მოცემულობით, რომ მომხმარებელი სესხის გაცემა კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ პირველ ეტაპზე ასეთი სურათი გვეჩვენებოდა:

მომხმარებელი ყოველთვიურად გადაიხდიდა სესხის დაგვიანების საფასურს, რომელიც წარმოადგენს ვადაგადაცილების პირგასამტეხლოს და რომლის გადახდაც ხდება წინასწარ. ჩვენს შემთხვევაში მისი მოცულობა შეადგენდა 47,5 ლარს, რომელსაც მსესხებელი 11-ჯერ გადაიხდიდა სესხის სრულად დაფარვამდე, ამას დაემატებოდა კომპანიის ანგარიშზე გადარიცხული 0,01 ლარი და ბანკის საკომისიო 1 ლარი 12-ჯერ გადახდილი:

$$0.01+(47.5*11)+(1*12)=534.51 \text{ (ლარი)}$$

რაც პროცენტულ განგარიშებაში შემდეგია: $534.51*100/250=213.8$ (%)

როგორც ვხედავთ, თავიდან კანონში ცვლილებამ რეალურ შედეგამდე ვერ მიგვიყვანა და ონლაინ

სესხების გამცემი კომპანიები კანონის გვერდის ავლით მარტივად ახერხებენდნენ იმ შემოსავლის მიღებას, რომელიც მცირედით განსხვავდებოდა ძველი მონაცემისგან. (<http://iverioni.com.ge/16340-salome-yanchaveli-kanoni-yefs-onlain-seskhebis-qaravani-kimidis.html>)

აღნიშნულზე ეროვნული ბანკის მიერ დროზე იქნა შენიშნული და მისი რეაგირების შემდეგ ჩამოყალიბდა შემდეგი სიტუაცია:

მომხმარებელი ყოველთვიურად გადაიხდის სესხის დაგვიანების საფასურს, რაც დღევანდელ დღეს ჩვენს შემთხვევაში შეადგენს 14.25 ლარს, რომელსაც მსესხებელი 11-ჯერ გადაიხდის სესხის სრულად დაფარვამდე, ამას ემატება კომპანიის ანგარიშზე გადარიცხული 0,01 ლარი და ბანკის საკომისიო 1 ლარი 12-ჯერ გადახდილი:

$$0.01+(14.25*11)+(1*12)=168.76 \text{ (ლარი)}$$

რაც პროცენტულ განგარიშებაში შემდეგია: $168.76*100/250=67.5$ (%)

მონაცემებში ნათლად ჩანს, რომ კანონში შეტანილმა ცვლილებამ და შემდეგ ეტაპზე ეროვნული ბანკის ჩარევამ მკვეთრად შეამცირა მსესხებლის დანახარჯები და შედეგად მათ გაცილებით ნაკლები თანხის გადახდა უნევთ.

დასკვნა

საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ონლაინ სესხებს შეეხო მისასაღმებელია, რადგან მისი ძალაში შესვლის შემდეგ კრედიტორების უფლებები უფრო მეტად დაცული იქნება, თუმცა ბაზარზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე მხოლოდ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე მაქსიმალური ზღვრის დაწესება შეიძლება საკმარისი არ იყოს პრობლემის მოსაგვარებლად. თანაც ეს ზღვარი - 100% ძალიან მაღალია და ის მინიმუმ ორჯერ უნდა შემცირდეს.

კარგი იქნებოდა თუ დამატებით გათვალისწინებული იქნება, როგორც სხვა ქვეყნების მაგალითები, ასევე ექსპერტების მოსაზრებები, რომელიც შეეხება ასაკობრივ (22 წლამდე), ერთ პიროვნებაზე გაცემული პარალელური სესხების რაოდენობის და სესხის რამდენჯერმე გადავადების შეზღუდვებს. დამატებით მნიშვნელოვანი იქნება თუ გადამოწმდება მსესხებლის გადახდისუნარიანობა და საკრედიტო ისტორია.

სალომე ყანჩაველი
ეკონომიკის მაგისტრი

ONLINE LOANS IN GEORGIA

Salome Kanchaveli

ANNOTATION

The article focuses on the essence of payday loan, on the organizations, which issues such loans and the regulation of its operation by the state. It is confirmed that development of non-banking loans in the form of payday loan, outruns the development of its regulative framework. Recently initiated legislative norms unable to deal with this type of legal drawback. The article covers the best practices of foreign countries and analysis of the legislative norms. The recommendation is elaborated based on comparative analysis between Georgian reality and the best practices of the foreign countries.

საქართველოს საფონდო ბირჟის ისტორიისთვის

საქართველოს საფონდო ბირჟა 1999 წელს შეიქმნა. მისი შექმნის საფუძველი 1998 წლის 24 დეკემბერს ამერიკელი ექსპერტების დახმარებით შემუშავებულმა კანონმა „**ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ**“ განაპირობა. საფონდო ბირჟა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს, მის გარეშე შეუძლებელია აღნიშნული სფეროს ფუნქციონირება და აქედან გამომდინარე ის როგორც სააქციო საზოგადოება 1999 წლის 5 იანვარს დაფუძნდა USAID-ის დახმარებით. 2000 წლის 14 იანვარს მასზე საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ გაიცა საფონდო ლიცენზია №90001, 2000 წლის 23 მარტს პირველი ვაჭრობა ჩატარდა, პირველი გარიგება 2000 წლის აპრილის თვეში დაიდო. აქედან მოყოლებული აქტიურად დაიწყო საფონდო ბირჟამ ფუნქციონირება.

საფონდო ბირჟა არის ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვებას, ვაჭრობის ორგანიზებას დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.

საფონდო ბირჟა წარმოადგენს თვითრეგულირებად ორგანიზაციას „**ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ**“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ბირჟის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალე და ლიკვიდური ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება, სიცოცხლისუნარიანი სავაჭრო მექანიზმის შექმნა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ბირჟის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 30 000.00 (ოცდაათათასი) ლარს.

საწესდებო კაპიტალი ბირჟის შექმნის პერიოდში დაყოფილი იყო 50 (ორმოცდაათი) ცალ აქციად, ნომინალური ღირებულებით 600.00 (ექვსასი) ლარი; ხოლო 2007-2008 წლებში კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მოხდა აქციების დანაწევრება, 1 აქცია დაიყო 60000 (სამოციათასი) ცალ აქციად, შესაბამისად შემცირდა მისი ნომინალური ღირებულებაც. დღეისათვის ის შეადგენს 3000000 (სამი მილიონი) აქციას,

რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 0.01 (ერთი მეასედი) ლარს.

სს საქართველოს საფონდო ბირჟის ძირითად აქციონერებს მოქმედი და ყოფილი საბროკერო კომპანიები წარმოადგენდნენ. ბირჟაზე ვაჭრობის უფლებისათვის საბროკერო კომპანიისთვის 2007-2008 წლებამდე აუცილებელი იყო მინიმუმ 1 აქციის ფლობა, რაც კაპიტალის 2%-ს შეადგენდა. თავდაპირველად საფონდო ბირჟის აქციები 600 ლარად იყიდებოდა, მაგრამ მასზე მოთხოვნის გაჩენამ ეგრევე მოახდინა ფასის აწევა და 600 ლარიანი ნომინალური ღირებულების მქონე აქციები 1500 ლარად გაიყიდა. მომდევნო წლებში ეს ფასი კიდევ უფრო გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს აქციები ბირჟაზე არ ივაჭრება და მათზე ყიდვა-გაყიდვა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და მის საფუძველზე რეესტრში ცვლილებით შემოიფარგლება.

2001 წლის ბოლოსთვის სს საქართველოს საფონდო ბირჟის აქციონერი იყო 38 საბროკერო კომპანია. აქედან მხოლოდ 17 კომპანიას ქონდა ბირჟაზე ვაჭრობის უფლება. აღსანიშნავია, რომ 38 საბროკერო კომპანიიდან ფინანსური ინსტიტუტების მიერ დაფუძნებული იყო 10 კომპანია, კერძო პირების მიერ — 24 კომპანია, ხოლო 4 — ფინანსური ინსტიტუტების და კერძო პირების მიერ ერთობლივად იყო დაფუძნებული. ამ საბროკერო კომპანიების დაფუძნებაში მონაწილეობა მიიღო 8 კომერციულმა ბანკმა, 2 სადაზღვევო კომპანიამ და 3 უცხოურმა კომპანიამ.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს საქართველოს საფონდო ბირჟის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით აქციონერთა რაოდენობა შეადგენს 19-ს. აქედან 14 იურიდიული პირია — 82%-ული წილით მთლიან კაპიტალში, 5 ფიზიკური პირი — 18%-ული წილით მთლიან კაპიტალში. აქედან კომერციული ბანკების მიერ კონტროლირებად წილს წარმოადგენს შვილობილი საწარმოების მეშვეობით 58%.

2015 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის უფლებით მხოლოდ 5 კომპანია სარგებლობს, საიდანაც 4 კომერციული ბანკების შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. ესენია:

№	საბროკერო კომპანია	კომერციული ბანკი
1	სს გალტ ენდ თაგგარტი	სს საქართველოს ბანკი
2	შპს თიბისი კაპიტალი	სს თიბისი ბანკი
3	შპს ქართუ ბროკერი	სს ქართუ ბანკი
4	სს ლიბერთი სიქიურითიზ	სს ლიბერთი ბანკი
5	სს კაუკაზუს კაპიტალ ჯგუფი	-

№1 იანვარი-მარტი 2017

ბირჟის მართვის ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი. ბირჟის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 12 წევრისაგან, რომელთაც აქციონერთა საერთო კრება ირჩევს 4 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს ბირჟის დირექტორი ან ბირჟის თანამშრომელი. ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს სფერო-ციფიკური უფლება-მოვალეობები აქვს, რომელიც განასხვავებს ბირჟას ჩვეულებრივი ბიზნეს სანარმოსგან. ასევე ბირჟის დირექტორსაც გააჩნია რიგი სპეციფიკური უფლება-მოვალეობები, რაც განასხვავებს მას სხვა სანარმოების აღმასრულებელი დირექტორისაგან.

ბირჟის გენერალური დირექტორი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. დირექტორების, ბირჟის სხვა თანამშრომლების ურთიერთობათა სისტემა განისაზღვრება ბირჟის შინაგანანესითა და ბირჟის სამსახურების დებულებებით.

ბირჟის წევრები შეიძლება იყვნენ ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტები (მათ შორის კანონით გათვალისწინებული უცხოური ფინანსური ინსტიტუტები). წევრებს გააჩნიათ უფლება დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღონ ბირჟის მიერ ორგანიზებულ საფონდო ვაჭრობებში და ისარგებლონ ბირჟის სამსახურების მომსახურებით.

წესდებით ბირჟის შემოსავლები იქმნება: სანევრო, საკომისიო და სხვა შენატანებისაგან და გადასახდელებისაგან; საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან. აღსანიშნავია, რომ ბირჟა არ წარმოადგენს მომგებიან საზოგადოებას და შესაბამისად დივიდენდების განაწილება არ ხდება აქციონერთა შორის.

ბირჟის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია შეილება მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს წინასწარი თანხმობით.

ბირჟის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა უზრუნველყოფის მისი სავაჭრო სისტემაში არსებული ფასიანი ქაღალდების კოტირება — საფონდო ბირჟის მიერ ფასიანი ქაღალდის ოფიციალური ფასის ან/და ფასთა ინტერვალის დადგენა გარკვეული თარიღისათვის, გაანგარიშებული დადებული გარიგებების ან/და გაკეთებული სავაჭრო განაცხადების საფუძველზე, ბირჟის მიერ დამტკიცებული მეთოდის შესაბამისად.

საფონდო ბირჟის ცენტრალური რგოლია მისი სავაჭრო სისტემა. თანამედროვე ვაჭრობა ბირჟაზე ელექტრონული ვაჭრობის სისტემით ხორციელდება, რომელიც მოიცავს იმ ტექნიკური და პროგრამული საშუალებების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდებით გარიგებების დადებას და გარიგებებთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვას, დამუშავებასა და გახსნას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბირჟის სავაჭრო სისტემაში გარიგებების დაფიქსირება შეუძლიათ მხოლოდ ბირჟის წევრი საბროკერო კომპანიების ბირჟის მიერ ტესტირება გავლილ ბროკერებს.

ბირჟის შექმნიდან სავაჭრო სესიები კვირაში მხოლოდ 2-ჯერ ტარდებოდა, სამშაბათს და ხუთშაბათს,

სავაჭრო გარიგებების ხშირად ჩატარების შესახებ წარმოქმნილი მოთხოვნის შედეგად 2007 წლის მაისიდან სავაჭრო დღეების რაოდენობა 3-მდე გაიზარდა და ისინი ორშაბათი-ოთხშაბათი-პარასკევს ტარდებოდა. 2014 წლის ნოემბრიდან, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ბირჟის სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების სიმცირის მიუხედავად, სავაჭრო სესიები ყოველ სამუშაო დღეს იმართება 11:30სთ-დან 11:40სთ-მდე (აშშ დოლარის სესიაზე) და 13:00სთ-დან 13:55სთ-მდე (სალარე სესიაზე).

ბირჟის წევრი საბროკერო კომპანიები სავაჭრო სისტემაში ოპერირებენ საკუთარი სავაჭრო ანგარიშიდან, რაც წევრის ანგარიშია ცენტრალურ დეპოზიტარში, რომელზედაც იგი ვაჭრობის უზრუნველსაყოფად გადარიცხვავს ფასიან ქაღალდებს და ფულად სახსრებს.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე დაშვების 2 საფეხური არსებობს: პირველი საფეხურია ბირჟის სავაჭრო სისტემა და მეორე საფეხურია ლისტინგი, რომელიც ემიტენტს უფრო მეტი პირობის შესრულებას ავალდებულებს. სიტყვა ლისტინგი თარგმანში ჩამონათვალს, კატალოგს ნიშნავს. საფონდო ბაზარზე კი ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც სხვადასხვა კომპონენტებით გამოირჩევიან სხვა დანარჩენი ფასიანი ქაღალდისგან და ამ კომპონენტებით უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფებიან.

ფასიანი ქაღალდის ლისტინგში მოსახვედრად საჭიროა ემიტენტის საკუთარი კაპიტალის ოდენობა იყოს მინიმუმ 500 ათასი ლარი, ემიტენტის საქმიანობის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 2 წელი, ზარალის გარეშე მუშაობის ხანგრძლივობა ბოლო 2 წლიდან უნდა იყოს არანაკლებ 1 წელი, გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა 5 ათასზე ნაკლები არ უნდა იყოს, სასესიო ფასიანი ქაღალდები - ათასზე ნაკლები და ემიტენტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება უნდა ხდებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) შესაბამისად, ბირჟაზე წლიური ბრუნა არ უნდა იყოს 100.000 ლარზე და გამოშვებულია ფასიანი ქაღალდების 5%-ზე ნაკლები.

ლისტინგს გარკვეული უპირატესობები გააჩნია. ინვესტორი ამა თუ იმ კომპანიის წარმატებას საზღვრავს იმის მიხედვით, არის თუ არა ლისტინგში დაშვებული მისი აქციები. როგორც წესი, იმ ქვეყნებში, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს შეადგენს, წარმატებული კომპანიები ცდილობენ თავიანთი აქციები ბირჟის ლისტინგში განათავსონ, მიუხედავად იმისა, რომ ბირჟა მათ ძალიან მკაცრ პირობებს უყენებს და ამავე დროს, გადასახადიც ძალიან დიდია.

საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ფასიანი ქაღალდები იყოფა არასალისტინგო და ლისტინგის ფასიანი ქაღალდებად, ხოლო თვით ლისტინგის ფასიანი ქაღალდები იყოფა ასევე 2 ჯგუფად — A კატეგორიის და B კატეგორიის ლისტინგის ფასიანი ქაღალდებად.

2016 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვ-

ბულია 123 (ასოცდასამი) ფასიანი ქალაქი, მათგან A კატეგორიის ლისტინგში დაშვებულია სს საქართველოს ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფასიანი ქალაქები, ხოლო B კატეგორიის ლისტინგში — 7 კომპანიის ფასიანი ქალაქები. ესენია: შპს ჯორჯიან ენდ უოთერ ფაუერი, სს საქართველოს სალიზინგო კომპანია, სს m² უძრავი ქონება, სს სამედიცინო კორპორაცია ევექსი, სს ნიკორა ტრეიდი, სს ლიბერთი ბანკი და სს თელიანი ველი. დანარჩენი კომპანიების ფასიანი ქალაქები დაშვებულია ვაჭრობის არასაღისტინგო სისტემაში.

დღეისათვის სს საქართველოს საფონდო ბირჟის მარეგულირებელი ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი. საფონდო ბირჟის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და კაპიტალის მინიმალურ ოდენობას განსაზღვრავს ეროვნული ბანკი. მისი წერილობითი თანხმობის გარეშე შეუძლებელია საფონდო ბირჟის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. სს საქართველოს საფონდო ბირჟას გააჩნია შემდეგი სახის ფინანსური მოთხოვნები:

1. საფონდო ბირჟის საკუთარი კაპიტალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50.000 ლარს;

2. საქართველოს ეროვნულ ბანკში წარადგენს წლიურ აუდიტირებულ ანგარიშგებას, წლიურ ანგარიშგებას საფონდო ბირჟის საქმიანობის შესახებ, მიმდინარე ანგარიშგებას.

სს საქართველოს საფონდო ბირჟა ყოველწლიურად ამზადებს და დაგეგნილ ვადებში წარადგენს ეროვნულ ბანკში აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას კალენდარული წლის დამთავრებიდან 90 დღის ვადაში როგორც მატერიალიზებული, ისე ელექტრონული ფორმით Excel-ისა და PDF-ის ფორმატში. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული უნდა იყოს ფინანსური ან-

გარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით და ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით. ფინანსური ანგარიშგების სწორად შედგენაზე პასუხისმგებლები არიან კომპანიის პასუხისმგებელი პირები. ანგარიშგებაში აღმოჩენილი შეცდომების შემთხვევაში სს საქართველოს საფონდო ბირჟას შეიძლება დაეკისროს კანონმდებლობით დადგენილი სანქციები.

ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად ბირჟა საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს:

1. კრებსით ინფორმაციას ვაჭრობის ძირითად მაჩვენებლებთან (გარიგების რაოდენობა, ფასიანი ქალაქების რაოდენობა და ლირებულება) დაკავშირებით ემიტენტების მიხედვით და საბროკერო კომპანიების მიხედვით.

2. იმ საწარმოთა ნუსხას, რომელთა ფასიანი ქალაქები დაშვებულია საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში;

3. საფონდო ბირჟის აქციონერთა (პარტნიორთა) რეესტრს;

4. იმ საწარმოთა ნუსხას, რომელთა ფასიანი ქალაქებზე ბოლო 2 წლის განმავლობაში დაიდო გარიგება საფონდო ბირჟის სავაჭრო სესიაზე ან/და დაფიქსირდა გარიგება საფონდო ბირჟაზე.

ზემოთმოცემული მონაცემები ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის (nbგ.gov.ge) და სს საქართველო საფონდო ბირჟის (გსე.გე) ოფიციალურ საიტებზე. განვიხილოთ სს საქართველოს საფონდო ბირჟის საიტზე გამოქვეყნებული მონაცემები.

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს 2000-2014 წლებში სს საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების რაოდენობისა და მოცულობების შესახებ ინფორმაციას.

№	წელი	გარიგების რაოდენობა	გარიგების მოცულობა აქციებში	გარიგების მოცულობა ლარში
1	2000	601	4,354,640	5,892,326.00
2	2001	1591	10,862,784	13,077,244.00
3	2002	1347	11,418,196	8,401,205.91
4	2003	913	7,903,864	1,735,289.77
5	2004	1094	30,510,783	46,676,153.46
6	2005	1358	32,385,702	62,362,180.83
7	2006	5553	68,421,921	169,137,895.20
8	2007	7313	90,391,568	97,041,134.84
9	2008	3178	83,149,890	256,563,026.64
10	2009	1876	2,967,620,677	98,870,479.78
11	2010	3207	1,705,577,048	101,169,649.86
12	2011	1281	102,430,267	19,344,258.42
13	2012	877	59,052,116	735,568,835.30
14	2013	513	252,679,511	52,485,729.81
15	2014	246	85,428,732	47,430,249.00

წყარო: სსბ gse.ge

№	წელი	გარიგების რაოდენობა	გარიგების მოცულობა (ობლიგაცია)	გარიგების მოცულობა აშშ დოლარში	გარიგების მოცულობა ლარში (03/11/2014 წლის ოფიციალური კურსი: 1.7542)
1	2014	1	1,000	1,016,540.00	1,783,214.47

წყარო: სსბ gse.ge

ზემოთ მოცემული ციფრები არცთუ ისე ცუდ შთაბეჭდილებას იძლევა. საფონდო ბირჟა მუშაობს. წლების მიხედვით გარიგებების რაოდენობა ცვალებადია, აქციების მოცულობა 4 მილიონიდან 3 მილიარდამდე მერყეობს, ხოლო თანხები 1 მილიონიდან — 736 მილიონამდე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადრე თუ ბირჟაზე გარიგებების დადება, სავაჭრო სისტემაში დაშვებული საბროკერო კომპანიების მეშვეობით შეიძლებოდა, საქართველოს კანონში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ 2007 წლის 31 მარტიდან ძალაში შესული ცვლილებების შემდეგ, საბროკერო კომპანიის მონაწილეობის გარეშეც გახდა შესაძლებელი. ანუ საბროკერო კომპანიის ფუნქცია შეითავსა რეგისტრატორმა. ამ ფაქტით გამარტივდა საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებების დადება. კერძოდ: ფასიანი ქაღალდების კანონის მე-18 მუხლის 1 და 5 პუნქტების შესაბამისად გარიგება საჯარო ფასიანი ქაღალდებით შესაძლებელია დაიდოს ბირჟაზე და მის გარეშე, საბროკერო კომპანიის მონაწილეობით ან მის გარეშე. ამასთან 100 ლარზე მეტი ლირებულების გარიგების შესახებ ინფორმაცია უნდა იქნას დაფიქსირებული და განსაჯაროებული საბროკერო კომპანიის ან რეგისტრატორის მეშვეობით საფონდო ბირჟაზე. 2007 წელსვე ბირჟის სავაჭრო წესებში ცვლილებები განხორციელდა და ბირჟაზე თანხის მოძრაობის გარეშეც შესაძლებელი გახდა გარიგების დაფიქსირება (ამ გარიგების ფორმაა ფიქსინგი). ამ ფაქტის გამო თანხობრივმა ბრუნვამ ბირჟის გარეშე გადაინაცვლა და საფონდო ბირჟას ძირითადად რეგისტრატორის ფუნქცია შერჩა.

ეს მონაცემები ნათლად ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ზემოთმოცემული ცხრილის მეშვეობით ნათლად ჩანს, როგორ შეიცვალა სავაჭრო მონაცემები. ძირითადი ბრუნვა ბირჟის გარეშე აღმოჩნდა. შესაბამისად უკონტროლო გახდა აქციებზე ფასების ცვლილება. ერთ დღეში შესაძლებელი გახდა ერთი დღიანი აქციის სხვადასხვა ფასში ყიდვა-გაყიდვის დაფიქსირების შესაძლებლობა.

არსებულ კანონმდებლობაში ძირითად პრობლემას წარმოადგენს გამჭვირვალობის ნაკლებობა. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების ემიტენტი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ან არ მოიპოვება, ან არასრულია. განსაკუთრებით პრობლემატური საკითხია ფასის გამჭვირვალობა. ფრაგმენტირებული ვაჭრობის პირობებში ინვესტორისთვის სირთულეს წარმოადგენს ფასის შესახებ ინფორმაციის მოძიება და შედარება, რის შედეგადაც ვაჭრობის პროცესში არ არსებობს კონკურენტუნარიანი და თანაბარი პირობები. არსებულ პირობებში დაბალია ნდობა ინვესტორთა მხრიდან, რაც, თავის მხრივ, ამცირებს მოთხოვნას ფასიანი ქაღალდებზე, ფასს და გარიგებების რაოდენობას.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებისათვის ყველაზე მთავარია ბაზარზე იყოს კონკურენცია, გამჭვირვალე ფასწარმოქმნის მექანიზმი. ამისათვის გარიგება კონკურენტულ და გამჭვირვალე გარემოში უნდა იდებოდეს. ფიქსინგის შემთხვევაში კი ეს პირობები დარღვეულია. საქართველოს საფონდო ბირჟა წარმოადგენდა ფასიანი ქაღალდებზე საბაზრო ფასის დამდგენ ორგანოს, ცვლილებების შემდეგ კი მან ეს ფუნქცია დაკარგა.

საფონდო ბირჟამ დაკარგა ასევე მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობაც, ვინაიდან ფიქსინგით გარიგებების დაფიქსირებისას ბირჟის შემოსავალი იანგარიშება

№	წელი	ბირჟაზე დადებული გარიგებების ღირებულება		ბირჟის გარეშე დადებული გარიგებების ღირებულება (ფიქსინგი)	
		ლარი	% წილი მთლიან ღირებულებაში	ლარი	% წილი მთლიან ღირებულებაში
1	2007	38,37076.00	39,544%	58,667,058.84	60,456%
2	2008	10,584,246.29	4,125%	245,978,780.35	95,875%
3	2009	3,112,576.04	3,148%	95,757,903.74	96,852%
4	2010	5,117,755.26	5,06%	96,051,894.60	94,94%
5	2011	2,503,704.60	12,94%	16,840,553.82	87,06%
6	2012	8,847,355.19	1,203%	718,488,378.85	98,797%
7	2013	530,493.11	1,01%	51,955,236.70	98,88%
8	2014	881,233.78	1,86%	46,549,015.22	98,14%

წყარო: სსბ gse.ge



გარიგების თანხიდან და შეადგენს თანხის 0.1%-ს, ხოლო სავაჭრო სისტემაში დაფიქსირებისას — მთლიანი გარიგების თანხის 0.12%. პროცენტული განსხვავება თითქოს დიდი არ ჩანს, მაგრამ წლების მიხედვით განხორციელებულ გარიგებებს თუ შეეხებოდავთ, არც მთლად ასეა საქმე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში ადრე არსებობდა ასეთი მუხლი (მუხლი 34, პუნქტი 2): საფონდო ბირჟის არც ერთ მესაკუთრე-წევრს არა აქვს უფლება, პირდაპირ ან დაკავშირებული პირების მეშვეობით ფლობდეს საფონდო ბირჟის ხმათა 10%-ზე მეტს. საფონდო ბირჟაზე იმ საბროკერო კომპანიების (მესაკუთრე-წევრების) ხმათა ჯამური რაოდენობა, რომელთა სანქსდებო კაპიტალის 50%-ზე მეტის მესაკუთრეთა სპეციალური საქმიანობაც ლიცენზირებულია ერთი და იმავე ორგანოს მიერ, გარდა სამსახურისა, არ უნდა აღემატებოდეს საფონდო ბირჟის ხმათა საერთო რაოდენობის ნახევარს.

ეს დამცავი მექანიზმი ჩადებული იყო კანონში იმისათვის, რომ განვითარების სანყის ეტაპზე მყოფი ბაზარი კონკურენტი სფეროს მმართველობის ქვეშ არ მოქცეულიყო (საბანკო სექტორი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შვილობილი საბროკერო კომპანიების მეშვეობით ოპერირებს) და ის ნორმალურად განვითარებულიყო. კონკურენტი სფეროს კი საბანკო სექტორი წარმოადგენს, რომლებიც გასცემენ სესხებს ბიზნესის დასაკრედიტებლად. 2007-2008 წლებში მოხდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელმაც მოხსნა ეს შეზღუდვა საფონდო ბირჟის საკუთრებაზე და დღემდეც გრძელდება. მივიღეთ შედეგი: საფონდო ბირჟის მესაკუთრეთა 58%-ს საქართველოს კომერციული ბანკები აკონტროლებენ, სამეთვალყურეო საბჭოც მთლიანად

კომერციული ბანკების წარმომადგენლებისგან არის დაკომპლექტებული.

გარდა ზემოთჩამოთვლილი საფონდო ბაზრის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებისა, მნიშვნელოვანი საკითხია მარეგულირებლის (საქართველოს ეროვნული ბანკი) მხრიდანაც ნაკლები ინტერესის გამოხატვა ამ სფეროს განვითარების შესახებ.

სს საქართველოს საფონდო ბირჟის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია ასევე ბირჟის აქციონერებს შორის დავა. დაპირისპირებულ მხარეებად აღმოჩნდნენ კომერციული ბანკების შვილობილი კომპანიის წარმომადგენლები და არასაბანკო სექტორი. მათი დავა სასამართლოში გრძელდება და დღემდე წარმოებაშია. მხარეებს შორის დაძაბულობა წარმოიშვა 2015 წლის 29 მაისს ჩარატებული აქციონერთა კრების შედეგად. სადავო საკითხები საქართველოს საფონდო ბირჟის ბაზაზე თბილისის საფონდო ბირჟის დაფუძნებას შეეხებოდა, რაც მისთვის აქტივების გადაცემით შემოიფარგლებოდა სალიცენზიო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად აქციონერთა 42%-ის წინააღმდეგობისა, საკითხი დადებითად იქნა გადაწყვეტილი და შედეგად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2015 წლის 3 ივლისს ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე გასცა №321 ლიცენზია სს თბილისის საფონდო ბირჟაზე.

ამჟამად საქართველოში არსებობს ორი საფონდო ბირჟა: სს საქართველოს საფონდო ბირჟა და სს თბილისის საფონდო ბირჟა. პირველზე ზემოთ ვისაუბრეთ. რაც შეეხება სს თბილისის საფონდო ბირჟას, ის საქართველოს კომერციული ბანკების 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შეიქმნა და დღეისათვის ის მხოლოდ რეგისტრირებულ კომპანიას წარმოადგენს.

ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის

აუცილებელი პირობაა ფინანსური ბაზრების განვითარება. განვითარებული ფინანსური ბაზრები ქვეყანაში არამარტო საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვის საშუალებას იძლევა, არამედ ინვესტიციების გაზრდის და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ეფექტიანი გადანაწილების შესაძლებლობასაც უზრუნველყოფს. საქართველოში ფინანსური ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია. ბიზნესისათვის ფინანსური რესურსების მოზიდვის წყაროს მხოლოდ კომერციული ბანკებიდან აღებული სესხი წარმოადგენს, ხოლო სააქციო კაპიტალით დაფინანსების წყარო ფაქტიურად გამოუყენებელია. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ ქვეყნის განვითარების სტრატეგიაშია ასახული და პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, რომელსაც ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობის მხრიდან 2014 წლის 27 ივნისს, საქართველოს

ველოს დაეკისრება მომავალი 5-7 წლის განმავლობაში კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ და მომიჯნავე კანონები ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზებაში მოიყვანოს. ჭინანსური შუამავლობის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით დაიგეგმა საფონდო ბაზრის განვითარება (ფინანსური განათლების გაუმჯობესება, გამჭვირვალობის ხელშეწყობა, საკანონმდებლო რეგულირების დახვეწა კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის, კაპიტალის ბაზრის ინფრასტრუქტურის და ინსტრუმენტების განვითარება.

14 დირექტივის ძირითადი მოთხოვნები სწორედ ვაჭრობამდე და ვაჭრობის შემდეგ გარიგებებისა და ფასის გამჭვირვალობის ზრდას, ემიტენტების ფინანსური ანგარიშგებისა და ინფორმაციის ლიობას, ინვესტორთა თანაბარ პირობებში მოქცევას უზრუნველყოფს.

ნიმო თანდაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფონდო ბირჟის“ წესდება 15.05.2008წ. (gse.ge);
2. დებულება „საქართველოს საფონდო ბირჟის“ წევრების შესახებ 10.05.2016წ. (gse.ge);
3. დებულება „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ფასიანი ქაღალდებით სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ 10.05.2016წ. (gse.ge);
4. „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ეტიკის კოდექსი 16.09.2011წ. (gse.ge);
5. „საქართველოს საფონდო ბირჟის“ დისციპლინარულ დარღვევათა საპროცესო კოდექსი 05.03.2009წ. (gse.ge);
6. „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ვაჭრობის წესები 17.02.2009წ. (gse.ge);
7. „საქართველოს საფონდო ბირჟის ინდექსი“ 10.06.2010წ. (gse.ge);
8. საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებების „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ დაფიქსირების წესი 10.05.2016წ. (gse.ge);
9. „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ბროკერის ატესტაცია 11.12.2008წ. (gse.ge);
10. საქართველოს საფონდო ბირჟის ოფიციალური გვერდი (gse.ge);
11. „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ შინაგანაწესი 10.03.2014წ. (gse.ge);
12. „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ სავაჭრო სესიების განრიგი 29.10.2014წ. (gse.ge);
13. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება № 169/01 2010 წლის 28 დეკემბერი ქ.თბილისი საფონდო ბირჟის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე (nbg.gov.ge);
14. საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ 03.09.2015წ-ს მდგ. (nbg.gov.ge);
15. საქართველო და ევროკავშირი — 2014 წლის ეკონომიკური ტენდენციები და თანამშრომლობა (parliament.ge)

HISTORY OF GEORGIAN STOCK EXCHANGE MARKET

Nino Tandashvili

DESCRIPTION

The given article gives feedback of the main links of Georgian securities market – Georgian stock exchange market, history of creation, its basic functions, purpose and part on given market, list of stockholders at the time of creation and the current leaders of this organized market. Article also gives information about negotiations made on this market. Gives brief description the reflection of legislation changes on stock market development in Georgia and what were the problems and what are probable solutions to this problems.

მინერალური რესურსებისა და საბადო მარაგების სტანდარტების მნიშვნელობა სამთო წარმოების განვითარებაში

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მინერალური რესურსის ცნება. მინერალური რესურსი წარმოადგენს უძრავი მატერიალური ქონების ფორმას, რომლის ყიდვა/გაყიდვა, გასხვისება, გაქირავება, ან მემკვიდრეობით გადაცემა არის შესაძლებელი. დღესდღეობით, საქართველოში გამოიყენება წიაღისეული რესურსების ცნება, რომელიც საბჭოთა კავშირის დროიდან არის შემორჩენილი. წიაღისეული რესურსების შესახებ საქართველოს საკანონმდებლო განმარტებებიდან გამომდინარეობს, რომ სასარგებლო წიაღისეული არის მიწის ქერქში არსებულ მინერალური წარმონაქმნები, რომლებიც გამოიყენება წარმოებაში¹. ამდენად, საქართველოში დამკვიდრებული სასარგებლო წიაღისეულის ცნება, რომელიც გამოიყენება საქართველოს საკანონმდებლო აქტებსა და სახელმწიფო სამსახურების დადგენილებებში, არ შეესაბამება თანამედროვე საბაზრო მაკროეკონომიკურ მიდგომებს.

სამთო წარმოებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიოს არაერთი ქვეყნის სახელმწიფო შემოსავლებში, ასევე სამუშაო ადგილების შექმნის და ქვეყნის ექსპორტის ზრდის მხრივ. მსოფლიოს 16 განვითარებად ქვეყანაში სახელმწიფო ექსპორტის დაახლოებით 50% სამთო სექტორს უჭირავს, ბევრ მათგანში შემოსული პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების 60-90% დაბანდება ხორციელდება სამთო წარმოებაში. ამ ტიპის პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით ფინანსდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც მნიშვნელოვანია რეგიონალური განვითარებისთვის; ასევე, იქმნება სამუშაო ადგილები და როიალტებისა და გადასახადების მეშვეობით იზრდება საბიუჯეტო შემოსავლები. მსოფლიოში მასშტაბით სამთო სექტორში ფუნქციონირებს 6000-მდე მსხვილი და საშუაო სამთო კომპანია, რომელიც 2.5 მილიონი ადამიანისთვის ქმნის სამუშაო ადგილებს².

მინერალური რესურსების იყოფა სათბობ-ენერგეტიკულ და არასათბობ-ენერგეტიკულ რესურსებად. აქედან. არასათბობ-ენერგეტიკული რესურსებს, რომლებიც სხვაგვრად, მყარ მინერალურ რესურსებად შეგვიძლია მოვიხსენიოთ, მიეკუთვნებიან: მადნეული, ქიმიური და აგროქიმიური ნედლეული, კერამიკული მასალები, ნახევრადპროდუქტები, საშენი ნედლეული, ქვანახშირი და სხვ. სათბობ-ენერგეტიკული რესურსებია: ქვანახშირი, ნავთობი, გაზი, ტორფი და სხვ.

მსოფლიოში სულ უფრო მეტ გავრცელებას პოუვებს განახლებადი ენერჯია (Renewable Energy) - ენერჯია, რომელიც მიიღება ისეთი ბუნებრივი რესურსებისგან,



როგორცაა მზის ენერჯია, ქარის ენერჯია, ჰიდროენერჯია, ბიომასის ენერჯია, ოკეანის მიმოქცევის ენერჯია, გეოთერმული ენერჯია, ანუ იმ რესურსებისგან, რომელთა მარაგიც ბუნებრივად ივსება (აქ არ იგულისხმება ბირთვული და წიაღისეული საწვავის ენერჯია).

არაგანახლებადი (მყარი) მინერალური რესურსები ამონურვადაა, მათ შორის მადნეული და სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, მისი იშვიათობა დროთა განმავლობაში იზრდება მოპოვებასთან ერთად, და შესაბამისად მისი ღირებულებაც. თუმცა, განახლებადი ენერჯიის ზემოთ აღნიშნული უპირატესობების გამო და ამ მიმართულებით მსოფლიოში არსებული პოზიტიური დინამიკის ფონზე, დიდი ალბათობაა იმისა, რომ სათბობ-ენერგეტიკული რესურსები მომავალში დაკარგავს თავის მნიშვნელობას. მეორე მხრივ, მყარი მინერალური რესურსების, რომლებიც გამოიყენება მშენებლობაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და სხვა სფეროებში, მოთხოვნა კიდევ უფრო იზრდება, რადგან მსოფლიოში მატულობს მოსახლეობის რაოდენობა და იზრდება მოხმარება³.

მინერალური რესურსები და მარაგები განისაზღვრება საბადოს ტონაჟის და ხარისხის მიხედვით.

1 საქართველოს კანონი წიაღის შესახებ, 1996 წ.

2 The role of mining in national economies (2nd edition), Mining's contribution to sustainable development 2014. International Council of Mining and Metals (ICMM) (p.6)

3 WorldWatch Institute - Global Consumption Trends Break New Records, Press Release, 2015 - <http://www.worldwatch.org/global-consumption-trends-break-new-records>

საბადოს შეფასება ხდება მისი უწყვეტობის, ფორმის და ხარისხის გარკვეული ინტერპრეტაციების და ვარაუდების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები მიახლოებითია მანამ, სანამ მთლიანი საბადო არ არის მოპოვებული, იმ შემთხვევაში, როდესაც საბადო გულდასმით არის გამოკვლეული, შესაძლებელია საბადოს ტონაჟის და ხარისხის თითქმის ზუსტი ვარაუდი.

მინერალური რესურსებისა და მარაგების ეროვნული სტანდარტების შექმნის აუცილებლობა აშკარა გახდა საერთაშორისო სკანდალური შემთხვევების შემდეგ, რომელიც გამოწვეული იყო მინერალური რესურსების ზოგიერთი კომპანიის მიერ არაზუსტი ინფორმაციის წარდგენის შედეგად. აღნიშნულის მაგალითია, გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ავსტრალიური კომპანია „პოსეიდონის“ მიერ წარდგენილი ანგარიშები, სადაც დაფიქსირებული იყო ნიკელის (1960-იან წლების ბოლოს ვიეტნამის ომის გამო ნიკელი მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა) ვითომდა აღმოჩენილი დიდი საბადო. ამ თაღლითობის შედეგად, ავსტრალიის საფონდო ბირჟაზე აღნიშნული კომპანიის ერთი აქციის ფასი 1 აშშ დოლარიდან 280 აშშ დოლარამდე გაიზარდა და კომპანიას მილიონობით დოლარის მოგება მოუტანა¹. აღსანიშნავია, ასევე კომპანია „ბრი-ექს მინერალზთან“ დაკავშირებული სკანდალი 1997 წელს, რომელიც სამთო ისტორიაში ყველაზე დიდ გაყალბებად მოინათლა. „ბრი-ექს მინერალზის“ კომპანიამ განაცხადა, რომ ბორნეოში, ინდონეზიაში აღმოაჩინა მსოფლიოში ყველაზე დიდი ოქროს საბადოს მარაგები, რასაც ადასტურებდა გაყალბებული მონაცემებით. ამ ფალსიფიკაციის გამოაშკარავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კომპანიის აქციონერებს დაახლოებით 3 მლრდ. აშშ დოლარის ზარალი მოუტანა².

წლების განმავლობაში მინერალური რესურსებისა და საბადო მარაგების კლასიფიკაციის კოდექსები და ანგარიშების შედგენის წესი განვითარდა, რაც დაეყრდნო გეოლოგიური სანდოობის ხარისხს და სამთო სექტორში ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობას. ზემოთ მოყვანილმა ფაქტებმა ნათელი გახადეს მინერალური რესურსების მარეგულირებელი მექანიზმების არაეფერქტიანობა, რომელიც გამოიყენებოდა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში. შესაბამისად, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან გაჩნდა რეფორმირების აუცილებლობა, გამომდინარე ახალი მოთხოვნილებების, რეგულაციები, ეკონომიკური ფუნქციების, საუკეთესო სამეწარმეო პრაქტიკის, კონკურენციის, საერთაშორისო პრინციპების გათვალისწინებით. შედეგად მინერალური რესურსების სფეროში წამყვანმა ქვეყნებმა შემოიღეს კლასიფიკაციის კოდექსები და ანგარიშების წარდგენის წესი. დღესდღეობით, ამ ქვეყნებში წარმოდგენილი სამთო კომპანიების ჯამური ღირებულება ბირჟებზე მთლი-

ანი ლისტინგში დაშვებული კომპანიების კაპიტალის 80% მეტს შეადგენს. ამ კოდექსებიდან აღსანიშნავია:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კლასიფიკაცია (United Nations Framework Classification for Fossil Energy and Mineral Resources);

- ავსტრალიის მინერალური რესურსების საბჭოს (MCA), ავსტრალიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტისა (The AusIMM) და ავსტრალიის გეომეტალიურებათა ინსტიტუტის (AIG) ერთიანი საბადო მარაგების კომიტეტის კოდექსი (the JORC Code), რომელიც წარმოადგენს საძიებო სამუშაოების შედეგების, მინერალური რესურსებისა და საბადო მარაგების შესახებ ანგარიშების წარდგენის პროფესიულ კოდექსს (ავსტრალიის და ახალი ზელანდიის სტანდარტი);

- კანადის სამთო ინსტიტუტი (Canadian Institute of Mining - CIM) - მინერალური რესურსების და მარაგების CIM-ის სტანდარტი - განმარტებები და გზამკვლევი (2014);

- სამხრეთ აფრიკის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი (South African Mineral Codes (SAMCODE)) - სამხრეთ აფრიკის კვლევის შედეგების კლასიფიკაციის კოდექსი, მინერალური რესურსები და მარაგები სამხრეთ აფრიკაში (SAMREC 2007);

- ვეროპის რეზერვებისა და რესურსების შესახებ ანგარიშების წარდგენის კომიტეტი (PERC asbl) - ძებნა-ძიების შედეგების, მინერალური რესურსების, მინერალური რესურსებისა და რეზერვების შესახებ ანგარიშის წარდგენის ვეროპული სტანდარტი (THE PERC REPORTING STANDARD, 2013);

- სამთო-მეტალურგიული და კვლევითი საზოგადოების მინერალური რესურსებისა და რეზერვების კომიტეტი (THE RESOURCES AND RESERVES COMMITTEE OF THE SOCIETY FOR MINING, METALLURGY, AND EXPLORATION, INC.) - ძებნა-ძიების შედეგების, მინერალური რესურსების, მინერალური რესურსებისა და რეზერვების შესახებ ანგარიშის წარდგენის სტანდარტი (The 2014 SME Guide) (აშშ-ს სტანდარტი).

შემდგომ ეტაპზე საჭირო გახდა ამ კოდექსების უნიფიკაცია. ამდენად, საერთაშორისო ინიციატივა მიმართული მინერალური რესურსებისა და საბადო რეზერვების ანგარიშების წარდგენის სტანდარტიზაცია ედო საფუძველად მეთხუთმეტე საერთაშორისო დონის კონგრესს, რომელიც მოეწყო სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტების საბჭოს (CMMI) ეგიდით 1994 წელს სამხრეთ აფრიკაში. კონგრესის მუშაოების შედეგად დაფუძნდა მინერალური მარაგების ანგარიშების წარდგენის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი (CRIRSCO - Committee for Mineral Reserves International Reporting Standards), რომელმაც შექმნა საძიებო სამუშაოების შედეგების, მინერალური რესურსებისა და საბადო რეზერვების შესახებ ანგარიშების წარდგენის საერთაშორისო მოდელი (International Reporting Template for Reporting Exploitation Results, Mineral Resources and Mineral Reserves). ამჟამად, აღნიშნული მოდელი გამოიყენება საკონსულტაციოდ ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელსაც სურს

1 <http://www.rba.gov.au/publications/confes/2003/pdf/simon.pdf>

2 <http://www.britannica.com/topic/Bre-X-Minerals-Ltd-Year-In-Review-1997>

CRIRSCO-ს სტანდარტს ეყრდნობოდეს მისი ანგარიშების წარდგენის კოდექსი.

CRIRSCO-ის საკონსულტაციო მოდელი გამოიყენება საბადოების ძირითადი ასპექტების განსაზღვრისათვის, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის კლასიფიკაციის კოდექსები სისტემებშია ასახული. ამ კოდექსების იმპლემენტაცია ადგილობრივი იურისდიქციების პრეოგატივია. თუმცა, ბოლო პერიოდში კლასიფიკაციის კოდექსები შევიდა ეროვნული ბირჟების სარეგისტრაციო წესებში, რათა მომხდარიყო საჯარო სამთო და ენერგეტიკულ სფეროებში მოღვაწე კომპანიების მიერ მინერალური რესურსებისა და მარაგების შესახებ ანგარიშის წარმოდგენა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რომელიც წაყენებული აქვთ მინერალური რესურსებისა და მარაგების მფლობელ კომპანიებს, რომლებსაც გამოაქვთ ბირჟებზე საკუთარი აქტივები გასაყიდად, არის კომპეტენტური პირის მიერ მომზადებული ანგარიში. მაგალითად, სამთო კომპანიის მიერ აქტივები ავსტრალიის საფონდო ბირჟაზე განსათავსებლად (Australian Securities Exchange - ASX) საჭიროა, რომ კომპეტენტურმა პირმა მოამზადოს ანგარიში, შედგენილი JORC-ის კოდექსის მიხედვით.

CRIRSCO-ს საკონსულტაციო მოდელის გამოიყენებისა და ფუნქციონირების წარმართველი მთავარი პრინციპებია გამჭვირვალობა, რელევანტურობა, კომპეტენტურობა.

- გამჭვირვალობის პრინციპი მოითხოვს, რომ საჯარო ანგარიში მკითხველმა მიიღოს საკმარისი რაოდენობის ნათელი და არაორაზროვანი ინფორმაცია, რაც მას საშუალებას მისცემს გაიგოს ანგარიში და არ იქნეს შეცდომაში შეყვანილი მასში მოყვანილი ინფორმაციის ან არსებითი ინფორმაციის არ ქონით, რომელიც ცნობილია კომპეტენტური პირისთვის;

- რელევანტურობის პრინციპი მოითხოვს, რომ საჯარო ანგარიშში შეიცავდეს ინვესტორებისთვის და მათი მრჩეველებისთვის საჭირო მთელ რელევანტურ ინფორმაციას, რაც მათ საშუალებას მისცემთ გამოიტანონ გააზრებული და რაციონალური დასკვნები ძებნა-ძიების შედეგებზე, მინერალური რესურსებისა და საბადო რეზერვების თაობაზე;

- კომპეტენტურობის პრინციპი მოითხოვს, რომ საჯარო ანგარიში ეფუძნებოდეს შრომას, შექმნილს შესაფერისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირების მიერ, რომლებიც შეზღუდულნი არიან პროფესიული ეთიკის კოდექსით (კომპეტენტური პირი).

მინერალური რესურსებისა და რეზერვების კლასიფიკაციის სქემა და ანგარიშისთვის წარსადგენი ძირითადი მასალა უნდა მოამზადოს კომპეტენტურმა პირმა. კომპეტენტური პირში იგულისხმება სამთო წარმოების პროფესიონალი, რომელიც განეწიანებულია აღიარებულ პროფესიულ ორგანიზაციაში. კომპეტენტურ პირს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 5 წლიანი რელევანტური გამოცდილება სამთო კვლევების, პროექტების შეფასების, საბადოს განვითარებისა და ოპერაციების კუთხით. კომპეტენტური პირი ინფორმირებული უნდა იყოს საბადოსთან დაკავშირებული ტექნიკური ინფორმაციის შესახებ, რომელიც ეხება

საბადოს კვლევებს, სინჯების ადეკვატურობას, შეუსაბამობებს და შეზღუდვებს, პროცედურულ გეგმებს, საბადოში მინერალების შემცველობის რაოდენობის, ხარისხის, რწმენის ხარისხის, კატეგორიზაციის და ეკონომიკურ სტატუსს (წინასაპროექტო კვლევა, მიზანშეწონილობის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი). საბოლოო, ჯამში კომპეტენტური პირი არის პასუხისმგებელი პირი ამ კვლევების სიზუსტესა და სრულფასოვნებაზე.

მინერალური რესურსების ადეკვატურობა შეიძლება განიმარტოს როგორც საბადო, რომელსაც გააჩნია დამახასიათებელი ეკონომიკური ღირებულებები და რწმენის ხარისხის შესაბამისად შეიძლება მოთავსდეს ქვემოთ მოცემული კატეგორიებიდან ერთ-ერთში¹:

- **პროგნოზული რესურსები (Inferred Resources)** - განისაზღვრება ტონაჟით, ხარისხით და მინერალების შემცველობით. ის ფასდება რწმენის დაბალი ხარისხით, რადგან არ არსებობს საკმარისი გეოლოგიური მონაცემები რესურსის უწყვეტობის დასადასტურებლად;

- **მითითებული რესურსები (Indicated Resources)** - განისაზღვრება ტონაჟით, სიმჭიდროვით, ფორმით, ფიზიკური მახასიათებლებით, ხარისხით და მინერალების შემცველობით. ის შეიძლება შეფასდეს რწმენის საშუალო ხარისხის მქონედ, რადგან მონაცემები არასაკმარისია, რათა დადასტურდეს რესურსის უწყვეტობა, მაგრამ საკმარისია იქ, სადაც შეიძლება ვარაუდი მინერალიზაციის უწყვეტობის შესახებ;

- **გაზომვადი რესურსები (Measured Resources)** - განისაზღვრება ტონაჟით, სიმჭიდროვით, ფორმით, ფიზიკური მახასიათებლებით, ხარისხით და მინერალების შემცველობით. ის შეიძლება შეფასდეს რწმენის მაღალი ხარისხით, რადგან არსებობს საკმარისი ხელმისაწვდომი მონაცემები, რომლებიც ადასტურდებენ მინერალიზაციის უწყვეტობას.

პროგნოზული რესურსები ასახავს სიტუაციას, როდესაც მინერალების კონცენტრაცია ან წარმოშობა განსაზღვრულია, ასევე ჩატარებულია შეზღუდული რაოდენობით გაზომვითი სამუშაოები და აღებულია სინჯები. თუმცა, მონაცემები არასაკმარისია, რათა მოხდეს გეოლოგიური ან ხარისხის უწყვეტობის სანდოობის განსაზღვრა. ჩვეულებრივ, კვლევების გაგრძელებასთან ერთად მოსალოდნელია, რომ პროგნოზული რესურსების კატეგორიის განახლება მოხდება მითითებულ რესურსების კატეგორიაზე, მაგრამ ასეთი განახლება ყოველთვის არ ხდება, გამომდინარე პროგნოზული რესურსების გაურკვეველი ხასიათისგან. პროგნოზული რესურსების დროს რწმენის ხარისხი არასაკმარისია, რათა მოხდეს ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების საფუძველზე დეტალური დაგეგმვა. ამ მიზეზიდან გამომდინარე პროგნოზულ რესურსებსა და საბადო მარაგებს შორის არ არსებობს პირდაპირი კავშირი.

¹ International Reporting Template, Committee for Mineral Reserves International Reporting Standards (CRIRSCO), November 2013 (p.12)

მითითებული რესურსების შემთხვევაში გეოლოგიური მტკიცებულება გამომდინარეობს ადეკვატურად დეტალური და სანდო კვლევების, სინჯების და შემომნების საფუძველზე, რაც საკმარისია გეოლოგიური და ხარისხის უწყვეტობის სავარაუდოდ. მითითებული რესურსებს გააჩნიათ რწმენის დაბალი ხარისხი გაზომვად რესურსებთან შედარებით და მისი გადაყვანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სავარაუდო მარაგებად. მინერალიზაციის კლასიფიკაცია მითითებული რესურსად შეიძლება მოხდეს, როდესაც მონაცემების ბუნება, ხარისხი, რაოდენობა და განაწილება იძლევა საშუალებას გეოლოგიური მოცემულობის და მინერალიზაციის უწყვეტობის სანდოობის სავარაუდოდ. სანდოობის დონე კი საკმარისია საბადოსთან მიმართებაში ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების გამოსაყენებლად და ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად.

გაზომვადი რესურსების შემთხვევაში გეოლოგიური მტკიცებულება ეფუძნება სანდო კვლევებს, სინჯებსა და შემომნებს, რაც ადასტურებს გეოლოგიურ და ხარისხის უწყვეტობას. გაზომვადი მინერალური რესურსს გააჩნია რწმენის უფრო მაღალი ხარისხი ვიდრე მითითებულ და პროგნოზულ რესურსებს. გაზომვადი რესურსების გადაყვანა შეიძლება დადასტურებული ან შესაძლო მარაგების კატეგორიაში. მინერალიზაციის კლასიფიკაცია გაზომვად რესურსად შეიძლება მოხდეს, როდესაც მონაცემების ბუნება, ხარისხი, რაოდენობა და განაწილება არ იძლევა გონივრული ეჭვის საფუძველს. მინერალური რესურსის კატეგორიას ადგენს კომპეტენტური პირი. მინერალიზაციის ტონაჟის და ხარისხის განსაზღვრა შესაძლებელია მცირე ცდომილებით და შეფასებიდან მცირე გადახრა ვერ შეცვლის მისი ეკონომიკური პოტენციალის რელევანტურობას. აღნიშნული კატეგორია იძლევა რწმენის მაღალ ხარისხსა და საბადო მინერალური რესურსების გეოლოგიურ გაგებას.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს გააჩნია თუ არა რესურსის საბოლოო მოპოვებას ეკონომიკური სარგებლიანობის პერსპექტივები, რათა მოხდეს დაბალხარისხიანი მინერალიზაციის მქონე სასარგებლო ნიაღისეულის გამორიცხვა. ამგვარად, არსებობს მინიმალური ხარისხიანობის დონე, რომლის ქვემოთაც ნიაღისეულის მოპოვება არ იქნება ეკონომიკურად გამართლებული.

კომპანიებმა შეიძლება განაცხადი გააკეთონ სასარგებლო ნიაღისეულის ზომის და ტიპის შესასწავლად. თუმცა, კვლევის ობიექტების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია არ უნდა იძლეოდეს არასწორი ინტერპრეტაციების საშუალებას რესურსებისა და მარაგების შეფასების საკითხში.

მინერალური მარაგები წარმოადგენს გაზომვადი ან მითითებული რესურსების ეკონომიკურად მოპოვებად ნაწილს. მინერალური რესურსების მოპოვების პროცესში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზედმეტი ქანები და გაუთვალისწინებელი ხარჯების არსებობა. სათანადო შეფასებისთვის საჭიროა მინიმუმ მიზანშეწონილობის წინასწარი კვლევის ჩატარე-

ბა (Pre-Feasibility Study), სადაც გათვალისწინებენ იქნება სასარგებლო ნიაღისეულის მოპოვებით, სამთო-მეტალურგიულ, ეკონომიკურ, მარკეტინგულ, საკანონმდებლო, გარემოსდაცვით, სოციალურ, სახელმწიფოებრივ და სხვა ცვლად ფაქტორებს. ამ კვლევებმა აჩვენეს, რომ შესაძლებელია მოპოვებითი სამუშაოების ჩატარების დროის მიახლოებით განსაზღვრა. აქედან გამომდინარე ჩნდება უფრო მკაცრი ჩარჩოები სასარგებლო ნიაღისეულის ეკონომიკური მოპოვების ხანგრძლივობის შესახებ.

მინერალური მარაგები იყოფა ორ კატეგორიად¹:

• **სავარაუდო მარაგები (Probable) - მითითებული რესურსების ეკონომიკურად მოპოვებადი ნაწილია ან ზოგიერთ შემთხვევაში გაზომვადი მინერალური რესურსი (რწმენის ხარისხი შეესაბამება მითითებულ კატეგორიებს) აქვე უნდა იყოს ჩართული დეკონცენტრირებული რესურსები და ნებართვები გარკვეული დანაკარგების არსებობაზე, რაც მოპოვებით სამუშაოებს გაამართლებს;**

• **დადასტურებული მარაგები (Proved) - გაზომვადი მინერალური რესურსების ეკონომიკურად მოპოვებადი ნაწილი (რწმენის ხარისხი შეესაბამება მითითებულ კატეგორიებს). დადასტურებული მარაგები გეოლოგიური უწყვეტობის თვალსაზრისით რწმენის ყველაზე მაღალი ხარისხით გამოირჩევა. თუმცა, მინერალიზაციის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ საბადოს ზოგიერთ უბანში დადასტურებული მარაგები არამიღწევადა.**


მარაგების შეფასების მიზნებიდან გამომდინარე სასურველია სავარაუდო ან დადასტურებული მარაგების გამოყენება, მაგრამ რესურსების წყარო შეიძლება შეიცავდეს მნიშვნელოვან ღირებულებას კომპანიისთვის. ბირჟაზე დარეგისტრირებულ ბევრ კომპანიას, რომლებიც ფლობენ მხოლოდ რესურსებს, შეიძლება გააჩნდეთ მნიშვნელოვანი საბაზრო ღირებულება გამომდინარე იქიდან, რომ რესურსები დროთა განმავლობაში შეიძლება გადაიქცეს მარაგებად და საბოლოო ჯამში გახდეს მოპოვებადი. სირთულე, რომელიც დგას ინვესტორის ან შემფასებლის წინაშე არის ის თუ რესურსის რა პროპორცია გადაიქცევა მარაგად და რა დამატებითი რესურსები შეიძლება გამოჩნდეს ნიაღის შესწავლის გაგრძელების შედეგად.

ბირჟაზე დარეგისტრირებულ კომპანიებს მოეთხოვებათ თავიანთი მარაგების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება კლასიფიკაციის სტანდარტების შესაბამისად. კომპანიის ანგარიშებში ნათლად და დეტალურად უნდა იყოს ნაჩვენები სხვადასხვა კატეგორიის რესურსებისა და მარაგების შესახებ დეტალები, რათა თავიდან იქნას სხვადასხვა კატეგორიებს შორის აღრევა. ინვესტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ სრულად ესმით კომპანიის რესურსებისა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მათი მარაგების ანგარიშების წარდგენის ფორმები.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მარაგად

1 International Reporting Template, Committee for Mineral Reserves International Reporting Standards (CRIRSCO), November 2013 (p.17)

მინერალური რესურსებისა და საბადო მარაგების კლასიფიკაცია
(მინერალური მარაგების ანგარიშების წარდგენის საერთაშორისო სტანდარტი (CRIRSCO))



წყარო: International Reporting Template, Committee for Mineral Reserves International Reporting Standards (CRIRSCO), November 2013 (page 6)

განიხილება მინერალური რესურსების მხოლოდ ის რაოდენობა, რომელიც პროექტირებადი მალაროს კონტურში მდებარეობს და რომლის მოპოვება ნავარაუდევია სამთო პროექტით. დედამიწის ქერქში არსებული სასარგებლო წიაღისეულის სხეულის მასა წარმოადგენს რესურსს, ხოლო მასში გავრცელებული სასარგებლო კომპონენტის რაოდენობა - ინვენტარს (Inventory).

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არც ერთი სამთო კომპანია სამთო პროექტებში და მალაროების მშენებლობაში არ აბანდებს საკუთარ კაპიტალს. ინვესტიციები ძირითადად ხორციელდება ფასიანი ქაღალდების პირველადი განთავსება (Initial Public Offer - IPO), ობლიგაციების, ან კიდევ იაფი საბანკო კრედიტების მობილიზაციის გზით. ასეთი საერთაშორისო სახსრების მოძიებაში (Fund Raising) ქართული კომპანიები ვერ ღებულობენ მონაწილეობას. სამთო კომპანიების ფასიანი ქაღალდების პირველადი ემისიის უფლებას, ფასიანი ქაღალდების პაკეტების მოცულობასა და აქციების ნომინალურ ღირებულებას კომპანიებს უდგენს საერთაშორისო ბირჟები. მცირე და საშუალო სამთო კომპანიებისთვის არსებობს ლონდონის ფასიანი ქაღალდების ალტერნატიული ბირჟა (Alternative Investment Market - AIM), სადაც ეს კომპანიები უნდა იყვნენ რეგისტრირებულნი. ასეთი რეგისტრაციის გარეშე იაფი საერთაშორისო საბანკო კრედიტების მოძიება შეუძლებელია. რეგისტრაციისთვის წინაპირობებში აუცილებელად აღსანიშნავია.

რუსეთში არსებული მინერალური რესურსებისა

და მარაგების კლასიფიკაცია პრაქტიკულად არ შეცვლილა გეგმიური ეკონომიკის შემდგომ. ერთადერთი მნიშვნელოვანი გადადგმული ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ 2011 წელს რუსეთი მიღებულ იქნა მინერალური მარაგების ანგარიშების წარდგენის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (CRIRSCO) წევრ ქვეყნად. შედეგად, CRIRSCO საბადო ანგარიშების წარდგენის სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით შეიქმნა რუსეთის საბადო მარაგებისა და რესურსების კოდექსი (NAEN Code).

მიუხედავად იმისა, რომ NAEN კოდექსი აღიარა საერთაშორისო საზოგადოებამ, ის რუსეთში ნაკლებად მოთხოვნადია, რადგან აღნიშნული კოდექსის მიხედვით სახელმწიფო ექსპერტიზას უპირატესობა ენიჭება დამოუკიდებელ ექსპერტიზასთან შედარებით. NAEN-ის კოდექსის თავდაპირველად საჭირო სახელმწიფო ექსპერტიზის გავლა და მხოლოდ ამის შემდეგ საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული დამოუკიდებელი ექსპერტიზის. ამდენად, ალბათ, იგულისხმება რომ ეს ორი შეფასება ერთმანეთს დაემთხვევა, მაგრამ რეალობა ამის საწინააღმდეგოს მიანიშნებს. ამის მაგალითია, რუსეთში არსებული ერთ-ერთი წამყვანი ოქროსმოპოვებელი კომპანიის შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო ბალანსზე ასახული კომპანიის აქტივები ორჯერ მეტი აღმოჩნდა დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ შეფასებულზე.

რუსეთის სასარგებლო წიაღისეული მარაგების სახელმწიფო კომისიის (государственной запасов полезных ископаемых - ГКЗ) სტანდარტების მი-

ხედვით საბადო მარაგების შეფასება უნდა განხორციელდეს მექანიკურ პოლიგლარული მეთოდით (ორ განზომილებიანი), რაც ტრადიციული დათვლის მექანიზმებს ემყარება, მაშინ როდესაც CRIRSCO -ს სტანდარტი ბლოკებად მოდელირებას (სამ განზომილებიანი) ეფუძნება, რომელიც კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით კეთდება. ეს უკანასკნელი მეთოდი გამოიყენება ფაქტიურად მთელს მსოფლიოში, თუ არ ჩავთვლით რუსეთსა და საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ყოფილ ქვეყანას. სამ განზომილებიანი მოდელირება იძლევა საშუალებას მოხდეს რესურსის გამოყოფა ქანებისგან და საბადოს მარაგების, ანუ საბადოს ეკონომიკურად რელევანტური ნაწილის დათვლას, რომელიც მიიღება საბადოს განვითარების, ეკოლოგიური, ეკონომიკური და სხვა ცვლადი ფაქტორებზე დანახარჯების გათვალისწინებით.

შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით რუსეთში ყველაზე რთული ადმინისტრაციული ბარიერებია მინერალური რესურსების მომპოვებელი კომპანიებისთვის, რომელმაც ექვსი ექსპერტიზა უნდა გაიაროს და ამისთვის მინიმუმ ორი წლით მეტი დრო დაკარგოს ვიდრე ეს ხდება საზღვარგარეთ.

ზემოაღნიშნულიდან, გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში არსებული სახელმწიფო სტანდარტები, კლასიფიკაცია და სასარგებლო წიაღისეულის კანონი წარმოადგენს საბჭოთა მემკვიდრეობის ნაწილს, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მიდგომებს და გაუგებარია უცხოელი ინვესტორისთვის.

საქართველოში მოქმედი კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც საბჭოთა კავშირის სისტემიდან შემორჩენილი მექანიზმია საბჭოური, მარაგები საბადოების მიხედვით იყოფა A, B, C₁, C₂ და P (P1, P2, P3) კატეგორიებად¹:

- **A კატეგორიის სასარგებლო წიაღისეულის მარაგი** – დეტალურად დაძიებული, ასათვისებლად სრულყოფილად მომზადებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგი, რომლის კოეფიციენტი შეადგენს 1-ს;

- **B კატეგორიის სასარგებლო წიაღისეულის მარაგი** – სასარგებლო წიაღისეულის მარაგი, რომლის განლაგების პირობების ძირითადი მახასიათებლები შესწავლილია და მისი კოეფიციენტი შეადგენს 0,95-ს;

- **C¹ კატეგორიის სასარგებლო წიაღისეულის მარაგი** – სასარგებლო წიაღისეულის მარაგი, რომლის განლაგების პირობები, ფორმა, აღნაგობა და ა.შ. განსაზღვრულია მიახლოებით და მისი კოეფიციენტი შეადგენს 0,7-ს;

- **C² კატეგორიის სასარგებლო წიაღისეულის მარაგი** – წინასწარ შეფასებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგი, რომლის კონტური პირობითად გადის გეოლოგიურად ხელსაყრელი სტრუქტურების ან სამთო ქანების კომპლექსების უბნებზე და მისი კოეფიციენტი შეადგენს 0,6-ს;

- **P კატეგორიის სასარგებლო წიაღისეულის მარაგი** – სასარგებლო წიაღისეულის პროგნოზული რესურსები დასაბუთებულობის დონის (P1, P2, P3) მიხედვით.

1 ბრძანება №1-1/480, 2008 წლის 4 აპრილი, მუხლი 1

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული დასავლური მარაგების და რესურსების კლასიფიკაციების მიხედვით, მინერალური რესურსები იყოფა - გაზომილ, მითითებულ და პროგნოზულ რესურსებად, ხოლო მარაგები - დადასტურებულ და სავარაუდო მარაგებად. ამდენად, საქართველოს მინერალური რესურსებისა და რეზერვების კლასიფიკაცია, რომელიც საბჭოთა კავშირის დროინდელი სქემაა, არ არის ადეკვატური საერთაშორისო კლასიფიკაციის ნორმებისგან, და არ აძლევს საშუალებას სამთო კომპანიებს მოხვდნენ საფონდო ბირჟებზე.

საერთაშორისო სტანდარტები რესურსების დათვლის აბსოლუტურად განსხვავებულ მეთოდიკაზეა დაფუძნებული, განსხვავებით საქართველოში დამკვიდრებული მეთოდიკისგან. შესაბამისად, მინერალიზებული სხეულის მთლიანი სამგანზომილებიანი სივრცე იყოფა ელემენტარული ბლოკების სერიად. თითოეული ბლოკის მოცულობა დაახლოებით პროექტირებადი მალაროს დღიური მწარმოებლურობის ტოლია. თითოეულ ბლოკში ითვლება ამოღებადი მინერალური კომპონენტის რაოდენობა. თუ მისი სარეალიზაციო ფასი ბლოკის დამუშავების, გამდიდრებისა და ნედლეულის რეალიზაციის თვითღირებულებას აღემატება, ბლოკი არაეკონომიკურად ჩაითვლება, სხვა შემთხვევაში - შემცველ ქანად. რასაკვირველია, საბადოს კონტურში მრავალი ასეული ათასი (თუ არა მილიონი) ასეთი ბლოკი არსებობს და რესურსების შეფასება კომპიუტერული სისტემების გამოყენებით ხდება².

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სასარგებლო წიაღისეულის (ნამარხის) ცნება საბჭოთა კავშირის პერიოდში რესურსებს ვინროდ განიხილავდა და მხოლოდ პირველად ნედლეულს გამოხატავდა, რომელიც გამოიყენებოდა სტატეგიული ან ადგილობრივი მნიშვნელობის მერწველობის დარგებისთვის - „დედამინის ქერქში არსებული არაორგანული და ორგანული მინერალური წარმონაქმნები, რომლებსაც იყენებენ სახალხო მეურნეობაში“³. დღეისათვის, აღნიშნული მიდგომა მოძველებულია და მის ნაცვლად დასავლეთის ქვეყნებში, მინერალური რესურსის ცნებაა მიღებული, რომელიც უფრო ფართო ცნებაა და გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობაში. მინერალური რესურსი წარმოადგენს უძრავი მატერიალური ქონების ფორმას, რომლის ყიდვა/გაყიდვა, გასხვისება, გაქირავება, ან მემკვიდრეობით გადაცემა შეიძლება.

„დღეისათვის, საქართველოში არ არსებობს სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოთვლის ანგარიშის შედგენის წესი და ეროვნული ინსტრუქცია“⁴, ხოლო მინერალური რესურსების კლასიფიკაცია ეყრდნობა მოძველებულ, საბჭოთა კავშირის დრო-

2 GEORGIA'S SOCIAL & ECONOMIC DEVELOPMENT PROGRAM, A. TVALCHRELIDZE, A. SILAGADZE, G. KES HELASHVILI, AND D. GEGIA, Tbilisi 2011, p.142

3 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 9. სასარგებლო წიაღისეული, გვ.117

4 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ანგარიში 2013-2014, გვ.26

ნდელ კატეგორიებს. ამდენად, უცხოელი ინვესტორებისათვის გაუგებარია კლასიფიკაციის კატეგორიები და სტანდარტები, რომლებსაც იყენებენ ქართული კომპანიები. ამას ისიც ართულებს, რომ არ არსებობს ანგარიშების შედგენის წესი, რომელიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს საზღვრეგარეთის ქვეყნებში და რომელსაც აქვს კოდექსის სახე. მაგალითად, ავსტრალიაში არსებობს ერთიანი საბადო მარაგების კომიტეტის კოდექსი (the JORC Code), რომლის მიხედვითაც კომპანიებს ევალებათ მინერალური რესურსებისა და საბადო მარაგების კლასიფიკაცია და ანგარიშების წარდგენა, რომელიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ავსტრალიის საფონდო ბირჟაზე (Australian Stock Exchange - ASX) დასაშვებად.

2013 წელს ქართულ კომპანია „არემჯი გრუფს“ (Rich Metals Group) (სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ და შპს „კვარციტის“ ახალი სახელწოდება), რომელიც ბოლნისის რაიონში სპილენძისა (JSC RMG Copper და ოქროს (LTD RMG Gold) სამთო მოპოვებითი სამუშაოებით არის დაკავებული, სალიცენზიო პირობებში საქართველოს ბუნებრივი რესურსების სააგენტომ სწორედ JORC-ის კოდექსის სტანდარტებით მოსთხოვა ძვირფასი მეტალების მარაგების ანგარიშის წარდგენა. ამ ანგარიშების შედგენა კომპანიამ საერთაშორისოდ აღიარებულ აუდიტორულ-საკონსულტაციო ფირმას Wardell Armstrong-ს დაუკვეთა. შედეგად, კომპანიას, რომელიც საბჭოური GKZ (მარაგების დათვლის რუსული სისტემა) კლასიფიკაციის მიხედვით ახდენდა მინერალური რესურსებისა და მარაგების დათვლასა და შეფასებას, მოუწია დამატებითი ხარჯების განწევა. ეს მეტყველებს საქართველოს შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების ორმაგ სტანდარტებზე და ქვეყანაში ერთიანი მარაგების შედგენის წესის არქონის გამო არსებულ სირთულეებზე.

ამგვარად, მინერალური რესურსებისადმი მსო-

ფლიოში გამოიყენება თანამედროვე მაკროეკონომიკური მიდგომა, რასაც ფეხი უნდა აუწყოს საქართველოს კანონდებლობამ და პირველ რიგში მოხდეს სასარგებლო წიაღისეული რესურსის ცნების ჩანაცვლება მინერალური რესურსების ცნებით.

იმისათვის, რომ საქართველოს მინერალური რესურსებისა და საბადო მარაგების აღქმა და მიმზიდველობა გაიზარდოს უცხოელი ინვესტორებისათვის საჭიროა შეიქმნას ქართული სტანდარტი/კოდექსი, რომელიც დაეფუძნება CRIRSCO-ს (the Committee for Mineral Reserves International Reporting Standards), მინერალური მარაგების საერთაშორისო ანგარიშების წარდგენის სტანდარტს. ანგარიშების წარდგენის საერთაშორისო სტანდარტი (CRIRSCO) ეფუძნება გამჭვირვალობის, რელევანტურობისა და კომპეტენტურობის პრინციპებს. აღნიშნული სტანდარტის პრინციპებსა და კლასიფიკაციის წესის მიხედვითაა შედგენილი სამთო სექტორში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მინერალური რესურსების კოდექსები, მათ შორის ავსტრალიაში (JORC), კანადაში (CIM), ევროპაში (PERC), სამხრეთ აფრიკა (SAMREC), აშშ (SME) და სხვა.

ამდენად, საქართველოს ანგარიშის წარდგენის სტანდარტის შექმნა, რომელიც დაეფუძნება CRIRSCO-ს საკონსულტაციო მოდელს, შესაძლებლობას მოგვცემს დაენერგოთ საერთაშორისო სტანდარტები და კატეგორიები, რომელიც გასაგები იქნება უცხოეული ინვესტორისთვის და ქართული კომპანიების საერთაშორისო ბირჟებზე გასვლის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, საქართველოს მინერალური რესურსების მართვის პოლიტიკა განახლებას საჭიროებს, რათა მოხდეს ქართული სამთო კომპანიებისა და ზოგადად, ამ სექტორის ინტეგრაცია საერთაშორისო ვაჭრობაში.

როდენ მემარნიშვილი

THE IMPORTANCE OF STANDARDS IN MINERAL RESOURCES AND ORE RESERVES IN DEVELOPMENT OF MINING

Roden Memarnishvili

SUMMARY

The purpose of the article is to analyse classification and standards of solid mineral resources, to explore the importance of creating Georgian Code, based on international standards and principles, in promoting economic development of the country.

First part of the article covers the role of classification and standard of solid mineral resources and reserves in mining sector. In the second part, an introduction is give on Mineral Reserves International Reporting Standards (CRIRSCO), which serves as an international reporting template for mineral codes of developed countries. The article, also, explores Russian and Georgian classifications of mineral resources and economic policy in this field, which, in fact, have not changed much since the Soviet period. Thus, integration of mining sector of Georgia into market economy is complicated.

Standards and principles of solid mineral resources, as well as recommendations, which should create necessary investment climate in mining sector and promote economic development of the country are summarized in the conclusion at the end of the article.

სსოვნა ნათელი

**ღვანულადი მესნიერი და კედაბობი,
ღირსეული პირივნება**

(პროფ. გიორგი მშვილდაძე - 90)

თვალსაჩინო ქართველ მკვლევარს, ამადგარ კედაბობს, მეცნიერების ნიჭიერ ორგანიზატორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი მშვილდაძეს 90 წელი შეუსრულდებოდა. იგი იმ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნის, რომლებმაც ნათელი კვალი დატოვეს ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და მაღალკვალიფიციური ეკონომისტების მომზადების საქმეში.

გიორგი მშვილდაძე დაიბადა 1927 წლის 22 მარტს ბაღდათის რაიონის სოფ. მეორე ობჩაში. 1944 წელს, საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, ასევე პარალელურად სწავლობდა მოსკოვის დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალში. ორივე სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1949 წელს, მთავრობის სპეციალური გადანაცვებით, იგი დაინიშნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილედ მთავარ კონტროლიორ-რევიზორად.

გიორგი მშვილდაძის უპირველესი მისწრაფება სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა იყო. სწორედ ამ მიზნით იგი ჩაირიცხა 1950 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში, 1954 წელს კი წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად და მალე დოცენტის წოდებაც მიენიჭა.

წლების განმავლობაში ბატონი გიორგი მუშაობდა პარტიულ თანამდებობებზე: საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის ლექტორად, ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, კულტურის და სკოლების განყოფილების ინსტრუქტორად, სექტორის გამგედ. 1961 წლიდან გ. მშვილდაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზეა. 1975 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად და ერთი წლის შემდეგ მიენიჭა პროფესორის



წოდება. პროფ. გ. მშვილდაძე 1978-1985 წლებში ხელმძღვანელობდა თსუ-ის პოლიტიკური ეკონომიის კათედრას. წლების მანძილზე იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელი ფაკულტეტის დეკანი. უნივერსიტეტში მოღვაწეობასთან ერთად იგი წარმატებით საქმიანობდა სხვადასხვა სახელმწიფო და კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებში კათედრის გამგის, პროფესორ-კონსულტანტის, რექტორის მრჩეველის და სხვ. თანამდებობებზე. 1995-1996 წლებში პროფ. გიორგი მშვილდაძე აირჩიეს ორი დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად - აკადემიკოსად.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე მას გამოქვეყნებული აქვს ასამდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 10-ზე მეტი ცალკე ნივანდაა გამოცემული. პროფ. გ. მშვილდაძის სამეცნიერო კვლევას ძირითადად ორი მიმართულება ჰქონდა: დარგობრივი ეკონომიკის პრობლემების შესწავლა და ეკონომიკური თეორიის საკითხების დამუშავება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერის წვლილი საქართველოს ეროვნული

№1 იანვარი-მარტი 2017

სიმდიდრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის - ძირითადი ფონდების (კაპიტალის) კვლავწარმოებისა და ეფექტიანი გამოყენების კანონზომიერებათა კომპლექსური შესწავლის საქმეში, რომელსაც მან სადოქტორო დისერტაცია, 5 მონოგრაფია, ათეულობით სამეცნიერო სტატია მიუძღვნა. ეკონომიკური თეორიის სფეროში პროფ. გ. მშვილდაძეს ეკუთვნის წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიკური კანონის შინაარსის ორიგინალური ინტერპრეტაცია და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, როგორც ეკონომიკური კანონის საინტერესო დასაბუთება.

აღსანიშნავია ბატონი გიორგის მიერ შემუშავებული პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც შეეხებოდა ქ. ჭიათურის მარგანეცის ნედლეულის სახით გატანის აკრძალვას და ჭიათურის ზონაში ღარიბი ქალების გადასამუშავებელი მეორე ქარხნის აშენების ეკონომიკური ეფექტიანობის დასაბუთებას, საქართველოს ელექტროენერგეტიკის მხოლოდ ჰიდრორესურსების გამოყენებით განვითარების მიზანშეწონილობას და სხვა.

პედაგოგიური მოღვაწეობის თითქმის 50 წლის მანძილზე იგი აქტიურად იყო ჩაბმული ასეულობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტის

მომზადებაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცული იქნა 20-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში პროფ. გიორგი მშვილდაძე იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სხვადასხვა საბჭოს აქტიური წევრი.

ბატონი გიორგი ყოველთვის გამოირჩეოდა პრინციპულობითა და ობიექტურობით. ვერ ეგუებოდა ადამიანების უპასუხისმგებლობას, სიზარმაცეს, მოუწესრიგებლობას; იყო სიმართლის პირში მთქმელი ადამიანი, რაც მისი შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობდა და არასდროს უღალატია თავისი პრინციპებისთვის.

პროფ. გიორგი მშვილდაძის ნაყოფიერი მოღვაწეობა უწვევსიტეტში არაერთხელ აღნიშნულა ხელმძღვანელობის მიერ: დაჯილდოებული იყო ივ. ჯავახიშვილის ორი მედლით, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მიღებული ჰქონდა ღირსების ორდენი და სხვა.

ჩვენი მასწავლებლის, უფროსი კოლეგის და მეგობრის, თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტის, ნიჭიერი მეცნიერის, ახალგაზრდების აღმზრდელის პროფ. გიორგი მშვილდაძის სახელი დიდხანს დარჩება იმ ადამიანების მემსიერებაში, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონია.

აკად. ვლადიმერ პაპავა, აკად. ავთანდილ სილაგაძე, პროფ. თეიმურაზ ბერიძე, პროფ. რევაზ გველესიანი, პროფ. რევაზ გოგოხია, პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი, პროფ. ნუგზარ პაიჭაძე, პროფ. მიხეილ ჯიბუტი